ინფორმაციის პირველი განსაზღვრება, სემანტიკურია; ინფორმაციას აქვს საზრისი, მნიშვნელობა; მას აქვს საგანი; ის არის მონაცემები ან რამეს ან ვინმეს შესახებ, ან მოქმედების სახელმძღვანელო. თუ ინფორმაციული საზოგადოების დეფინიციისთვის გამოვიყენებთ ინფორმაციის ასეთ კონცეფციას, საბოლოო ჯამში, მიგვიყვანს ინფორმაციის ამ მახასიათებლების განხილვასთან. ასეთი პრობლემების, ასეთი სფეროების, ასეთი ეკონომიკური პროცესების შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს კიდეც ახალი ერის (იგულისხმება ერა) არსს [1,27].

ინფორმაციული საზოგადოების თეორეტიკოსები, ერთი მხრივ, უკუაგდებენ სწორედ ამას, რდგან სრულიად ეთანხმებიან ინფორმაციის განსაზღვრების საღ აზრს და ნამდვილად, წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ინფორმაციას აქვს უპირველეს ყოვლისა სემანტიკური შინაარსი, მივიწყებული აღმოჩნდა.

ინფორმაციის განსაზღვრის რაოდენობრივი მიდგომისთვის შეიძლება გამოვიყენოთ კლოდ შენონის და უორენ უივერის კლასიკური თეორია. ამ თეორიის მიხედვით, ინფორმაცია არის რაოდენობა გაზომილი "ბიტებში". ეს დეფინიცია წარმოიქმნა კომუნიკაციური ტექნოლოგიების ინჟინრების მოთხოვნით, რომლებიც დაინტერესებულნი არიან შენახული და გადაცემული სიმბოლოების გაზომვით, რომელიც დაფუძნებულია ორობითი თვლის სისტემაზე (ჩართვა-გამორთვა, ჰო-არა, 0-1). ასეთი მოუხერხებელი განსაზღვრება მხოლოდ მათემატიკური მეთოდისთვის აღმოჩნდა მისაღები. ყოველდღიურ ცხოვრებაში როცა ინფორმაციას ვღებულობთ, პირველ რიგში, მას ვაფასებთ იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას, არსებითია თუ არა ის, რამდენად საინტერესოა, კომპეტენტური და სასარგებლოა. მაგრამ ინფორმაციის თეორიისთვის ეს პარამეტრები არ არსებობს. ეს თეორია გვაძლევს განმარტებას იმისგან დამოუკიდებლად, რას შეიცავს ეს ინფორმაცია და განიხილავს მას, როგორც ფიზიკური სამყაროს ნაწილს, როგორც

ენერგიას ან მატერიას. აი, რას წერს ერთ-ერთი ინფორმაციის თეორეტიკოსი: "ინფორმაცია არსებობს,

იმისათვის მან იარსებოს; არ არის აუცილებელი, რომ მას აღიქვამდნენ, რომ იგებდნენ; ის არ მოითხოვს აზრის ძალისხმევას ინტერპრეტაციისთვის, არ მოითხოვს საზრისს, ის არსებობს" [2, 121].

თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ორი შეტყობინება (ერთი ღრმა აზრის მქონე, მეორე სისულელე, უაზრობა) შეიძლებათანასწორი იყოს. სიტყვა"ინფორმაციამ" მიიღო მნიშვნელობა, რომლის მიხედვითაც, იგი აღნიშნავს ყველაფერს, რაც შეიძლება კოდირებული იქნეს წყაროდან მიმღებზე გადაცემისთვის, მისი სემანტიკური მნიშვნელობისგან დამოუკიდებლად. ეს გვაძლევს საშუალებას, ინფორმაცია წარმოვიდგინოთ რაოდენობრივი სახით, თუმცა იმის ფასად, რომ დავკარგოთ მისი აზრობრივი და ხარისხობრივი მხარე. ასეთ თვალსაზრისს ჩვენ არა მარტო მათემატიკურ, ტექნოლოგიურ ან საზოგადოების ინფორმაციულ-სივრცობრივ კონცეფციებში ვხვდებით, არამედ ეკონომიკურ ინფორმაციის საზრისის იგნორირება კონცეფციებშიც ხდება. ინჟინერ-ინფორმაციონისტისთვის მთავარია სიმბოლოების რაოდენობა და ორობითი სისტემა, ინფორმაციული სფეროს ეკონომისტისათვის კი- გაყიდვის მოცულობა.

ტექნოლოგიური კონცეფციის ცენტრში მრავალი ტექნოლოგიური ინოვაცია დევს, რომელიც 1970-იანი წლების შემდეგ გაჩნდა. ახალი ტექნოლოგიები ახალი დროის დადგომის ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანია და მათ ინფორმაციუული საზოგადოების დაბადების ნიშნადაც მიიჩნევენ. იგი გულისხმობს კაბელურ და სატელიტურ ტელევიზიას, კომპიუტერულ ქსელს, პერსონალურ კომპიუტერებს, ახალ საოფისე ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით ონლაინინფორმაციულ მომსახურებას, ტექსტურ რედაქტორებს და, ასევე, კომპაქტდისკის კითხვით მეხსიერებას. იდეაისაა, რომ ტექნოლოგიური განვითარების, ინოვაციის ასეთმა ნაკადმა უნდა მიგვიყვანოს სოციალურ ცვლილებებთან, მისი ზემოქმედება საზოგადოებაზე ძალიან მნიშვნელოვანია [3, 176].

ავტორთა უმრავლესობის არგუმენტები ინფორმაციის როლის შესახებ საზოგადოების წყობის შეცვლაში, შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ:

1. რაოდენობრივი ცვლილებები ინფორმაციის სფეროში იწვევს სოციალური წყობის თვისებრივად ახალი ტიპის _ ინფორმაციული საზოგადოების _ წარმოქმნას. მსჯელობის ლოგიკა მარტივია: ჩვენს დროში ძალიან ბევრი ინფორმაცია იწარმოება, მაშასადამე, საზოგადოება, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ინფორმაციულია. თუმცა, აღნიშნული განმარტება ერთობ ზოგადია, რადგან თანამედროვე საზოგადოების ინფორმაციულობას უფრო სხვა არსებითი მახასიათებლები განსაზღვრავს.

2. ასევე არსებობს კიდევ ერთი დეფინიცია, რომელიც კარდინალურად განსხვავდება პირველისაგან. იგი იქიდან კი არ ამოდის, რომ ჩვენს ეპოქაში დიდძალი ინფორმაცია იწარმოება და მიმოქცევაშია, არამედ იმისგან, რომ ინფორმაციის რაოდენობამ კი არა, არამედ ინფორმაციის ხასიათმა შეცვალა ჩვენი ცხოვრების წესი. ამ განსაზღვრებაში იგულისხმება, რომ დღეს ჩვენი ქმედებების საფუძველში ძევს თეორიული ცოდნა. კარდინალური სიახლე დღეს თეორიული ცოდნის კოდიფიკაცია და მისი საკვანძო ძირითადი როლი ნოვაციებში, როგორც ახალი ცოდნის მოპოვება- ქმნადობის, ისე საქონლისა და მომსახურეობის სფეროში ანუ სიახლეების წყარო ხდება მეცნიერული კვლევები და განვითარების ანალიზი.

მეცნიერები, რომლებიც ინფორმაციული საზოგადოების განსაზღვრებას ცდილობენ,

ყოველთვის წერენ საინფორმაციო საზოგადოების გამორჩეულობაზე, განსაკუთრებულობაზე, თუმცა მათი ოპერაციული კრიტერიუმები გაურკვეველი რჩება. ისინი ცდილობენ, გააცნობიერონ ცვლილებათა მნიშვნელობა ინფორმაციაში დაგანსაზღვრონ ეს ცვლილებები ეკონომიკური წარმოების განსხვავებული ფორმების ტერმინებში, სოციალური ზემოქმედების ახალ ფორმებში, წარმოების ინოვაციურ პროცესებში და ა.შ. თუმცა მათ არ ძალუძთ, დაადგინონ როგორ დაიკავა დღეს ინფორმაციამ ცენტრალური ადგილი საზოგადოებაში ისე, რომ იგი იქცა ახლი ტიპის საზოგადოებას ჩამოყალიბების ფაქტორად. მაინც რა არის ინფორმაცია? რატომ ფიქრობს მეცნიერთა ნაწილი, რომ ინფორმაცია წარმოადგენს ჩვენი დროის მთავარ პრობლემას?

ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ინფორმაციული საზოგადოების ხუთი განსაზღვრება: ტექნოლოგიური; ეკონომიკური; დასაქმების სფეროსთან დაკავშირებული; სივრცული; კულტურული.

ამ დეფინიციის საფუძველს წარმოადგენს იმის მტკიცება, რომ რაოდენობრივმა ცვლილებებმა ინფორმაციულ სფეროში თვისებრივად ახალი ტიპის სოციალური მოწყობის აღმოცენებასთან - ინფორმაციულ საზოგადოებასთან მიგვიყვანა [4,36].

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ნინო დანელია, ნინი გოგიბერიძე თვითცენზურა (მედიის კვლევა). გაზეთი ,,ბანკები და ფინანსები“ N 7 2012 წელი, გვ. 27;
2. ანთაძე ი. რა მდგომარეობაშია დღეს რეგიონალური ტელევიზიები. ინტერვიუ გაზეთში ”ბანკები და ფინანსები” გვ. 129. განთავსებულია ვებ მისამართზე: http://banksandfinance.ge/society/261-televiziebi.html)
3. რამიშვილი ლ. მედიის შესახებ, გვ. 129, განთავსებული მისამართზე: http://www.liberty.ge/geo/menu_pages_full.php?article=yes&id=106&subTitlesId=29&from=subTit les
4. შავერდაშვილი შ. შვედეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის გურუ უვე იოჰანსონი და პასუხი რამდენიმე კითხვაზე. ჟურნალი “ლიბერალი”,N 2 2010 წელი, გვ. 36.


*Николоз Брегвадзе*

## Некоторые особенности современного информационного пространства

### Резюме


В статье рассматриваются существенные составляющие современного информационного пространства, дается попытка поисков ответов на такие вопросы, как влияние количественных составляющих на определение содержания современного общества, роль информации на формирование ценностной системы современного общество.

# „აფგან მუხთარლის საქმის“ გაშუქება საქართველოს სამაუწყებლო და ონლაინ მედიაში

*გაგიევა მადინა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის საქმე საქართველოს მედიაში ერთერთ ყველაზე გაშუქებად თემად იქცა. ამ ფაქტმა, ერთის მხრივ, ქვეყნის ჟურნალისტების სოლიდარობა გამოავლინა, ხოლო მეორეს მხრივ, მედიაში არსებული პრობლემები გამოამჟღავნა. საუბარია ობიექტურობის უკმარისობასა და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების ფაქტებზე. ეს საკითხი ორმაგად სენსიტიური ხდება, როდესაც საქმე სხვა ქვეყნის მოქალაქეს ეხება. აღნიშნულ სტატიაში ჩვენ წარმოვადგინეთ, თუ როგორ გააშუქეს „აფგან მუხთარლის საქმე' საქართველოს სამაუწყებლო და ონლაინ მედია საშუალებებმა.

*საკვანძო სიტყვები: მუხთარლის საქმე, დაკავებული ჟურნალისტი, მედია, დეზინფორმაცია*

## I. შესავალი

2017 წლის 29 მაისს თბილისის ცენტრიდან აზერბაიჯანელი ჟურნალისტი აფგან მუხთარლი გაუჩინარდა. მეორე დღეს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის სამართალდამცავებისთვის წინააღმდეგობის გაწევის, საზღვრის უკანონო გადაკვეთისა და კონტრაბანდის ბრალდებით აზერბაიჯანში აღმოჩნდა დაკავებული.

მუხთარლის სავარაუდო გატაცების ფაქტს ქართულ მედიაში აქტიური გაშუქება და ჟურნალისტების მრავალი საპროტესტო აქცია მოჰყვა. რამდენიმე მედიასაშუალებამ საქმეში გარკვევამდე მუხთარლისგან მტრის ხატის შექმნა შეეცადა, მის ჟურნალისტურ საქმიანობაშიც კი შეიტანა ეჭვი და „ანტიაზერბაიჯანული იატაკქვეშა ორგანიზაციის“ წევრობაც დააბრალა.

## II. ძირითადი ნაწილი

„ანტიაზერბაიჯანული ბუდე საქართველოში უნდა მოიშალოს“ - ესეთი სათაურით გამოაქვეყნა სტატია პორტალმა „საქართველო და მსოფლიო“. მასალის ავტორი ამტკიცებდა, რომ მუხთარლის დაკავება იყო „სპეცოპერაცია მეზობელი სახელმწიფოს ეჭვმიტანილი მოქალაქის დაკავებისა“ და „არ არსებობდა მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხე ჩატარებული სპეცოპერაციის არც ერთ ეტაპზე“.

რამდენიმე დღეში „geworld“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ანტიაზერბაიჯანული იატაკქვეშეთი თბილისში – დესტაბილიზაციის კერა აზერბაიჯანში“. ავტორი აზერბაიჯანულ გამოცემას ეყრდნობა და მუხთარლის „კარგად ორგანიზებული აზერბაიჯანული დაჯგუფების“ წევრად მოიხსენიებდა.

„SOS - ვინ არის სინამდვილეში მუხთარლი?“ - ეს არის „საქინფორმზე“ გამოქვეყნებული მასალის სათაური. მიუხედავად იმისა, რომ მუხთარლის ჟურნალისტურ საქმიანობას არაერთი ფაქტი ადასტურებს, მასალაში ნათქვამია, რომ „აფგან მუხთარლი კარგად არის ცნობილი აზერბაიჯანელ ჟურნალისტთა წრეში, თუმცა არ არის ჟურნალისტი“.

ამ ფაქტის საკმაოდ უცნაური გაშუქება შესთავაზა მაყურებელს „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“. 31 მაისის არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში აფგან მუხთარლის გაუჩინარების ფაქტი მეორე ამბად გაუშვეს. საკითხი ორ ნაწილად გაშუქდა - პირველ ნაწილში თავად ფაქტი მიმოიხილეს, ხოლო მეორეში - პოლიტიკოსების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების შეფასებები ჩაწერეს. აღსანიშნავია, რომ მაუწყებელი ცდილობდა, აზერბაიჯანელი ჟურნალისტის პიროვნების შესახებ ნეგატიურ საზოგადოებრივი აზრის შექმნას და მთავარი საკითხიდან ყურადღების მეორეხარისხოვან დეტალებზე გადატანას.

„ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები საქართველოში გაუჩინარებულ და აზერბაიჯანში ნაპოვნი ჟურნალისტის შესახებ. აფგან მუხთარლის საზღვრის უკანონოდ კვეთას ედავებიან, რასაც წინასწარ პატიმრობაში მყოფი ჟურნალისტი უარყოფს და ფაქტს გატაცებად აფასებს“, - ასე დაიწყო მაუწყებლის წამყვანმა აღნიშნულ თემაზე მომზადებული პირველი სიუჟეტის შესავალი ტექსტი. „ურთიერთგამომრიცხავ ვერსიებად“ არა მხოლოდ შესავალ ტექსტში, არამედ მთლიან სიუჟეტში წარმოდგენილი იყო შემდეგი საკითხები: მუხთარლი ან აზერბაიჯანულმა მხარემ გაიტაცა ან საზღვარი უკანონოდ გადაკვეთა. სიუჟეტში საერთოდ არ დასმულა კითხვა, თუ როგორ მოხვდა მუხთარლი აზერბაიჯანში? აღსანიშნავია, რომ ეს კითხვა გამოშვებაში პირველად, თემაზე მომზადებულ მეორე სიუჟეტში, გადაცემის მე-14 წუთზე დაისვა. გარდა ამისა, სიუჟეტში მოხვდა ინფორმაცია საქართველოს ჟურნალისტების მიერ მუხთარლის მხარდასაჭერად გამართული აქციის შესახებ. თუმცა ავტორს არათუ აქციის მონაწილე არც ერთი ჟურნალისტის კომენტარი არ შეუთავაზებია მაყურებლისთვის, არამედ არც კი აღუნიშნავს, რომ აქცია ჟურნალისტების მიერ იყო ორგანიზებული და მონაწილეთა უმეტესობაც სწორედ მუხთარლის ქართველი კოლეგები იყვნენ. საზოგადოებამ სიუჟეტიდან მხოლოდ ის გაიგო, რომ თბილისის რამდენიმე ადგილზე მუხთარლის მხარდასაჭერად აქცია გამართეს.

„საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საქმესთან დაკავშირებული კიდევ ერთი ინფორმაცია გაავრცელა. წამყვანის ტექსტი იყო ასეთი: „ცოტა ხნის წინ მუხთარლი ერთ-ერთმა აზერბაიჯანულმა მედიამ იატაკქვეშეთში მოქმედი ანტიაზერბაიჯანული მოძრაობის ლიდერადაც გამოაცხადა“. თუმცა მან არ განმარტა, თუ კონკრეტულად რომელმა აზებაიჯანულმა მედიასაშუალებამ გააკეთა ასეთი განცხადება, რამდენად სანდოა ეს მედია და ა.შ. საბოლოოდ მაყურებელს ჩამოუყალიბდა ნეგატიური პოზიცია აფგან მუხთარლის შესახებ.

საერთო ჯამში, ჩამოთვლილი მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციების თანახმად, გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები: აფგან მუხთარლი საეჭვო პიროვნებაა, ის საქართველოში მოქმედი ანტიაზერბაიჯანული იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრია, ის ჟურნალისტი არ არის. თუმცა აღსანიშნავია, რომ ყველა ეს ტენდენციური ინფორმაცია გამოქვეყნებულ / გაჟღერებულ იქნა გადამოწმების გარეშე, რაც ყოვლად დაუშვებელია და არღვევს ჟურნალისტური ეთიკის ძირითად პრინციპებს.

„საზოგადოებრივი მაუწყებული“ იყო ერთადერთი ტელეკომპანია, რომელშიც დაფიქსირებულ იქნა ზემოხსენებული ტენდენციები. რაც შეეხება დანარჩენ არხებს, ისინი ასევე საკმაოდ აქტიურად აშუქებდნენ აფგან მუხთარლის საქმეს და სოლიდარობას იჩენდნენ აზერბაიჯანელი კოლეგის მიმართ. მედიასაშუალებებმა ამომწურავად გააშუქეს საქართველოს ჟურნალისტების სოლიდარობის აქციები - მაგალითად, როდესაც ქართული

მედიის წარმომადგენლებმა პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე პროტესტის ნიშნად თავზე პოლიეთილენის შავი პარკები ჩამოიცვეს, მედიასაშუალებებმა ეს ფაქტი საკუთარ „Facebook"-გვერდებზე პირდაპირ ეთერში გაუშვეს და მერე საინფორმაციო გამოშვებებშიც გაიმეორეს.

## III. დასკვნა

აფგან მუხთარლის საქმემ კვლავ ცხადყო, რომ ქართულ მედიაში ისევ რჩება ობიექტურობის პრობლემა. მითუმეტეს რომ ყოვლად დაუშვებელია წინასწარი დასკვნების გაკეთება მაშინ, როდესაც კონკრეტულ საქმეზე გამოძიება დასრულებული ჯერ არ არის. ეს მითუმეტეს ეხება ტელევიზიას, რომლის მაუწყებლობის არეალი არის ქვეყანაში ყველაზე ფართო. „საზოგადოებრივი მაუწყებელი" არის მედია საშუალება, რომელსაც აქვს ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე და, შესაბამისად, განსაკუთრებულად მკაცრად უნდა იცავდეს ჟურნალისტური ეთიკის ნორმებსა და პრინციპებს.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. www.mediacheker.ge
2. www.gpb.ge
3. www.geworld.ge


*Мадина Гагиева*

## Освещение «Дела Афгана Мухтарлы» в вещательных и онлайн-медиа Грузии


### Резюме

В этой статье мы попытались проанализировать, как грузинские средства массовой информации – вещательные и онлайн-медиа – освещали факт исчезновения в Тбилиси азербайджанского журналиста Афгана Мухтарлы. По итогам проведенного мониторинга было выявлено, что ряд СМИ распространяли непроверенную информацию о деятельности журналиста, пытались выдать его за политического активиста. Более того, некоторые онлайн-платформы свели до минимума освещение акций, которые грузинские журналисты организовали для поддержки своего азербайджанского коллеги.


***Ключевые слова:*** *дело Мухтарлы, задержанный журналист, медиа, дезинформация*

## Грузинская литература и коммуникация

***Гвенетадзе Гурам***
***Академичкский доктор филологии, асоц. профессор***
***Грузинского Технического Университета***

***Каджаия Манана***
***Академичкский доктор филологии, асоц. профессор***
***Грузинского Технического Университета***

რეზიუმე

მხატვრულ ნაწარმოებს უამრავი ასპექტი აქვს, ვნებათმცოდნეობის, ესტეტიკის, სოციოლოგიის ინტერესტა საგანს წარმოადგენს. მთლიანობაში მხატვრული ტექსტი ერთიან სისტემას წარმაოდგენს და მისი კვლევის მეთოდი უნდა იყოს სისტემური მიდგომა, რომელიც გაძლიერებულად აიხსნება თანამედროვე მეცნიერებაში.

***საკვანძო სიტყვები:*** *ქართული ლიტერატურა, მხატვრული ტექსტი, კომუნკაცია, სისტემური მიდგომა.*

### I. Вступление

Художественное произведение имеет множество аспектов, которые могут быть предметом отдельных наук – искусствознания, эстетики, социологии и т. д. Но в целом оно представляет собой целостную систему и наиболее обобщающим методом ее исследования должен быть системый подход, который усиленно отражено в современной науке.

Литературное произведение как система построена из словестного материала – обычного общеупотребительного языка.

Язык – несколько особый материал, по сравнению с другими материалами искусства. Он уже семантизирован, в то время как материалы других видов искусства «неодушевлены» или немы (за исключением разве что музыки).

Поэтому сделаем несколько предварительных замечаний о языке, как материале литературы.

### II. Основная часть

Язык, как известно, возник вследствие необходимости коммуникации между людьми в процессе их практической деятельности в первобытную эпоху. В этом его основная или генеральная функция. Он служит и для выражения внутреннего мира человека, не преследующего непосредственно коммуникативную функцию, но так или иначе предназначенную для ее реализации,

Однако  сразу в процессе возникновения и затем развития языка, кроме этой конечной и основной цели не могли не учитываться и процессуально-функциональные или эстетические параметры. Будучи от начала и до конца продуктом творчества человека и свободным от каких-либо внешних ограничений и явлений, которые он обозначает, язык наиболее адекватно приспособливался к особенности органов речи человека, как с точки

зрения качества единиц речи, так и процессуально-ритмической его организации.

Поэтому из всех явлений культуры язык является наиболее непосредственным выражением его мыслей, чувств и потребностей. Именно поэтому в нем наиболее наглядно отразился принцип разнообразия и их перебивок, предстказуемости и разнообразных парадигм ее реализации, то есть функционально-эстетический принцип организации / или смысло-эстетический, содержательно-эстетический/. Будучи условным по формам объективации, язык по своему реальному бытию в его акустических и структурно-организационных форм адекватен наиболее оптимальному выражению содержательно-эстетических или духовно-эмоциональных уровней человека.

Интересно отметить, что основное свойство информации как объективного феномена природы - единого порядка и беспорядка или разнообразия и единства имеет общее выражение как в объективной природе, так и в языке, призванного так или иначе ее отражать.

Язык – это сложноорганизованная система семантического и эстетического разнообразия. Семантического – поскольку язык отражает разнообразие действительности и внутренних состояний человека. /так как только на основе различия и разнообразия можно выделить и зафиксировать эти явления и состояния/, эстетического – так как сам язык должен структурно и процессуально обладать отраженным разнообразием в своем звучании или написании. Поэтому, как сама природа представляет собой поле реализации утилитарных и функциональных потребностей, так и язык моделирует эти две функции в их неразрывном сочетании. Он несет в своей тенденции не только семантическую, но и эстетическую информацию. Эстетическая функция языка проявляется в его разнообразии на уровне фонем /чередование гласных и согласных ударений/, слов /разнообразие смысловых значений/, а также синтаксических конструкций и стилистических особенностей/ смысловые единицы более крупного порядка в сочетании с эстетическими сторонами языка/.

Писатель питается воссоздать поэтический мир прежде всего через слово, через своеобразие его художественного мышления. Для более активного погружения читателя цитат сопровождаются ссылками на собрания сочинений .

Семантическая и эстетическая функция языка неразрывно связаны друг с другом, составляя взаимодополнительные стороны языка как сложной системы общения и основы и материала художественной литературы.

В художественной литературе эти стороны языка сгущаются и концентрируются с целью более полного и активного отражения ….. значений действительности и внутреннего мира человека.

Большая заслуга в изучении поэзии принадлежит русской литературоведческой школе – В. М. Жирмунскому, Б. В. Томашевской, Ю. М. Лотману и другим. Их условиями установлены наиболее специфические особенности поэзии как искусства, характер ее обусловленности предшествующими традициями и общественной жизнью. Но

наиглавнейшим образом будет интересовать проблема поэзии как системы в ее соотношении с системой потребности людей в искусстве.

Литературоведами установлено, что поэтическая художественная система обладает как общеязыковыми, так и собственно поэтическими правилами организации. Язык уже сам по себе является системой знаков, имеющих правила соотношения и взаимодействия во всех ее подсистемах /фонем, морфем, лексики, словосочетаний, предложений и более крупных единиц/.

Вся совокупность общих и поэтических правил организации поэтического текста составляет лишь возможность или идеальную схему функционирования художественного языка, реализуемую во всей практике художественного творчества, то есть в различных вариантах материализации поэтической структуры. Все наличие поэтических произведений представляет собой как бы реализацию вариантов постоянно существующей возможности создавать на основе существующих правил или инварианта языка поэзии.

Это соотношение инварианта и вариантов или, по терминологии французского лингвиста Де-Сосюра, языка и речи характерно для всех видов сообщений, составляя единство предсказуемости /правил/ и непредсказуемости /отступлений от правил/ любого информационного текста. При этом предсказуемость в содержательном плане определяется и наиболее часто встречающимися в соответствующих типах речи словосочетаниями и штампами.

Как видно, в поэтике, по сути, давно уже установлены закономерности организации языкового сообщения, которое в теории информации исследуется в количественном плане /соотношение оригинальности и банальности, предсказуемого и непредсказуемого/.

Однако, помимо и наряду с действием этих общих правил, в поэтическом произведении имеется и выделенная или характерная только для нее специфика организации словестного материала. Это в первуюочередб относится к ритму как системообразующему принципу поэзии. По определению В. М. Жирмунского, «ритм в поэзии и музыке создается закономерным чередованием во времени сильных и слабых звуков /или движений/» /.

Ритм в поэзии есть как бы итог компрмиссного образования взаимодействия метра /как общего закона или идеальной схемы чередования сильных и слабых звуков/ и особенностей того языка, на котором написано поэтическое произведение. Живой языковый материал сопротивляется наложению на него идеальной метрической схемы или композиционного чередования сильных и слабых звуков. Отсюда «реальная звуковая форма стиха подчиняется метрической композиции лишь в некоторых своих элементах, и стихотворный ритм всегда является компромиссной формой, возникающей в результате сопротивления материала законам художественной композиции» /. Таков вывод ученого о взаимодействии двух основных сторон стихотворного языка.

Ритм, по справедливому замечанию В. Жирмунского, является единством многообразия, где единством и организующим принципом является метрический закон, а разнообразием – «различия языков по качеству и длительности, высоте и силе ударения, группировка их

в слова или фразовые группы различных очертаний, но также живая множественность синтаксических сцеплений, и наконец, соотношение метра и поэтических образов» /.

В итоге, соотношение метра и особенностей языка понимается ученым как единство порядка и беспорядка или «хаоса» /что соответствует положению теории информации о структуре сообщений/.

«Художественный закон подчиняет себе индивидуальный и противоречивый хаос свободной речевой стихии, дает ему ритмический строй. Но хаос просвечивает сквозь легкие покровы создания, он проявляется как индивидуальное многообразие реальной художественной формы стиха, как нарушение строгого единства и закономерности» /.

Все эти наблюдения – результат долгого и плодотворного исследования поэзии – безусловно отражают специфические особенности поэтического текста как проявление общей закономерности структуры искусства.

Правда В. Жирмунский не объясняет, почему поэтическое произведение является единством порядка и хаоса. Это и невозможно сделать не выходя за пределы поэзии, без обращения к закономерностям функционирования перцентивных систем человека и нейродинамических структур его нервной системы и мозга, то есть не соотнеся структуру искусства по структурой художественной потребности человека. Лингвист считает, что необходимость нарушений и диссонансов в поэзии связано с отказом от «банальной привычности точных созвучий» и преодоления монотонности. Но именно это и необходимо обосновать научно.

Как установлено литературоведческими и семиотическими исследованиями, всякое поэтическое произведение представляет собой определенную иерархическую систему, целью которой является хранение и передача художественной информации при помощи определенных  правил и приемов. При этом ведущим и главным является содержание, которое определяется то как идея, то как смысл или значение художественного произведения.  Почти все исследователи признают,  что идея или смысл выражается во всех элементах или во всей их совокупности произведения искусства.

Однако, при конкретизации этого общего положения в каждом отдельном случае возникают принципиальные трудности в объяснении того, как эта идея или смысл «порождается» всей этой совокупностью элементов. Хотя, по сравнению с другими видами искусства, поэзия наглядно демонстрирует многие особенности художественной системы – ее структурно-системную целостность, характер взаимодействия ее подсистем, способ их бытия во времени пространства, обусловленность поэтической системы закономерностями человеческого восприятия и т. д.

Одним из продуктивных методов исследования этих проблем является семиотический, представленных различными вариантами в зарубежной и нашей науке.

Многие из зарубежных и советских семиотиков удаляют большое внимание как раз указанным проблемам, но, в первую очередь, - проблеме целостности художественного произведения, связи его подсистем в единое смысловое или содержательное целое.

Например, по мнению чешского структуралиста Яна Мукаржовского, - «в художественном произведении весьма важно смысловое единство, и преднамеренность – эта та сила, которая соединяет воедино части и придает смысл произведению.» /

Но в чем же это единство проявляется и эта «преднамеренность» заключается? Отвергая источник единства в личности художника, и переживания его реальности, в гармонии частей произведения искусства, чешский ученый наличие преднамеренности в поэзии обнаруживает в семантической энергии или преднамеренной силе, которая функционирует, по его мнению, внутри произведения и стремится к преодолению противоречий и напряженности между его отдельными частями и уровнями, организуя их в единое целое и поражая таким образом смысловую значимость произведения.

При всем своеобразие термина «семантическая энергия» и его неопределенности признание организующим принципом искусства стремление к выражению его смыслового единства является несомненно правильным. Такая точка зрения в общем разделяется и многими нашими специалистами в области поэтики. Наиболее четко и всесторонне она выражена в работах Ю. Лотмана.

«Стихотворение – сложно построенный смысл. – пишет он. – Все элементы – суть элементы смысловые, являются обозначениями определенного содержания… Это значит, что, входя в состав единой целостной структуры стихотворения, значащие элементы языка оказываются связанными системой соотношения и противопоставлений, невозможных в обычной языковой конструкции. Это придает и каждому элементы в отдельности, и всей конструкции в целом совершенно особую семантическую нагрузку» /.

Упорядоченность, как показал ученый, пронизывает все уровни поэтического текста, начиная с фонем. Так, упорядоченность на уровне последних осуществляет посредством повторяемости этих фонем в лексических единицах, которые, вследствие этого, начинают взаимоотноситься даже там, где в обычной речи между ними лексическая связь или ослаблена или вообще невозможна. Повышенную смысловую выразительность могут приобретать и взаимодействия на уровне морфолого-грамматическом, вследствие создания напряженности между лексическими и грамматическими значениями, например, при грамматическом тождестве и лексическом несовпадении.

Литература, поэзия, является грандиозным средством сближения народов. Особую роль играет в этом переводы и переводческие отношения. Ведь сделая подстрочники и вести переводческую работу сближает отдельных людей, который огромный, положительный импульс дает сближению народов и в целом народному дипломатии.

Великий классик грузинской литературы и лидер демократического движения в Грузии Илья Чавчавадзе высказал мечту о времени, когда будет переведены на другие языки хотя бы два-три грузинских произведений. Такой же мысль развивали при встрече наш классик, великий поэт Акакий Церетели и Украинский Кобзарь Тарас Шевченко – трогали темам национально-освободительного движения.

К счастью насчитывает в своем активе блистательные поэтические и прозаические переводы и русского и европейской и всемирной литературных произведений, начиная средневековую

переводную литературу и современных переводов, чтобы выковались ключи, способные открыть кладовые нашего духа, нашей культуры, нашей великой традиции.

Грузинская литература знает как тесно было связано русская поэтическая элита – Пушкин, Лермонтов, Маяковский, Белый, Тихонов, Есенин, Пастернак, Ахмадуллина, которые выразили мысль «Мир должен узнать Грузинов!»

Переводы «Витязь в тигровой шкуре» могут обскакать любого «всадника», отбить поклонников у любой «королевы». «Грузинские сказки» и «Мудрости вымысла» - Саба-Сулхана, «Волшебные сказки» и «Русуданиани» получили любовную прописку во всем мире .

В этом аспекте важна скрытая коммуникация польского классика Адама Мицкевича и Грузинского романтика Николая Бараташвили.

Известно: в шедеврах мировой литературы особенно выделяются «Черный ворон» Эдгара По, «Парисс» - Адама Мицкевича, «Пьянный корабль» - Артура Рембо, «Мерани» - Николая Бараташвили. К этой же теме относится «Чаилд-гарольдь» великого Баирона, в котором обращается поэт кораблю: Период помчись, оставим шнилую английскую атмосферу, найди мне более чистое местечко. Такие же слова героя Грибоедова: «Карету мне!

Выделяеться в этом аспекте в «Париссе» Адама Мицкевича вышесказанный мысл, где Бедуин избегает пустыню, удобренную смертью и скелетами и ободривает своего конья:

Конь-огонь; мелкают ноги,

Трупа, вихри, прочь с дороги!

Здесь мы вспоминаем слова грузинского философа Мераба Мамардашвили: Экстазируя, усиливая возможности и состояния человеческого психического состояния, они переводят его в другое измерение, в другой способ бытия, лежащий вне отдельного человека и к тому же являющийся более осмысленным и упорядоченным, чем сам человек.

**III. Заключение**

Литература, поэзия, является грандиозным средством сближения народов. Особую роль играет в этом переводы и переводческие отношения. Ведь сделая подстрочники и вести переводческую работу сближает отдельных людей, который огромный, положительный импульс дает сближению народов и в целом народному дипломатии.

Великий классик грузинской литературы и лидер демократического движения в Грузии Илья Чавчавадзе высказал мечту о времени, когда будет переведены на другие языки хотя бы два-три грузинских произведений. Такой же мысль развивали при встрече наш классик, великий поэт Акакий Церетели и Украинский Кобзарь Тарас Шевченко – трогали темам национально-освободительного движения.

К счастью насчитывает в своем активе блистательные поэтические и прозаические переводы и русского и европейской и всемирной литературных произведений, начиная средневековую переводную литературу и современных переводов, чтобы выковались ключи, способные открыть кладовые нашего духа, нашей культуры, нашей великой традиции.

### Литература:

1. Янушкевич А. С. История русской литературы первой трети XIX века, Изд-во Флинта, 2013 г., стр. 27.
2. Жирмунский В. Теория стиха. Л., Советский писатель, 2005, с. 12.
3. Крылов В. Н. Критика и критики в зеркале серебрянного века. Изд-во Флинта, 2014, стр. 49.
4. Мукаржовский Я. Преднамеренное и непреднамеренное в искусстве. – Структурализм: «за» и «против». М., Прогресс, 2007, с. 167.
5. Лотман Ю. М. Анализ поэтического текста. М., Просвещение, 2012, с. 38.
6. Златкин М. И. когда книга сближает народы, Тбилиси, 1979 г., стр. 18.
7. Мицкевич А. Сочинения, Санкт-Петербург, 1902 г., стр. 174.
8. Мамардашвили М., Наука и культура, Москва, 2012, стр. 21.

***Guram Gvenetadze***
***Manana Kajaia***

### Some issues of teaching of Georgian writing and the communication

### Summary

Georgian script is ancient. It was created in the centuries BC. And, already, in the V century A.D., a prose masterpiece "The Martyrdom of Saint Shushanik" was written. This era is considered as the epoch of notable appearance of Georgian intellectuals: having Tsurtaveli in Georgia, Ioane Lazi and Petre Iberi raising fame in Maiyum, by that time, Phazisi Retoryc School already operating more than a century, where the foreigners along with the Georgians mastered oratorical art, and thus, the art of Georgian orators (Partadze and Aieti in the V century, Grigol Khantsteli in the VIII century, Chakhrukhadze and Rustaveli in the XII century) of old ages does not astonish us. In the VIII century there were taught seven subjects, though Khantsteli learned much more. In the XII century there were a lot of Georgian philosophers (Ikaltoeli, Petritsoneli).

Despite of difficult questions raised, our representatives of bellesletters and philosophic literature have been constantly cared for the promotion of the word as the purpose of communication. Rustaveli's poem can serve as the foremost example of this, where the form and scholasticism never overshadow the requirements of general theory of communicative function.

# XXI საუკუნის საარჩევნო ტექნოლოგიები – 2012 წლის არჩევნების მაგალითზე

*გიგაური თამარ*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

რეზიუმე

სტატიაში განხილულია 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გაშუქება ქართული ბეჭდურ მედიაში, ძირითადი გამოცემების მაგალითზე. შესწავლილი და დამუშავებულია ,,კვირის პალიტრის", ,,კვირის ქრონიკის", ,,ალიას" და ,,ასავალ-დასავალის" „პოლიტიკისა" და „საზოგადოების" რუბრიკები. განხილულია პოლიტიკური პიარის მაგალითები, საარჩევნო დარღვევების ასახვის საკითხი და წარმოჩენილია მედია საშუალებების დამოკიდებულება პოლიტიკური სუბიექტების მიმართ.

*საკვანძო სიტყვები: საპრეზიდენტო არჩევნები, მედია, პაირ-ტექნოლოგიები, პოლიტიკა, საზოგადოება.*

## I. შესავალი

2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები საინტერესო და უპრეცენდენტოა, რადგან ეს იყო პირველი არჩევნები საქართველოს ისტორიაში, რომელშიც ხელისუფლება დამარცხდა. პოლიტიკურ ველზე ახალი მოთამაშე, საზოგადოებისთვის პოლიტიკურად უცნობი ფიგურა, ბიძინა ივანიშვილი შემოვიდა. წინასაარჩევნო კამპანიამ და არჩევნებმა დაძაბულ პოლიტიკურ ფონზე ჩაიარა და არჩევნების დღემდე რთული იყო მისი შედეგების წინასწარმეტყველება. პროცესებს მნიშვნელობას კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები მატებდა, რომელმაც პარლამენტის მნიშვნელობა არსებითად გაზარდა მთავრობის დაკომპლექტების თვალსაზრისით. არჩევნებში კოალიცია ,,ქართულმა ოცნებამ" გაიმარჯვა, მეორე ადგილზე კი მმართველი პარტია - ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" გავიდა. მხოლოდ ორმა სუბიექტმა, „ნაციონალურმა მოძრაობამ" და „ქართულმა ოცნებამ", წარადგინა ყველა ოლქში საკუთარი კანდიდატურა. მმართველი პარტიის საარჩევნო სლოგანი იყო „მეტი სარგებელი ხალხს". მათ საარჩევნო პროგრამაში ძირითადი ადგილი სოფლის მეურნეობის გაძლიერებას, ჯანდაცვის დაზღვევის სისტემის მოდერნიზაციას და 1000 ლარიანი ვაუჩერების დარიგებას ეკავა. საგარეო პოლიტიკაში მმართველი ძალა აქცენტს საქართველოს დასავლურ ინტეგრაციაზე აკეთებდა და ხშირად ადანაშაულებდა „ქართულ ოცნებას" რუსეთთან და ქურდულ სამყაროსთან კავშირებში. ,,ქართული ოცნების" საარჩევნო კამპანია მასშტაბური აქციების ფონზე წარიმართა.

## II. ძირითადი ნაწილი

დაძაბული პოლიტიკური ვითარება პირდაპირ აისახა ბეჭდურ მედიაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ბეჭდური მედია ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი იყო, მას უფრო დიდი დატვირთვა მიენიჭა. 2012 წლის საარცევნო პერიოდში არ გვხდება სახელისუფლებო წერილები და სტატიები, არცერთ განხილულ გამოცემაში. მედიამ არა მხოლოდ ადეკვატურად ასახა საზოგადოებაში არსებული პოლიტიკური განწყობა, პირიქით, ოპოზიციის ერთ-ერთ

ფლაგმანადაც იქცა. გაზეთები აქტიურად წერდნენ სახელისუფლებო გუნდის დასუსტების შესახებ. მაგალითად ,,კვირის პალიტრა", რომლის 34-ე ნომრის ყდაზე ვკითხულობთ ,,სააკაშვილის მხარდამჭერების გადადინება ივანიშვილისაკენ გეომეტრიული პროგრესიით იზრდება". ამავე გაზეთის 35-ე ნომერში დაიბეჭდა ინტერვიუ ამერიკელ დიპლომატ იუჯინ პურსოსთან ,,თუ არ გიშველეთ აუცილებლად გამეორდება ეგვიპტე და სირია". ინტერვიუში ვკითხულობთ, რომ ,,საქართველო სტარასბურგში გაგზავნილი სარჩელების პროცენტული რაოდენობით პირველ ადგილზეა ევროპაში. ეს ნიშნავს, რომ ქართველი ხალხი საკუთარ ქვეყანაში სამართალს ვერ პოულობს და სრულიად უუფლებოა". ,,კვირის პალიტრამ" 38-ე ნომერში გამოიყენა პოლიტიკური პერსონის დადებითი კუთხით დანახვის მეთოდი ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუში ,,ივანიშვილის და სააკაშვილის ურთიერთობის უცნობი დეტალები", სადაც დადებით კონტექსტში ძალიან საინტერესოდ აღწერა მისი ისტორია და პერსონაც. გაზეთის მე-40 გვერდის ყდა ეთმობა რუბრიკას ,,მომავლის არჩევანი", ეს არის ანალიტიკური მასალა ,,ისტორიული ხმაური საქართველოში". მე-3 გვერდზე დაბეჭდილმა ინტერვიუმ ექსპერტ სოსო ცისკარიშვილთან სახელწოდებით ,,თავისუფლების მოედანზე გამართულმა აქციამ მთავარ კითხვას წინასწარ გასცა პასუხი". მკითხველი გამარჯვებისთვის მოამზადა. რაც შეეხება პოსტსაარჩევნო გაშუქებას, გაზეთი 41-ე ნომერში მხოლოდ ,,ცესკოს წინასწარი მონაცემების" დაბეჭდვით შემოიფარგლა.

,,კვირის ქრონიკა" სკანდალური ტიპის სტატიებით გამოირჩევა. გაზეთის 35-ე ნომერში ყდაზეა გატანილი მე-7 გვერდზე დაბეჭდილი ინტერვიუ პოლიტოლოგ ზაალ კასრელაშვილთან ,,სააკაშვილს არ უნდა არჩევნების ნორმალურ გარემოში ჩატარება. მიშას უნდა ხალხი ისე დაიზაფროს, რომ თქვან, ოღონდ ომი ნუ იქნება და ისევ ესენი იყვნენო". გაზეთი ბეჭდავდა ოპოზიციის ე.წ. ,,რადიკალური ფრთის" ინტერვიუებს, რომლის მაგალითადაც შეიძლება მივიჩნიოთ, ინტერვიუ გოგა ხაინდრავასთან, სადაც ვკითხულობთ: ,,2 ოქტომბერს არის ზღვარი. ან დამთავრდება ნაცმოძრაობა და ეს კანონიერი გზით მოხდება, ხალხის ნების საფუძველზე, ან თუ ისინი ძალადობას მიმართავენ ან ხმებს გააყალბებენ ისეთ ძალადობას მიიღებენ, რომ არც დასიზმრებიათ". არჩევნების შედეგებისა და საარჩევნო დარღვევების გაშუქება კი გაზეთისთვის უინტერესო აღმოჩნდა.

,,ასავალ-დასავალის" განხილულ გამოცემებს შორის ყველაზე აქტიურად არის საარჩევნო პროცესში ჩართული. 32-ე ნომერში, დადებით კონტექსტში დაიბეჭდა ბიძინა ივანიშვილის გამოსვლის ტექსტი 5 აგვისტოს, ბათუმში მიმდინარე აქციაზე. ამავე ნომერში გვხვდება ავტორის სვეტი სათაურით: ,,არ მისცეთ ხმა ნაცმოძრაობას, არ აირჩიოთ სიკვდილი". საარჩევნო პიარის ჟურნალისტური განხილვის მაგალითია ამე-12 გვერდზე დაბეჭდილია ანალიტიკური სტატია ,,ტირილი, როგორც სააკაშვილის წინასაარჩევნო პიარი". გაზეთმა 34-ე ნომრის ყდაზე დაბეჭდა ,,ნაციონალური მოძრაობის" წევრების ფოტოები წარწერით ,,საქართველოს დამნაშავეთა პარტია", რომლითაც ღიად დააფიქსირა თავისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური შეხედულება. ,,ასავალ-დასავალის" 35-ე ნომრის გარეკანი ეთმობა წარწერას ,,პირველ ოქტომბერს 41 ფაშიზმზე გამარჯვებასთან ასოცირდება"- რაც პოლიტიკური პიარის მაგალითს წარმოადგენს. ამავე მიზანს ემსახურებაგაზეთის36-ენომერი,რომელშიცმე-6დამე-7გვერდებზედაბეჭდილია,,ნაციონალური მოძრაობის" საპარლამენტო სია, დეპუტატობის კანდიდატების სამუშაო ადგილების მითითებით

სათაურით ,,ქვეყანა უნდა იცნობდეს თავის დამაქცევრებს!“ სტატიაში ვკითხულობთ: ,,მათ შორის უმეტესობა ის ხალხია, ვინც 9 წლის განმავლობაში დააქცია და დააბეჩავა საქართველო. თუ გსურთ გახდეთ ქართველი ერის და საკუთარი თავის მესაფლავენი, შემოხაზეთ 5“. პოლიტიკოსის დადებით კონტექსტში გაშუქების მაგალითს წარმოადგენს გაზეთის 34-ე ნომრის ყდაზე დაბეჭდილია ბიძინა ივანიშვილის ფოტო და ფრაზა ,,ცოტაც გაუძელით, ხალხო“! ცალკე განხილვის ღირსია 35-ე ნომრის სპეციალური ჩანართი, ის 23 გვერდიანი და თითოეული, ყველა იმ სისასტიკეს მოიცავდა, რომელიც ხელისუფლებასთან ასოცირდებოდა. ჩანართი იწყებოდა პრეზიდენტ სააკაშვილის ფოტოთი წარწერით ,,9 წელი საქართველოს წინააღმდეგ“. ცალკე ნაწილად იყო ,,ეკლესიების ნგრევა“-სათანადო ფოტოკოლაჟით გაფორმებული, ასევე 70 დეპუტატის ფოტო, რომლებმაც ხელი მოაწერეს მართლმადიდებლობის საწინააღმდეგო კანონს, აქვე იყო ცხინვალში ნაწამები და დაჩოქილი ქართველი ჯარისკაცების ფოტოები, რომლებიც გაზეთმა შეაფასა, როგორც ,,სააკაშვილის ავანტიურის შედეგი“. შემდეგი რუბრიკაა ,,დახვრეტები“, რობაქიძე, შარაძე, ვაზაგაშვილი ფოტოებზე, ცალკე რუბრიკებია ,,სააკაშვილის 7 ნოემბერი“, ,,სააკაშვილის 26 მაისი“, 2008 წლის ომის დროს წართმეული სოფლების ჩამონათვალი სათაურით ,,2008 წლის აგვისტოს ომი სააკაშვილის სახელით“. მე-14 და მე-15 გვერდები ეთმობა რუბრიკას ,,მედიის ტერორი“, რომელიც გამტკიცებულია ,,რეპორტიორების საქმის“, ,,ტელეიმედის“ დარბევის და ნაცემი ოპერატორების ფოტოებით. აქვეა რუბრიკა ,,უნივერსიტეტის ნგრევა“, პროფესორების უნივერსიტეტიდან გამოყრის ფოტოებით. ცალკე რუბრიკაა ,,თანამშრომლობა პუტინთან“, რომელშიც ერთიანდება რუსეთისთვის მიყიდული სტრატეგიული ობიექტების გრძელი სია და ელიტური კორუფციის გვერდი- სადაც მაღალჩინოსანთა საცხოვრებელი სახლების ფოტოებია დაბეჭდილი. 22-ე და 23-ე გვერდებს იკავებს რუბრიკა ,,პატიმრების წამება და გაუპატიურება“, აქ მოცემულია დამნაშავეების გვარები, პოლიტპატიმართა სია და ფოტოზე აღბეჭდილი ნაწამები სხეულები.

,,ალია“ გამოირჩევა სკანდალური სტატიებით, რომლებიც, როგორც წესი, ინკოგნიტო რესპონდენტზე დაყრდნობით მზადდება. ამის მაგალითად გამოდგება 53-ე ნომერი, მე-10 გვერდი ეთმობა მასალას ,,სააკაშვილი სისხლს დაღვრის. ძალიან ვიწრო წრეში ითქვა: ,,დედას არ დავინდობ, თუკი დამარცხებისკენ წავალო“. გაზეთის 66-ე ნომერში დაბეჭდილია ინტერვიუ მამუკა არეშიძესთან სათაურით ,,უარესი შეიძლება იყოს ომი“, ფრაზა ტანკების ფოტოსთან ერთად ყდაზეა გატანილი. ,,შესაძლოა, მოხდეს საქართველოს ინტერვენცია. რომელსაც მოჰყვება ხელისუფლების გაქცევა და არჩევნების ჩაშლა“-ვკითხულობთ ინტერვიუში. რაც შეეხება არჩევნების შემდგომ პერიოდს, 75-ე ნომერში, ვკითხულობთ ,,რამდენი პარლამენტარი გაიყვანეს ოცნებამ და ნაცებმა?“ მე-2 გვერდზე დაბეჭდილია მაჟორიტარებისა და პროპორციული სიით გასული დეპუტატების სია, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემების მიხედვით. ამავე ნომრის მე-5 გვერდზე თანაბარი რაოდენობით დაბეჭდილია რეპორტაჟები ძირითადი კონკურენტების საარჩევნო შტაბებიდან, რომლებიც გაფორმებულია 3 ფოტოთი.

დასკვნა: 2012 წლის არჩევნები ქართულ პრესას ყველა განხილულ არჩევნებზე მეტად აინტერესებს. ,,კვირის პალიტრა“ 11 მასალიდან 2-ს სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლებთან ინტერვიუს უთმობს, 1 მასალაში დაბეჭდილია არჩევნების შედეგები, ხოლო 7 სტატია ოპოზიციურ ფლანგს ეთმობა. ,,კვირის ქრონიკის“ 13 მასალიდან 3 ხელისუფლებას ეთმობა,

ისიც მხოლოდ ნეგატიური გაშუქებით, 10 კი ოპოზიციის აქტივობებს. ,,ასავალ-დასავალი" 20 მასალიდან 5 ხელისუფლებას ეთმობა, საიდანაც ხუთივე უმწვავესი კრიტიკაა, 14 ოპოზიციის აქტივობების გაშუქებას წარმოადგენს. ,,ალია" 13 მასალით აშუქებს საარჩევნო პროცესს. აქედან 1 ექსპერტთან ინტერვიუა, 1 ხელისუფლების წარმომადგენლის ინტერვიუ, 7 სტატიაში გაშუქებულია ოპოზიციის საარჩევნო აქტივობები, დაბეჭდილია 4 რეპორტაჟი საარჩევნო შტაბებიდან.

განხილული მასალებიდან გამომდინარე, ,,კვირის პალიტრა" დაბალანსებული სტატიებით და ინფორმაციით გამოირჩევა. რედაქცია ცდილობს გადაამოწმოს ყველა ინფორმაცია და ნაკლებად ზრუნავს ე.წ. სკანდალურ იმიჯზე. განხილულ ნომრებში აშკარად იკვეთება, რომ გაზეთი საპარლამენტო არჩევნებს ჯეროვან ყურადღებას უთმობდა. ცალკე აღნიშვნის ღირსია, საარჩევნო პერიოდში გასაჯაროებული ე.წ. ,,ციხის კადრების" კორექტული გაშუქება და ასახვაც. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სხვა გამომცემლობებისგან განსხვავებით, ,,კვირის პალიტრა" არჩევნების შედეგების დაბეჭდვისას ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციას დაეყრდნო.

,,კვირის ქრონიკამ" გააშუქა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, თუმცა გაშუქების პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე თავისებურება. გაზეთში იბეჭდებოდა ე.წ. ,,ყურადღების მისაქცევი, გამომწვევი" სტატიები, რომლებსაც რეალური დადასტურება არ ჰქონდა, გამოცემა ორიენტირებულია სკანდალურ მასალებზე, არ იცავს ბალანსს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, მის ფურცლებზე ვერ შევხვდებით ინტერვიუებს ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ცალსახად უარყოფითადაა განწყობილი რიგი ოპოზიციური პარტიების მისამართითაც.

,,ასავალ-დასავალი" უდავოდ არის მხარე 2012 წლის არჩევნებში. თუმცა მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მაინც ცდილობს ბალანსის დაცვას. მისი საგაზეთო სტილი ინტერვიუებია, იბეჭდებოდა ძალიან კრიტიკული საავტორო სვეტები. ცალკე აღნიშვნის ღირსია, გაზეთის წინასაარჩევნო გამოცემა და მისი ჩანართის შინაარსი, რომელიც სახელისუფლებო ანტიპიარის მაგალითია.

,,ალიას" 2012 წლის არჩევნების განხილვა საკმაოდ ინფორმაციულია. ის ერთადერთია, რომელიც მთავარი მოწინააღმდეგეების გარდა, მეტ-ნაკლებად უთმობს ფურცლებს სხვა ოპოზიციურ პარტიებსაც. ,,ალია" მაქსიმალურად ცდილობს არ იქცეს მხარედ, მიუხედავად იმისა, რომ იბეჭდება კრიტიკული წერილები. ,,ალიას" ფურცლებზე ვხვდებით ,,ქართული ოცნების" სარეკლამო სტატიებსაც.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. გაზეთი ,,საქართველო და მსოფლიო", 8 აგვისტო-16 ოქტომბერი, თბილისი, 2012 წელი.
2. გაზეთი ,,კვირის პალიტრა", 30 ივლისი-14 ოქტომბერი, თბილისი, 2012 წელი.
3. გაზეთი ,,კვირის ქრონიკა", 30 ივლისი-14 ოქტომბერი, თბილისი, 2012 წელი.
4. გაზეთი ,,ასავალ-დასავალი", 6 აგვისტო-7 ოქტომბერი, თბილისი, 2012 წელი.
5. გაზეთი ,,ალია', 7 აგვისტო-8 ოქტომბერი, თბილისი, 2012 წელი.

*Tamar Gigauri*

## XXI century electoral technologies -2012 elections in Georgian print media


### Summary

Resume: The article discusses the coverage of the first presidential election after the adoption of the constitution by the Georgian printed media on the example of major publications. Policy and community rubrics in ''Kviris palitra'', ''kviris kronika'', ''Alia'' and ''Asaval Dasavali'' has been studied and processed. Examples of political PR are the question of reflection of election violations and the attitude of media outlets towards political subjects is discussed.

# ამერიკული ჟურნალისტიკის ორი გამორჩეული ფიგურა

*ქეთევან გიორგობიანი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

რეზიუმე

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმის შესახებ, თუ რა ევალება იმ ადამიანებს, რომლებმაც სამოღვაწეოდ აირჩიეს ურთულესი სფერო –ჟურნალისტიკა; რა თვისებები და უნარ-ჩვევები უნდა გააჩნდეს მათ, ვინც საზოგადოებრივ აზრს ქმნის და ზოგჯერ პოლიტიკურ ამინდსაც; საუბარია ორი დიდი მედიამაგნატის, ჟურნალისტისა და გამომცემლის შესახებ, რომელთა სახელები ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ამერიკული და ზოგადად მსოფლიოს მედიის ისტორიაში, ესენი იყვნენ რობერტ რეზერფორდ მაკკირმიკი და ჯოზეფ პატერსონი, საუბარია მათი ცხოვრების გზაზე და ჟურნალისტურ მოღვაწეობაზე; ასევე, მოწოდებულია ცნობები ცნობილი და პოპულარული გაზეთების "ჩიკაგო ტრიბუნი" და "ნიუ-იორკ დეილი ნიუსი" შესახებ, რომელთა წარმატებაში ამ ორი ადამიანის უდიდესი წვლილი და დამსახურება უდავოა.

*საკვანძო სიტყვები: საინფორმაციო სივრცე, მედიამაგნატი, საზოგადოებრივი აზრი, პოლიტიკური პროცესი, მიზანსწრაფვა.*

## I. შესავალი

რა უბიძგებს ადამიანებს სამოღვაწეოდ აირჩიონ ურთულესი სფერო, სადაც მათ უნდა მოახერხონ საინფორმაციო სივრცის გაკონტროლება, კომუნიკაციის ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, საქმიანობის სწორი ორგანიზაცია, ნებისმიერი ქმედების დაგეგმვა, შესაძლო შედეგების განჭვრეტა, მზადყოფნა მოულოდნელობასთან გასამკლავებლად და წინაღობის დასაძლევად, საკუთარი შესაძლებლობების მართებულად შეფასება, სადაც მათ მოუწევთ გამოავლინონ სულიერი სიმტკიცე და გონებრივი სიმწიფე, სწრაფვა შინაგანი მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებისკენ, მუხლჩაუხრელი შრომა მიზნის მისაღწევად, ზოგჯერ მოვლენის ცივი გონებით განსჯა და ზოგჯერ გულისთქმის ყურისგდება. ძლიერ ადამიანს წინააღმდეგობები უფრო აძლიერებს, არ უკარგავს აქტიურობის სურვილს და უნარს, ვერც ოცნებაზე ხელის აღებას აიძულებს. დაბრკოლება მიზანდასახულ ადამიანს ფიზიკურად და გონებრივად აწრთობს, მისი შინაგანი რესურსების მობილიზაციას ახდენს და დაუმორჩილებლობის დემონსტრირების სურვილს უჩენს, მას არც დახარჯული შრომის ფუჭად ჩავლასთან შეგუება შეუძლია და არც მიზნის შეცვლის პერსპექტივა ხიბლავს. ერთი სიტყვით, ეს ის თვისებები და უნარებია, რაც ადამიანს მედიამაგნატად აქცევს.

## II. ძირითადი ნაწილი

მას, ვისაც მედიასთან შეხება აქვს, კარგად მოეხსენება, რომ მედია საზოგადოებაზე ზემოქმედების ერთ-ერთი იარაღია იმით, რომ საზოგადოებრივ აზრს ქმნის და ამ აზრის შეცვლაც შეუძლია, გარკვეულწილად პოლიტიკური ამინდის შექმნაშიც მონაწილეობს. მაგ. ცნობილია რომ მსოფლიოს უდიდესი მედიამაგნატები ჯოზეფ პულიტცერი და უილიამ რედოლფ ჰერსტი

აშშ-ს მთავრობისგან გარკვეული ნაბიჯის გადადგმას მოითხივდნენ, პირდაპირ მოუწოდებდნენ მმართველ წრეებს ბრძოლა დაეწყოთ ესპანეთის წინააღმდეგ; პოლიტიკაში აქტიურად ერეოდა გერმანელი მედიამაგნატი აქსელ შპრინგერი, საბჭოთა კავშირში ვიზიტისა და მაშინდელ გენერალურ მდივანთან, ნიკიტა ხრუშჩოვთან, შეხვედრის შემდეგ ის ებრძოდა რკინის ჩარჩოებში მოქცეული საბჭოთა ქვეყნის იდეოლოგიას და, შესაბამისად, ამ იდეოლოგიის, კომუნისტური რეჟიმის, გერმანიაში გავრცელების ნებისმიერ მცდელობას, რადგან მიაჩნდა პიროვნების თავისუფლების შემზღუდავად და ადამიანის დეგრადაციის ხელშემწყობად. ავსტრალიელი მედიამაგნატი რუპერტ მერდოკი აქტიური მონაწილე იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა, თუმცა მყარი პოზიცია არ გააჩნდა, მისი პოლიტიკური შეხედულებები ხშირად იცვლებოდა, ჯერ ლეიბორისტებს უჭერდა მხარს, შემდეგ კონსერვატორებს, ბოლოს რესპუბლიკელთა პროგრამით დაინტერესდა. პოლიტიკასთან საკმაოდ მჭიდროდ ურთიერთობდა “პოლკოვნიკი მაკკორმიკი”, ასე მიმართავდნენ ჩიკაგოელ მედიამაგნატს, რობერტ რეზერფორდ მაკკორმიკს, მას ასევე უწოდებდნენ “არისტოკრატს, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით”, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომელთაც არ მოსწონდათ მისი კონსერვატული შეხედულებები და ცხოვრების წესი და აცხადებდნენ, რომ მაკკორმიკი იყო “უდიდესი ჭკუა-გონება მე-14 საუკუნის”. ერთ-ერთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს იგი მიაჩნდა ადამიანად, რომელსაც “ძნელია ენდო, მით უფრო დაუჯერო”. უფრო შორსაც მიდიოდნენ და უწოდებდნენ “მულტიმილიონერს ფაშისტური შეხედულებებით”. როგორც ვხედავთ, ამ პიროვნების შესახებ განსხვავებული აზრი არსებობდა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, მაკკორმიკი იყო უდიდესი მედიამაგნატი, რომელსაც, როგორც სამხედრო კორესპოდენტს, ინტერვიუ აუღია პოლიტიკური ელიტის არაერთი წარმომადგენლისგან, რომელთა შორის იყვნენ იმპერატორი ნიკოლოზ მეორე, დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი ჰერბერტ ასკვიტი და უინსტონ ჩერჩილის ადმინისტრაციის პირველი ლორდი. მაკკორმიკი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა აშშ-ს ჩართვას მეორე მსოფლიო ომში, რადგან მიაჩნდა, რომ ეს არ იყო ის სწორი ნაბიჯი, რომელიც მის ქვეყანას უნდა გადაედგა, ამ შემთხვევაში ჩაურევლობის პოლიტიკის მომხრე იყო. ასევე მკაცრად აკრიტიკებდა რუზველტის ადმინისტრაციას.

რობერტ რეზერფორდ მაკკორმიკი დაიბადა 1880 წლის 30 ივლისს ცნობილ დამდიდარო ჯახში, იყო ერთ-ერთი შვილიშვილი ჯოზეფ მედდილასი, ერთ დროს ჩიკაგოს მერის და მედია ჰოლდინგ “ტრიბუნ კომპანის” მფლობელის. 1889-1893 წლებში ცხოვრობდა ლონდონში მშობლებთან ერთად, შემდეგ დაბრუნდა ჩიკაგოში და 1899 წელს ჩაირიცხა იელის უნივერსიტეტში. მუშაობდა იურიდიულ ფირმაში სან-ფრანცისკოში, 1927 წელს დააარსა იურიდიული კომპანია; 1910 წლიდან გახდა გაზეთ “ჩიკაგო ტრიბუნის” მთავარი რედაქტორი და გამომცემელი თავის ბიძაშვილ ჯოზეფ პატერსონთან ერთად. 1915 წელს გაემგზავრა ევროპაში სამხედრო კორესპოდენტად, გარკვეული ხნის განმავლობაში დაზვერვაშიც მუშაობდა, გაიარა საარტილერიო მომზადება, 1918 წლის 5 სექტემბერს მიიღო არტილერიის პოლკოვნიკის წოდება, არაერთ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა, დააჯილდოვეს მედლით განსაკუთრებული დამსახურებისთვის. გარდაიცვალა 1955 წლის 1 აპრილს. ასეთი მრავალფეროვანი ბიოგრაფია ჰქონდა მაკკორმიკს, მაგრამ ჩვენთვის პირველ რიგში საინტერესოა მისი ჟურნალისტური მოღვაწეობა და მისი საქმიანობა “ჩიკაგო ტრიბუნში”, ყოველდღიურ გაზეთში, რომელიც დღესაც გამოდის და ითვლება ამერიკის პოპულარულ და დიდტირაჟიან ბეჭდვით ორგანოდ. “ჩიკაგო ტრიბუნი” 1847 წლის 10 ივნისს დაარსდა, 8 წლის

შემდეგ ფინანსური კრიზისის შედეგად კინაღამ გაკოტრდა, გაზეთი გადაარჩინა კანადელმა ჯოზეფ მედილლამ, რომელმაც შეისყიდა "ჩიკაგო ტრიბუნი" და მის გამომცემლად ითვლებოდა 1899 წლამდე. დღეისთვის გაზეთს ტირაჟის მიხედვით აშშ-ში მე-8 ადგილი უჭირავს, სადაგ დღეებში გამოდის 448930 ეგზემპლარი, შაბათობით – 331190, კვირაობით კი 853324. გაზეთი მყისვე რეაგირებს აქტუალურ პრობლემებზე, მისი ჟურნალისტები სიღრმისეულად აშუქებენ მნიშვნელოვან მოვლენებს და სათანადო კომენტარსაც ურთავენ. გამორჩეულ ყურადღებას უთმობენ პოლიტიკურ პროცესებს. მაგ. ამა წლის 17 იანვრის ნომერში დაიბეჭდა სტატია შემდეგი სათაურით: "აშშ არკვევს, ეხმარებოდა თუ არა რუსეთი ტრამპს", აქ საუბარია იმის შესახებ, რომ ფბრ და კიდევ რამდენიმე ორგანიზაცია ატარებენ ერთობლივ გამოძიებას იმის დასადგენად, მოახდინა თუ არა რუსეთმა გავლენა ნოემბრის არჩევნებზე და ცდილობენ გაარკვიონ, კრემლის ფული ხომ არ დაეხმარა ტრამპს პრეზიდენტის პოსტის ხელში ჩასაგდებად და როგორ მოხერხდა ამ ფულის შემოტანა აშშ-ში. საინტერესოა 2017 წლის 17 იანვარს გაზეთში გამოქვეყნებული სტატია "მიეცით ტრამპს შანსი, მას შეუძლია გაგვაკვირვოს", რომელშიც ჟურნალისტი პირდაპირ აცხადებს, რომ აოცებს დემოკრატების და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მოქმედება დონალდ ტრამპის პრეზიდენტად არჩევასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ ტრამპის თეთრ სახლში მისვლამდე იყო არაერთი მცდელობა დაესუსტებინათ მისი ადმინისტრაცია. Aამბობენ, რომ აშშ-ს ახლადარჩეული პრეზიდენტი მეგობრობს ვლადიმერ პუტინთან, რომ ტრამპი რასისტებით აკომპლექტებს კაბინეტს, რომ აშშ წინ ვერ მიდის, უკან მიექანება.

საერთოდ, გაზეთში ხშირად გვხვდება რუსეთის თემა. ალბათ, ეს გასაკვირი არც არის, რადგან მსოფლიოს ორი დიდი ქვეყანა ერთმანეთის მოწინააღმდეგენიც არიან და ზოგჯერ მოკავშირენიც გარკვეული კუთხით და გარკვეულ სიტუაციაში. თუმცა ამერიკელი ჟურნალისტები ხელიდან არ უშვებენ შანსს საზი გაუსვან თავიანთი ქვეყნის ძლიერებას. "რაც ამერიკელებისთვის კარგია, პუტინისთვის ცუდია"-აცხადებენ გაზეთში (8 დეკემბერი, 2014) და საუბრობენ იმაზე, რომ ნავთობზე ფასის დაცემა ამერიკელთათვის კარგი სიახლეა, ეს ტენდენცია სავარაუდოდ გაგრძელდება, ასე რომ შეგვიძლია თბილ ბინებში განცხრომით ვიცხოვროთ ან მანქანით გავემგზავროთ შორეულ მოგზაურობაში, პუტინისა და რუსეთისთვის კი ცუდი დრო დადგა.

საქართველოს შესახებაც არაერთი წერილი დაიბეჭდა "ჩიკაგო ტრიბუნში", განსაკუთრებით რუსეთთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობის კუთხით. "რუსეთის პოლიტიკა მდგომარეობს მეზობელი ქვეყნების დამოუკიდებლობის ხელყოფასა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაში" – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა მსოფლიო ენერგეტიკული ფორუმის კულუარებში – გვამცნობს ამერიკელი ჟურნალისტი (23 ოქტომბერი, 2012 წელი) და იქვე დასძენს, რომ რუსეთი უარყოფს ამ ბრალდებას და 2008 წელს სამხრეთ ოსეთში ომში ჩაბმას ხსნის თავისი მოქალაქეების დაცვის განზრახვით.

"ჩიკაგო ტრიბუნში" ხშირად ქვეყნდება ხელოვნებასთან, კულტურასთან დაკავშირებული სტატიები და საინტერესო ამბები მკითხველის გართობის და განტვირთვის მიზნით. Mმაგ. გაზეთი გვამცნობს (1.09.2012) "დორიან გრეის პორტრეტი დაუბრუნდა ჩიკაგოს ბიბლიოთეკას 78 წლის შემდეგ". დორიან გრეის " ისტორია შეიძლებოდა სულ სხვაგვარი ყოფილიყო, საკუთარი ცოდვების მონანიების სურვილი რომ გასჩენოდაო"- წერს ჟურნალისტი. თუკი დორიანი არ

განიცდიდა სინდისის ქენჯნას თავისი არასწორი ქმედებების გამო, ვინმე ჰარლინ ჰოფმან ვიჟნი ათწლეულების განმავლობაში თვლიდა თავს დამნაშავედ და ფიქრობდა, რომ ან დიდი ოდენობის ჯარიმის გადახდა მოუწევდა, ან, შესაძლოა, სასამართლოს წინაშე წარდგომაც წიგნისთვის, რომელიც ბიბლიოთეკისთვის უნდა დაებრუნებინა 78 წლის წინ.

გაზეთში ცალკე რუბრიკა ეძღვნება გამოჩენილ ადამიანებს და ცნობილი პიროვნებების გახსენებას "ჩიკაგო ტრიბუნის" 2012 წლის 7 ივნისის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელიც ფანტასტიკური თხზულებების უბადლო ავტორის –რეი ბრედბერის ხსოვნას ეძღვნებოდა. რეი ბრედბერი, რომლის წიგნები საშუალებას აძლევდა მკითხველებს გალაქტიკის ყველაზე შორეულ კუთხეებამდე მიეღწიათ, გარდაიცვალა 91 წლის ასაკში. იქვე იყო ამონარიდი მწერლის ერთ-ერთი ინტერვიუდან, რომელიც მან 2000 წელს " ნიუ-იორკ თაიმსის" ჟურნალისტს მისცა: "როცა დავიბადე, ავტომობილი მხოლოდ 20 წლის არსებობას ითვლიდა, რადიო ჯერ კიდევ არ იყო, არც ტელევიზია. Mმე დავიბადე ყველაზე შესაფერის დროს იმისთვის, რომ მეწერა წარმოუდგენელ ფაქტებზე და დაუჯერებელ მოვლენებზე".

"ჩიკაგო ტრიბუნში" გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოღვაწეობდა ჯოზეფ პატერსონი, ასევე საყოველთაოდ ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი და გამომცემელი, აშშ-ს რედაქტორთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა. Mმან დააარსა აღიარებული გაზეთი "ნიუ-იორკ დეილი ნიუსი" და, რაც მთავარია, პატერსონის სახელს უკავშირდება ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალი ტაბლოიდის, ნუსხის ფორმატის გაზეთის გამოჩენა. ჟოზეფ მედილ პატერსონი დაიბადა 1879 წლის 6 იანვარს. Mმისი მთელი ოჯახი საგამომცემლო საქმიანობაში იყო ჩაბმული. Mმამა –რობერტი "ჩიკაგო ტრიბუნის" ჟურნალისტი იყო, რომელიც დაქორწინდა გაზეთის მფლობელის ქალიშვილზე და შეიქმნა კარიერა. Uუმცროსი და –ცისსი პატერსონიც გამომცემელი იყო; ქალიშვილმა –ალისიამ კი გაზეთი "ნიუს დეი" დააარსა. ჟოზეფის ნანატრი ვაჟი ჯეიმსი, რომელიც სამი ქალიშვილის შემდეგ შეეძინა, გახდა ვიცე-პრეზიდენტი და "დეილი ნიუსის" მთავარი რედაქტორის თანაშემწე. ოჯახი ჯოზეფ პატერსონს ამზადებდა ცნობილი ბაბუის – ჯოზეფ მედილლას მემკვიდრედ და მისი საქმიანობის გამგრძელებლად, სწავლობდა იელის უნივერსიტეტში, რომლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა ჩიკაგოში და მუშაობდა "ჩიკაგო ტრიბუნში", მაგრამ მამასთან უთანხმოების გამო წავიდა გაზეთიდან, გადასახლდა ფერმაში და პერიოდულად წერდა სხვადასხვა გამოცემებისთვის და ქმნიდა პროზაულ ნაწარმოებებსაც. "ჩიკაგო ტრიბუნში" დაბრუნდა 1910 წელს. მამის გარდაცვალების შემდეგ ჯოზეფმა ითავა გაზეთის მმართველობა. Pპირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გაემგზავრა ლონდონში, სადაც მისი ყურადღება მიიქცია ტაბლოიდმა, ნუსხის ფორმატის პერიოდულმა ორგანომ, "ჩიკაგო ტრიბუნის" მართვა დაუთმო ბიძაშვილს, რობერტ მაკკორმიკს, გადავიდა ნიუ-იორკში და დააფუძნა "ნიუ-იორკ დეილი ნიუსი", რომელიც შემდეგ გახდა პირველი ტაბლოიდი აშშ-ში. ნუსხის ტიპის , პატარა ზომის გამოცემის ფუძემდებლად მიჩნეულია ბრიტანელი გამომცემელი ჰარმსუორთი, რომლის "ლონდონ დეილი მირრორის" მაგალითზე შემუშავდა სწორედ "ნიუ-იორკ დეილი ნიუსის" ფორმატი. დღეისთვის ამ გაზეთს ტირაჟის მიხედვით მე-6 ადგილი უჭირავს აშშ-ს პრესაში, დაარსდა 1919 წელს, ეკუთვნოდა ჰოლდინგს "ტრიბუნ კომპანი", 2007 წლიდან მისი მფლობელი და გამომცემელია მორტიმერ ცუკერმანი. აღსანიშნავია ისიც, რომ "ნიუ-იორკ დეილი ნიუსი" პულიტცერის 10 პრემიის ლაურეატია. გაზეთის რედაქტორი დღესდღეობით არის კოლინ მაილერი, ყოველდღიური ტირაჟია 516 165 ეგზემპლარი, ხოლო კვირაობით -644 879.

III. დასკვნა

რობერტ მაკკორმიკის და ჯოზეფ პატერსონის სახელები ამერიკული და ზოგადად მსოფლიო მედიის ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი. მათი მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ნათელი მაგალითია იმისა, რომ თუკი ადამიანს გააჩნია პასუხისმგებლობის გრძნობა, ერთგულება და სიყვარული არჩეული პროფესიის მიმართ, სათანადო განათლება და შესაბამისი უნარ-ჩვევები, მით უმეტეს, თუკი გზის გამკვლევიც ჰყავს და იღბალიც მის მხარესაა, მიუღწეველი არაფერია.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. Михайлов С.А. Современная зарубежная журналистика. С.-Петерб. 2002.
2. Землянова Л.М. Современная американская коммуникативистика. М. 1995.
3. http: //en. wikipedia. Org/wiki/news. agency


*Giorgobiani Ketevan*

Two significant figures of American journalism

Resume

Obligation of those people, who have chosen the most difficult sphere - journalism is discussed in this work; what characteristics and skills must have people who create public opinion and sometimes even political weather. Two big media magnates, journalists and publishers are discussed, name of which is written with golden characters in American and generally in the world media history. These were Robert Retherford, McCormick and Joseph Paterson. Their way of living and journalistic career is discussed. As well information about well-known and popular newspapers “Chicago Tribune” and “New-York Daily News” is given. These two persons have done their biggest bit in success of these newspapers and their desert is unquestionable.

***Key words:*** *Informational space, media magnate, public opinion, political processes, aim.*

# ჟურნალისტური გამოძიების თანამედროვე პლატფორმები და ბიზნეს მოდელები – მათი განვითარების ტენდენციები და ახალი შესაძლებლობანი

*გიგლა გობეჩია*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

*მაია თუნგია*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

რეზიუმე

ინტერნეტტექნოლოგიების უსწრაფესმა განვითარებამ ჟურნალისტური გამოძიების მკვეთრ ტრანსფორმაციას შეუწყო ხელი. სრულიად ახალი ინტერნეტ პლატფორმები უკვე იძლევა იმის საშუალებას, რომ საზოგადოებაც ჩაერთოს ჟურნალისტური გამოძიების წარმოების პროცესში და გახდეს მისი, როგორც აქტიური მომხმარებელი, ისე უშუალო ხელშემწყობი დაფინანსებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

*საკვანძო სიტყვები: ჟურნალისტური გამოძიება, ახალი პლატფორმები, პოლ შტეიგერი, ინვესტიგეიტორები.*

## I. შესავალი

თანამედროვე ჟურნალიზმი, მიუხედავად ციფრული ვაკქანალიისა, თანდათან ისევ უბრუნდება ე. წ. პრეციზიული, ანუ ზუსტი და ხარისხიანი ჟურნალისტიკის წიაღს. ბრუნდება იქ, საიდანაც ჟურნალისტური საქმიანობის უმაღლესი პილოტაჟი - ჟურნალისტური გამოძიება, არც გამოსულა, მეტიც, არც კი დაძრულა. რეალური ჟურნალისტური გამოძიების მასალები ყოველთვის ამ კატეგორიაში განიხილებოდა ადრე, განიხილება ახლაც და მომავალშიც, ალბათ, ასე იქნება.

## II. ძირითადი ნაწილი

ჟურნალისტური გამოძიება ტრადიციულ მედიაში (პრესა, ტელევიზია) მოითხოვს დიდძალ სახსრებს, დროს, ენერგიას. ინტერნეტის ეპოქამ ბევრი რამ რადიკალურად შეცვალა. თუმცა იყო დრო, როცა ინტერნეტში ჟურნალისტური გამოძიების წარმოება შეუძლებლად მიაჩნდათ. ახლა ინტერნეტი და ციფრული ტექნოლოგიები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ჟურნალისტური გამოძიება ჩატარდეს ონლაინ სივრცეში, რაც საკმაოდ ამცირებს ყველანაირ დანახარჯს.

ჟურნალისტიკაში გამოძიებით საქმიანობას უმაღლესი პილოტირების ელემენტების ცოდნასთან ერთად, დიდი ფინანსური სახსრები სჭირდება. დევიდ რემნიკის თქმით, მას ჰქონია შემთხვევა, როცა ერთი კორუფციული საქმის გამოძიებაზე 250 ათასი დოლარი დაუხარჯავს. იგივეს აღიარებს ბრიტანელი პუბლიცისტი და პრაქტიკოსი ჟურნალისტი გამომძიებელი ნიკ დევისი. "ჟურნალისტური გამოძიება - ესაა დიდი ფული და დიდი დრო".

დევიდ კაპლანი CIMA-ს მოხსენებაში - "საერთაშორისო გამოძიებითი ჟურნალისტიკა" - მხარდაჭერის სტრატეგია," - წერს: "მთელ მსოფლიოში მედიის განვითარებისთვის გამოყოფილი დახმარებიდან ჟურნალისტური გამოძიების განვითარებაზე მხოლოდ 2 პროცენტი იხარჯება."

სწორედ ეს დამოკიდებულება გახდა იმის მიზეზი, რომ ჟურნალისტმა გამომძიებლებმა

მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაიწყეს:

1.გაერთიანება, ურთიერთდახმარების სპეციალური ფონდებისა და ერთობლივი ცენტრების დაარსება გამოცდილების გაზიარების მიზნით;

2. ბიზნეს-პლატფორმების შეცვლა და უფრო მოქნილი მოდელების შექმნა;

3. საკანონმდებლო ბაზის განმტკიცება ინფორმაციული უსაფრთხოებისა და მოწმეთა დაცვის კუთხით.

მიმოვიხილოთ სამივე ტენდენცია.

პირველი - ჟურნალისტ გამომძიებელთა გაერთიანება არასამთავრობო არამომგებიან საზოგადოებრივ ორგანიზაციებად ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდან დაიწყო. როცა ამერიკაში შეიქმნა RBF, შვედეთში - “jurnalister gravander, ინგლისში - Bic და სხვა.

ინტერნეტის შემოჭრამდე ამ ტიპის ორგანიზაციები უფრო თავიანთი ქვეყნის შიდა საინფორმციო სივრცეში მუშაობდნენ. web 2.0-ის შემდეგ კი ეს საზღვარი პრაქტიკულად მოიშალა. ამჟამად ჟურნალისტური გამოძიების საერთაშორისო სააგენტოებით დაფარულია მთელი მსოფლიო. ისინი ერთობლივად, ზოგჯერ 10-15 ქვეყნის ჟურნალისტი გამომძიებლები ერთიანდებიან და ტრანსნაციონალური დანაშაულის გახსნას ერთად ცდილობენ. არსებობს ორგანიზაციები, რომლებიც ყოველწლიურად ან ორ წელიწადში ერთხელ აწყობენ კონკურსებს, ავლენენ და აჯილდოებენ ამ მიმართულებით მომუშავე ჟურნალისტებს. ინვესტიგეიტორებისთვის ატარებენ სემინარებს, ტრენინგებს, სიმპოზიუმებს, კონგრესებს სათანადო ინტერნეტტექნოლოგიების სწავლებებს და სხვა.

მეორე – ყველაზე საინტერესო და ანგარიშგასაწევი ცვლილებები ჟურნალისტური გამოძიების განვითარების მიმართულებით ხდება.

თუ აქამომდე ცნობილი იყო, რომ თითოეული გამოძიებითი მასალის მეპატრონე ძირითადად ერთი რედაქცია და თავად ავტორი, ან ავტორთა ჯგუფი იყო, ახლა ეს წესი წარმატებითაა შეცვლილი.

2005 წელს ამერიკაში შეიქმნა სრულიად ახალი სპეციალური ბიზნეს-პლატფორმა “Pro publika” ჟურნალისტური გამოძიების მასალებისათვის.

“Pro publika” - დააარსა პოლ შტეიგერმა, რომელსაც მანამდე “უოლდსტრიტ ჟურნალის” რედაქტორობის ათწლიანი გამოცდილება ჰქონდა. მან მიიღო მდიდარი ამერიკელი ცოლ-ქმრის სანდლერების შეთავაზება, შეექმნა ახალი პლატფორმა ჟურნალისტი გამომძიებლებისათვის, რისთვისაც ის წელიწადში 10 მილიონი დოლარით დაფინანსდებოდა.

შტეიგერმა შეძლო გარდატეხის შეტანა მანამდე არსებულ ბიზნეს მოდელებში და “pro-publika” სწორედ სიახლეზე ააგო. კერძოდ, მან დაიქირავა 40-მდე პროფესიონალი ჟურნალისტი გამომძიებელი, შექმნა მედია ორგანიზაცია და დაიწყეს მწვავე ნეგატიური თემების წარმოჩენა. ამასთან, შტეიგერის სიახლე ის გახლდათ, რომ იგი ყველა გამოცემას აძლევდა იმის უფლებას, რომ ნებისმიერი მათი გამოძიებული მასალა გადაებეჭდა სრულიად უსასყიდლოდ. ამ სიახლით შტეიგერმა შეძლო გამოძიების მასალათა მასშტაბური გავრცელება მთელ მსოფლიოში. ფაქტობრივად, მსხვილბიუჯეტიანი მასალა სრულიად უფასოდ ვრცელდებოდა, სამაგიეროდ, მასალას ეცნობოდა დიდი აუდიტორია, რაშიც თავად საიტის, პლატფორმის ადმინისტრაციაც იყო დაინტერესებული.

ეს მოდელი, რომელიც პოლ შტეიგერმა შექმნა, ვირუსული პლატფორმა გახდა. ამჟამად ამ პლატფორმის ანალოგიით არაერთი მედია ორგანიზაცია მუშაობს. ხოლო მათ დაფინანსებაზე უშურველად თანხმდებიან როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები.

სულ სხვანაირად მოიქცა ცნობილი ჟურნალისტი და თეორეტიკოსი პოლ ბრედშოუ. Mმან შექმნა საგამოძიებო პროექტი ვებში - Help me investigate (დამეხმარეთ გამოძიებაში). ასე გამოიძია მან არაერთი საქმე და სხვებსაც მისცა ამის გაკეთების საშუალება.

ბოლო პერიოდში ინტერნეტში სრულიად ახალი ვებრესურსები გაჩნდა. თითოეული მათგანი გარკვეულ ნოვაციაზე იყო დაფუძნებული.

ასე მაგალითად, მეტად საინტერესოა ამერიკული საიტი Spot.us, რომელიც მომხმარებელთა შემოწირულობებით ატარებს ჟურნალისტურ გამოძიებას.

მსგავსი მეთოდით მუშაობენ ამერიკის საგამოძიებო ჟურნალისტიკის ბიურო, ორგანიზაცია Propyblica და “The Huffinygton Post-ის” საიტის საგამოძიებო ფონდი. პოლ ბრედშოუ მიიჩნევს, რომ სწორედ ამგვარი მიდგომისას ხდება მედიის საგამოძიებო და სადამკვირვებლო ფუნქცია დამოუკიდებელი მედიის ინფორმაციულ-გასართობი ფუნქციისაგან. ეს უკანასკნელი ფუნქცია კი, როგორც წესი, მედიას ფინანსურად აძლიერებს.

AD ინტერნეტ რესურსი - frontline - აერთიანებს ჟურნალისტური გამოძიების ტექსტს ვიდეოსთან და თავისი წყაროების ლინკებთან ერთად მომხმარებელს ერთიანად აწვდის. ეს მომენტი კი საშუალებას აძლევს მომხმარებელს თავადაც გაერკვეს გამოსაძიებელი თემის ნიუანსებში.

ბოლო ხანებში კიდევ ერთი ახალი შესაძლებლობა გამოიკვეთა. ვების გამოყენებით დაიწყეს მომხმარებელთა მოზიდვა კონკრეტული თემის გამოსაძიებლად. ასე იქცევა კლერ სემბრიუკი, რომელიც თავისი გამოძიების კამპანიას აწარმოებს ბლოგოსფეროსა და სოციალურ მედიაში. ამ შემთხვევაში შეხება გვაქვს კრაუდსორსინგის ხერხთან. აქ საქმეში ერთვება ის ხალხი, რომელთათვისაც თემა ძალიან მნიშვნელოვანია.

უნდა ითქვას ისიც, რომ ამ მიდგომას აქვს ერთგვარი ხარვეზი. აქ ჩნდება კითხვა – თუ გამოძიება ასე ჩატარდება, მაშინ ჟურნალისტი ვინ გამოდის? თავად ჟურნალისტია გამომძიებელი თუ ის ხალხი, ის მომხმარებელი, ვინც საქმეში აქტიურად ჩაერთო? ცხადია, აქ ცალსახა პასუხი არ არსებობს. ამიტომ, ალბათ, სჯობია, შევეშვათ ამაზე ფიქრს და ვნახოთ გამოძიების პროდუქტი.

ცნობილია, რომ ბოლო ხანებში კრიმინალი და ორგანიზებული დანაშაული საერთაშორისო მასშტაბებზე გავიდა. ამდენად, ჟურნალისტ გამომძიებლებს უჭირთ მათ კვალზე სიარული. ეს პრობლემა კარგა ხანს სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა, მაგრამ შეიქმნა ისეთი პროგრამები, რომელთა დახმარებითაც სრულიად იოლად შესაძლებელია მონაცემთა საერთაშორისო ბაზებიდან მიიღო სასურველი ინფორმაცია.

მაგალითად, შოტლანდიელმა პროგრამისტმა დენ ოჰიგინმა შექმნა უფასო პლატფორმა investigative Dashboard, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია კორუფციული გარიგებებისა და შავი ფულის ტრიალისთვის თვალის მიდევნება სხვა სახელმწიფოებში.

investigative dashboard-ის გარდა ასეთივე დახმარების გაწევა შეუძლია ჟურნალისტი გამომძიებლებისთვის OpenCorporates და CKAN-ის საიტებს.

ინტერნეტ ტექნოლოგიების უსწრაფესი განვითარების შედეგად შესაძლებელი გახდა

ჟურნალისტური გამოძიებისათვის ახალ-ახალი პლატფორმების შემუშავება. 2014 წელს ამერიკელმა პროგრამისტმა იზრაილ მირსკიმ სპეციალურად უკომპრომისო ჟურნალისტური გამოძიების ჩასატარებლად და ინვესტიგეიტორების დასახმარებლად შეიქმნა ახალი საიტი - Uncoverage. ეს საიტი ბეიკერებს - შემომწირველებს საშუალებას აძლევს გაიღონ გარკვეული თანხა ერთჯერადად ან მრავალჯერადად ამა თუ იმ გამოძიების ჩასატარებლად.

საიტის სპეციფიკა ასეთია. ჟურნალისტი გამომძიებელი შერჩეული თემით მიმართავს Uncoverage-ს ადმინისტრაციას, რომელიც თემის შემოწმების შემდეგ საშუალებას აძლევს მას, განათავსოს საიტზე განცხადება და შემოწირული სახსრებით ჩაატაროს გამოძიება. შემდეგში გამოძიების ტექსტი ან ვიდეო მასალა იდება საიტზე და თუ მას სხვა რედაქცია შეიძენს, ჟურნალისტ გამომძიებელს დამატებით ჰონორარი ეძლევა. რაც შეეხება საიტს, იგი ბეიკერებისაგან შემოწირული თანხის 5-7 პროცენტს საკომისიოს სახით იღებს.

ბოლო ხანებში სხვადასხვა ქვეყნების ჟურნალისტმა გამომძიებლებმა "საერთო ენა" გამოძებნეს და ისინი სიამოვნებით თანამშრომლობენ ორგანიზებული დანაშაულის გამოძიების საქმეში. უფრო მეტიც, შეიქმნა სპეციალური საიტი www.Scraperwiki.org, სადაც ნებისმიერ ჟურნალისტ გამოძიებელს შეუძლია კონკრეტული დახმარებისთვის მიმართოს პროგრამისტებს სხვადასხვა ვებგვერდებიდან მონაცემთა მიღებაში.

საინტერესო პლატფორმა შეიქმნა ასევე fraj-ის სახით. ამ პლატფორმის არსი მდგომარეობს შემდეგში: მედიაორგანიზაცია აცხადებს გამოსაძიებელი ნეგატივის სახელს, სფეროს, ზოგჯერ ვინაობას, აწესებს ფულად პრიზს საქმის გამოძიებისათვის და იწვევს როგორც მოხალისე, ისე პროფესიონალ გამომძიებლებს. ამგვარი მიდგომით რედაქცია ორ კურდღელს იჭერს. პირველი, იზიდავს ფართო აუდიტორიას გამოძიებაში ჩასართავად, მეორეც, შედარებით მცირე ხარჯების გაღება უწევს ჟურნალისტური გამოძიების ჩასატარებლად, თუმცა ეს არის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. ცოტა ძნელი წარმოსადგენია სრულყოფილი ჟურნალისტური გამოძიება მოქალაქე ჟურნალისტებზე დაყრდნობით. თანაც ასეთ გამოძიებაში მხოლოდ ინფორმირებული მოქალაქე უნდა ჩაერთოს და არა ნებისმიერი, რადგან ვინც მოცემულ თემაზე, რაიმე მნიშვნელოვან, დაზუსტებულ ინფორმაციას არ ფლობს, ის ბუნებრივია, ვერც ჩაერთვება გამოძიებაში.

დაახლოებით მსგავს რაღაცას აკეთებდა უფრო ადრე ამერიკელი მეტ დრაჯი. მან შექმნა საიტი და სთხოვა მოქალაქეებს აეტვირთათ ნებისმიერი ნეგატივი. ჭორ-მართალი ამერიკის მაღალ ჩინოსნებსა და სახელმწიფო ჩინოვნიკებზე. მთავარი პრობლემა – ნდობის საკითხი, დრაჯმა შედარებით იოლად მოაგვარა – პასუხისმგებლობა ინფორმაციის სიზუსტეზე თავად შემტყობინებელს აჰკიდა. დრაჯის ნოვაციურმა პლატფორმამ დროს გაუძლო. ამჟამად ეს ამერიკული ჟურნალისტიკის "ცუდი ბიჭი," როგორც მას უწოდეს, ერთ-ერთ წარმატებული მედია ორგანიზაციის მფლობელია.

მესამე - ჟურნალისტი გამომძიებლებისთვის საკანონმდებლო ბაზის განმტკიცება, სამართლებრივი ნორმების შემუშავება სისხლხორცეული საკითხია. მსოფლიოში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვით 1990-იან წლებში ბევრი რამ გაკეთდა, ჟურნალისტები მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით, განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში იყვნენ ვალდებულნი დაესახელებინათ წყაროს ვინაობა. ეს მიდგომა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტამდე პრაქტიკაში წარმატებით გამოიყენებოდა. ნიუ-იორკის ტერაქტის შემდეგ

სპეცსამსახურებმა და მათმა ლობისტებმა მიაღწიეს იმას, რომ სამართალდამცავებს შეუძლიათ, მოთხოვონ ჟურნალისტს წყაროს ვინაობის გამხელა სასამართლოს დადგენილების გარეშე. ეს ცვლილება მოსალოდნელი დანაშაულობების პრევენციის მიზნით გაკეთდა.

თუმცა პრევენცია, როგორც ჩანს, მხოლოდ საბაბი იყო. მის მიღმა ხელისუფლების მორიგი მცდელობა უფრო იკითხება - როგორმე გააკონტროლონ ჟურნალისტი გამომძიებლების საქმიანობა.

*Гобечия Гигла*

*Тунгия Майя*

**Наибыстрейшее развитие интернет-технологий способствовало резкой трансформации журналистского расследования**

**резюме**

Совершенно новые интернет платформы дают возможность того, чтобы общество само включилось в процессе журналистского расследования, стало как активным пользователем, так и непосредственным содействинником (помощником) с точки зрения финансирования и информационного обеспечения.

# ლონგრიდი – მედიატექსტის ახალი, მულტიმედიური ფორმატი

*სოფიკო კვანტალიანი*
*ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

ჟურნალისტიკის ინტერნეტ-ტექნლოგიების ფონზე ფუნდამენტურმა შეცვლამ მისი შიგთავსის სახეცვლილებაც გამოიწვია. გაჩნდა ინფორმაციის ინტერნეტში მიწოდების ახალი ფორმატები, რომელთა შორის არის მულტიმედიური ლონგრიდი. ეს არის ინტერაქციული მასალა, რომელიც მოცულობით ტექსტსა და აუდიოვიზუალური ელემენტების ერთიანობას წარმოადგენს. ნაშრომში განხილულია მულტიმედიური ლონგრიდის, როგორც ცნების ზოგადი დახასიათება, აღწერილია მისი შემადგენელი და ფორმალური ნიშნები, გამოკვეთილია მისი კომპოზიციური მახასიათებლები.

*საკვანძო სიტყვები: ჟურნალისტიკა, მულტიმედია, ლონგრიდი*

## I. შესავალი

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების, კონკურენციის პირობებში, მთავარ პრიორიტეტად აუდიტორიის ყურადღების მოპოვება იქცა. ფაქტობრივად ჩვენს თვალწინ, გაზეთების ბეჭდური ვერისები, ტრადიციული რადიო, საეთერო მაუწყებლობა, პოზიციებს უთმობენ ინტერნეტს, როგორც კომუნიკაციის ახალ არხს, რადგან მისთვის დამახასიათებელია _ მეტი სისწრაფე, მობილურობა, უნივერსალობა, ინტერაქტიულობა და მულტიმედიურობა. დღეს მედიის ამოცანა უკვე არა მხოლოდ ინფორმაციის შეგროვება, მიღება და დალაგება, არამედ ახალი ტექნიკური შესაძლებლობების გამოყენებით, კონტექსტის შექმნაა. უნდა აღინიშნოს, რომ მედიის მულტიმედიატიზაციის მთავარ მიზეზად მომხმარებლის შეცვლილი მოთხოვნები იქცა. არახალია, რომ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე კარდინალურად შეიცვალა ინფორმაციის როლი საზოგადოებისთვის. ახლა უკვე სხვაგვარად ხდება მისი აღქმა, მოხმარება. ტრადიციულ მედიას დაემატა ახალი მედია და კომუნიკაციის ახალი სახეობები _ ბლოგები, სოციალური ქსელები, მობილური ტელეფონები, პლანშეტები და ა.შ. ტექნიკური სიახლეები, კარდინალურად აფართოვებენ მედია მომხმარებლის შესაძლებლობებსაც (მაგალითად, მინი ეკრანი Google Glass (პორტატული ტექნოლოგია თავზე დამაგრებული ეკრანით (OHMD), ინფორმაციას გვაწვდის დაუყოვნებლად). მომხმარებელი ხშირად იყენებს რამდენიმე მოწყობილობას ერთდროულად მაგ. ტელევიზია + პლანშეტი, რაც იმის საბაბს გვაძლევს, რომ ე.წ. „მეორე ეკრანის“ ფენომენზეც ვისაუბროთ). ინფორმაციის უზარმაზარი ქონთენთი, რომელიც გარს გვაკრავს, ჩვენს ცნობიერებას ინფორმაციის მულტიმედიური აღქმისკენ უბიძგებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანები ტექსტური აზროვნებიდან ანუ ტექსტური სახის (კლასიკური წიგნი-ფესვის მეტაფორა, **ფ.გვატარი, ჟ. დელიოზი**) მომხმარებლობიდან გამომსახველობით, ე.წ. კლიპურ, დისკრეტულ აზროვნებაზე (რიზომა) და მოხმარების ვიზუალური სახეების/ინფორმაციის მოხმარებაზე გადადიან. არსებობს კვლევა, რომლის მიხედვითაც ადამიანების დაახლოებით 40% ვიზუალები

არიან, 20-30% კი აუდიალები, რაც იმას მოწმობს, რომ აუდიტორიას მისწრაფება აქვს, იყოს ჩართული ინტერაქციულ ქონთენთში, მიიღოს თვალით აღსაქმელი, ვიზუალური ინფორმაცია. იმგვარი ხელსაწყოს გამოგონებამ, როგორცაა Eye track, რომელიც ადამიანის თვალის მოძრაობას აკვირდება, საინტერესო დასკვნების საფუძველი მისცა მეცნიერებს. კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ ადამიანი, თავდაპირველად, ყურადღებას ამახვილებს გვერდის ცენტრალურ ვიზუალურ ელემენტზე (სათაურსა და ფოტოზე), მხოლოდ ამის შემდგომ იწყებს კითხვას მის გარშემო. ქვეცნობიერად იგი დროის ეკონომიას ახდენს, გადაახტება რა ვრცელ ტექსტებს და მიდის ვიზუალიზებულ ინფორმაციასთან. დღეს უკვე გამოკვეთილია მთელი რიგი ადამანებისა, რომლებიც არ კითხულობენ გაზეთებს, არ უყურებენ ტელევიზორს და არ უსმენენ რადიოს _ მათთვის გაცილებით მნიშვნელოვან როლს ინტერნეტი და მობილური სერვისები ასრულებენ. იმისათვის, რომ არ დაეკარგა ამ ტიპის ადამიანები მხედველობის არედან, მედია იძულებული გახდა სრულიად ახალი ქონთენთი შეეთავაზებინა მათთვის. ასეთ ქონთენთად სრულიად ახალი პროდუქტი _ლონგრიდი, მოგვევლინა, რომელიც თავის თავში აერთიანებს ონლაინ გარემოს ყველა შესაძლებლობას_ ინტერაქტიულობას, ჰიპერტექსტურობას, მულტიმედიურობას. სწორედ აქედან ჩაეყრა საფუძველი მულტიმედიური ან „კონვერგენციული“ რედაქციების ჩამოყალიბებას, რომელიც დაეფუძნა ისეთი მსხვილი გაზეთების ბაზისს, როგორიც არის მაგალთად გაზეთი «Daily Telegraph» დიდ ბრიტანეთში ან სატელემაუწყებლო კომპანიებს, როგორიც არის (BBC). ასე რომ, მედიის მულტიმედიატიზაციის პროცესი უკვე თანამედროვე ჟურნალისტიკის განვითარების ახალ ეტაპად ითვლება. ეს არის პროცესი, რომელშიც ტრადიციული მედიის ისტორიული გამოცდილება და მედიის ახალი შესაძლებლობები ერთმნეთს ერწყმის. ამ პროცესს მეცნიერები კონვერგენციის (ლათ. convergere – რაიმე ნიშან-თვისებათა დამთხვევა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მოვლენებში; ინტეგრაცია) სახელით მოიხსენიებენ. აღნიშნული ტერმინი უკვე დიდი ხანია მიღებულია ბიოლოგიაში, ეთნოგრაფიაში, ენათმეცნიერებაში, რათა გამოიხატოს ანალოგიური პროცესების ერთმანეთთან შერწყმის პროცესი, ხოლო მედიაში კონვერგენცია საკომუნიკაციო მოწყობილობების, საშუალებებისა და პროცესების თავმოყრას გულისხმობს. მკვლევრები ამ პროცესს სახელდებენ, როგორც „მეოთხე კომუნიკაციურ რევოლუციას“, რაც, პირველ რიგში, ხასიათდება თანამგზავრული და კაბელური ტელეკომუნიკაციის განვითარებით, იმგვარი კომპიუტერული ქსელების შექმნით, რომელთაც ინფორმაციის უზარმაზარი მასივების გლობალურ მასშტაბზე გავრცელება შეუძლიათ.

მედიის კონვერგენციამ ინფორმაციის ციფრულად გარდაქმნა განაპირობა, რამაც შესაძლებელი გახადა მისი გავრცელება სხვადასხვა ფორმებად, კონკრეტული აუდიტორიისა და ტექნოლოგიური პლატფორმისგან დამოუკიდებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ ფაქტობრივად ნებისმიერი ინფორმაციული პროდუქტი შეიძლება ასევე ნებისმიერი მედიაშეფუთვით მოგვევლინოს. სწორედ ეს არის მაპროვოცირებელი მედიის ფორმათა ცვლილებისა, სადაც მედიის ტრადიციული ფორმების გვერდით აღმოცენდება ახალი ერთგვარი „ჰიბრიდული“ ფორმები (ე.წ. ონლაინ და ოფლაინ ფორმები). მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ კონვერგენციის შედეგად იცვლება ინფორმაციული პროდუქტის ბუნებაც, რაც იმაში ვლინდება, რომ ტექსტური, გრაფიკული, ხმოვანი, ვიდეოილუსტრაციები ერთიანდებიან ერთ ინფორმაციულ პროდუქტად,

რასაც სპეციალური ტერმინით (მულტიმედია) აღნიშნავენ. მულტიმედიას, როგორც აწ უკვე ახალ ინფორმაციულ პროდუქტს, ორი ძირითადი მახასიათებელი აქვს: პირველი _ ეს მისი სინთეტიკური ხასიათი გახლავთ, რაც ერთ ინფორმაციულ პროდუქტში სხვადასხვა ტიპის კომბინაციას მოიაზრებს (მაგალითად, ტექსტს, გამოსახულებას, ხმასა და ვიდეოფრაგმენტს), მეორე_ მისი ინტერაქციული მახასიათებელია, რაც პროდუქტს ინდივიდუალიზაციის ანუ მრავალი შესაძლებლობიდან ერთის ამორჩევის შესაძლებლობას აძლევს. სწორედ ეს თვისება ხდის შესაძლებელს უკუკავშირს ინფორმაციის წყაროსთან. ცნობილია, რომ სწორედ აღნიშნული ორმხრივი კომუნიკაციის მოდელი ახასიათებს მასობრივ კომუნიკაციას, რასაც ციკლურობის, უსასრულო წრის პარადიგმასთან მივყავართ, სადაც მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიმღების უკუ რეაქცია.

მედიაკონვერგენცია საინტერესო მოვლენაა ასევე ლინგვისტიკის კუთხითაც. ვიზუალიზაცია და მულტიმედიტიზაციის პროცესი ლინგვისტებს უბიძგებს შეისწავლონ მედიის ენა. კონვერგენცია ტექსტს ტრადიციული სტრუქტურიდან, ლინეარულობიდან, გასვლას სთავაზობს და ფოკუსირებას ახდენს მის ისეთ მახასიათებლებზე, როგორიც არის სიტყვიერი მასალის, ილუსტრაციის, ინფოგრაფიკისა და ა.შ. შერწყმა. ერთ-ერთი ამგვარი ყველაზე მოხმარებადი ტერმინი ამ კუთხით დღეს „კრეოლიზებული ტექსტი“ გახლავთ, ანუ ტექსტი, რომელიც მოიცავს, როგორც ვერბალურ, ასევე არავერბალურ ელემენტებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რიგმა ექსპერიმენტება უჩვენეს, რომ მკითხველი ტექსტს არ კითხულობს ლინეარულად ანუ მთლიანად, სიტყვა-სიტყვით. იგი, დროის ეკონომიის მიზნით, ბოლომდე არ კითხულობს აბზაცს. მულტიმედია ტექსტი კი, ინფორმაციის სხვა სახეა. იგი შესაძლებლობას იძლევა, მკითხველს მიაწოდოს თავისუფალი არჩევანი ელემენტებისა და ინფორმაციისა. მას შეუძლია წაიკითხოს ტექსტი, ან მხოლოდ ფოტოები დაათვალიეროს. ასევე, შეუძლია წაიკითხოს ტექსტი და ნახოს ვიდეო, ფოტოგალერეა დაათვალიეროს. მულტიმედიური ტექსტის მომხმარებელი აქტიურია, რადგან პროდუქტის მოხმარება მისგან მასალის არა მხოლოდ პასიურ ათვისებას, არამედ მის ლოგიკურ მსჯელობას მოითხოვს, რათა ინფორმცია ბოლომდე იქნას აღქმული. ამგვარი ინფორმაცია ყურადღებას იპყრობს. ამ შემთხვევაში, ინფორმაციის აღქმაც მაღალია, განსხვავებით მხოლოდ ტექსტური ინფორმაციისგან.

მულტიმედიურ პლატფორმებზე გადასვლა, რომელიც ქონთენთის ვიზუალიზაციის ახალ დონეზე გადასვლით გამოიხატება,. მედიასფეროში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებებით არის განპირობებული. ტექნოლოგიამ არა მხოლოდ გაუსწრო მედიის შესაძლებლობებს, არამედ გარკვეული რისკების წინაშეც დააყენა იგი. თანამედროვე მედიურ სივრცეში პირიველ ადგილზე გამოდის ტექსტს კრეოლიზაცია ანუ ტექსტის ერთიან სემანტიკო-ფუნქციონალურ ინფორმაცურ ნაკადად გაერთიანება. დღეს უკვე ვერბალური და კრეოლიზებული ტექსტები მკითხველზე კომპლექსურ ზემოქმედებას განაპირობებს.

კონვერგენცია არა მხოლოდ კარდინალურად ცვლის მედიის სტრუქტურას, არამედ ბადებს ახალ ჟანრებსა და ფორმატებს, რომლებიც ტექნიკურად ისეთ მონაცემებს ფლობენ, რაც აერთიანებს ტექსტურ, ვიზუალურ, აუდიალურ, აუდიოვიზუალურ, გრაფიკულ, ანიმაციურ და სხვა ელემენტებს. აქედან გამომდინარე, დღეს უკვე მკვლევრები ახალი მედიის შემდეგ ჟანრებს გამოყოფენ: ტექსტურს, მულტიმედიურსა და სინთეტიკურს. (ტექსტურს მიეკუთვნება ახალი

ამბავი, ესე, სვეტი და ა.შ. ახალი ჟანრებია _ტექსტური ტრანსლაცია, სტატუსი სოცქსელებში. სინთეტიკური _ ჟანრი კი, მოიაზრებს რამდენიმე ელემენტის _ ტექსტის, ილუსტრაციის, ხმის, ინტერაქტივის გაერთიანებას. მულტიმედურ ჟანრებს შორის გამოყოფენ ილუსტრაციულ ჟანრებს, აუდიალურ ჟანრებს, ვიდეოჟანრებს).

აღნიშნული ნიშნების მატარებელი გახლავთ მულტიმედიური პუბლიკაცია სახელწოდებით ლონგრიდი (ინგლ. longread; long read — სიტყვასიტყვ. „ხანგრძლივი კითხვა“). ეს არის ტექსტი, სადაც მთავარი თემა სხვადასხვა მედიური პლატფორმების (ტექსტური და აუდიოვიზუალური) საშუალებების მეშვეობით იხსნება. ლონგრიდში პერსონაჟი პირველ პირში ჰყვება თავის ისტორიას. სწორედ ეს მახასიათებელი აახლოვებს მას მხატვრულ პუბლიცისტიკასთან. უპრიანია, ლონგრიდი განვიხილოთ, როგორც ჟურნალისტიკის ჟანრი. მისი მთავარი ჟანრული მახასიათებელი თემის სისტემურობა (ახალი მოვლენა, სისტემური გამოკვლევა), ღრმა და ხანგრძლივი გამოკვლევა, ჟურნალისტის მიერ დიდი რაოდენობით ინფორმაციული წყაროებისა და ტექსტის კომბინაციაა. ჩვენი აზრით, ლონგრიდის ტექსტურ საფუძვლად შეიძლება იქცეს ისეთი ჟურნალისტური ჟანრები, როგორიცაა: რეპორტაჟი, სტატია, ნარკვევი, მიმოხილვა, ჟურნალისური გამოძიება და მისი ელემენტები. მულტიმედიურ პლატფრმებთან ერთიანობაში, ის ყალიბდება, როგორც განსაკუთრებული სტრუქტურა, ინტერნეტის ნიშანთა სისტემაში ახალ ფორმებს იძენს და აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვისაუბროთ ლონგრიდზე, როგორც ჟურნალისტიკის უნივერსალურ ფორმატზე. ლონგრიდი საშუალებას იძლევა შეიქმნას მკვეთრი ვიზუალური სახე-ხატები. მას მოვლენის დრამატურგიის გახსნა შეუძლია, პროცესების დინამიკური აღწერა. ამგვარი მასალები განსაკუთრებული სტრუქტურით ხასიათდებიან: ტექსტის კომპოზიცია პარალელური თხრობის სქემითიგება,ისტორიებისადარეპორტაჟულიფრაგმენტებისჩანართებით.ლონგრიდისნახვასთან ერთად აუდიტორია არა მხოლოდ კითხულობს ტექტს, არამედ ერთდროულად ეცნობა დანარჩენ ელემენტებსაც: ვიდეოს, აუდიოჩანაწერს, 360-გრადუსიან პანორამებს, ინტერაქტიულ გრაფიკას, ინფოგრაფიკას, ფოტოგალერეას, სლაიდ_შოუს. ლონგრიდის აუდიოვიზუალური ელემენტები მთელ მასალაზე ვრცელდება. ზოგიერთი მათგანის ნახვა შესაძლებელია კითხვის პროცესშიც, ზოგიერთები კი მხოლოდ მასზე მიმართვის შემთხვევაში იხსნებიან. ამასთანავე, აუდიტორია თავად განსაზღვრავს ელემენტების ნახვის განრიგს. მულტიმედური ლონგრიდის ავტორებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, შექმნან ერთიანი, მთლიანი მასალა, რომელიც მოიცავს სხვადასხვაგვარ მულიმედიურ ელემენტებს. ლონგრიდისთვის დამახასიათებელია მასალის აგების განსაკუთრებული ბუნება, რაც შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც მულტიმედიური ნარატივი. ეს არის მოვლენა,რომელიც აერთიანებს ჟურნალისტიკისა და მხატვრული ლიტერატურის თვისებებს: ერთის მხრივ, ის ეხება სოციაალურად მნიშვნელოვან თემებს, გამოირჩევა მოცემული ინფორმაციის ფაქტოგრაფული სიზუსტით წარმოჩენაში, მეორეს მხრივ კი, წარმოადგენს გასართობ ისტორიებს, დაწერილს ცოცხალი ენით, დრამატული სიუჟეტით, სადაც მკვეთრად იგრძნობა ავტორის ხმა. მულტიმედიურ ნარატივს უნარი შესწევს, იყოს ინტერაქტიული, რაც განაპირობებს აუდიტორიის (მომხმარებლის) აქტიურ როლს.

აღნიშნული ტიპის მედიაპროდუქტის პირველი პრეცედენტი 2012 წელს The New York Times_ის მიერ წარმოადგენილი მულტიმედიური პროექტი «Snow Fall»_ია. ეს ჟურნალისტური გამოძიება ვაშინგტონთან ახლოს, კასკადურ მთებზე ზვავის ჩამოწოლის საკითხს მიეძღვნა.

ექსპერტებმა იგი მაშინვე შეაფასეს, როგორც ინფორმაციის მიწოდების ყველაზე კარგი მულტიმედიური ფორმატი. «Snow Fall» – ეს 16 მოთხილმურისა და სნოუბორდისტისა ისტორიაა. ფოტოები, ვიდეო და ინტერაქციული გრაფიკა ფაქტობრივად აცოცხლებს მოქმედების ადგილს და პრობლემის ყველა შრეს. აქ ჩნდება 3D-მოდელის მთები, რაშიც დასწრებისა და თანაგანცდის მაღალი სიხშირეა. პროექტის გრაფიკული დირექტორის, სტივ დუენესის, თქმით, NYT-ის ჯგუფს უნდოდა მკითხველი მულტიმედიურ ფორმატში ჩაეთრია, სადაც მულტიმედიური ელემენტები სრულიად ბუნებრივად შეუწყობდენ ხელს საკითხის გაშლას. მკითხველს შეუძლია მოისმინოს მნახველების მონაყოლი ისტორიები ფაქტთან დაკავშირებით, ნახოს სლაიდ_შოუ, შეისწავლოს რუკა, თუმცა მასალის კვანძად რჩება ტექსტი და თავად ისტორია, რომელიც, თავის მხრივ, ექვსი ნაწილისგან შედგება. აღნიშნული პროექტის განხორციელებამ ბიძგი მისცა სხვა ჟურნალისტებს, შეექმნათ აღნიშნული ტიპის მედიაფორმატები (მაგ.The Guardian («Firestorm», «Seven digital deadly sins“), The Economist («The long walk is over“და ა.შ.). The New York Times-ის მეორე ცნობილი ქსპერიმენტი აღნიშნულ ჟანრში ელენ ბარის მულტიმედიური ფორმატის რეპორტაჟი სახელწოდებით „დავიწყებული რუსეთი“-ა (The Russia Left Behind), რომელიც 2013 წლის ოქტომბერში გამოვიდა. მთავარ ფოტოზე ვხედავთ ქალს თავსაფარში, რომელიც ეკლესიაში მიდის. გვერდის „გადახვევისას“ ჩნდება ინტერაქციული მარშრუტი სანკტ-პეტერბურგიდან მოსკოვსკენ. ეს ლონგრიდი ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ სიუჟეტით, არამედ გრაფიკულადაც. ტექსტში ბევრი დიდი მასშტაბის ფოტო და ვიდეორგოლია.

ინფორმაციული ხმაურისა და ინფორმაციული ომის პირობებში, აუდიტორიას გადამეტებულად ჭარბი ინფორმაციული „ფასთ ფუდი“ აქვს, რის გამოც მას გაუჩნდა მოვლენის არსში წვდომის სურვილი, რაც ლონგრიდმა საკუთარ თავზე აიღო. ლონგრიდები, ის ვრცელი ისტორიებია, რომლებშიც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხებია განიხილული. ლონგრიდში ხდება მოვლენის სოციოლოგიური, პუბლიცსტური და მხატვრული კვლევა და ეს სწორედ მაშინ, როდესაც 1990-2000 წლებში უკვე პრაქტიკულად უარი ეთქვა ისეთ მსხვილ ჟანრულ ფორმებს, როგორიცა არის ესე და სტატია. დღევანდელი მკითხველისთვის უკვე არაფრისმომცემია ინტერნეტმედიაში მცირე ზომის, მშრალი, დეპეშური სტილით ნაწერი ტექსტები და ყურადღებას იმგვარი მასალები იპყრობენ, სადაც დიდია ანალიზისა და შემდგომ მკითხველის ინტროვერსიის კოეფიციენტი. ანუ მკითხველისთვის უკვე საინტერესოა, არა ჟურნალისტური ფაქტი ცალსახად, არამედ მისი ანალიზი. ამიტომაც, აუცილებელია შეირჩეს სრულიად ახალი ფორმატი. ეს ფორმატი გახლავთ ლონგრიდი, რომლისთვისაც აქტუალურია, არა ინფორმაციის ოპერატიული მიწოდება, არამედ მრავალპლასტიანი ანალიზი. უნდა გამოიყოს ორი ტიპის ლონგრიდი: ტრადიციული (ტექსტი პლუს სტატიკური ილუსტრაციები) და მულტიმედიური ლონგრიდები. ტრადიციული ლონგრიდის შემთხვევაში, ტექსტი გვერდით არის მოთავსებული, დანაწევრებულია ბლოკებად და ახლავს ფოტოები. ამგვარი მასალის აღქმა მეტ-ნაკლებად უჭირს მკითხველს, ამიტომ მულტიმედიური ფორმატები გაცილებით ხელმისაწვდომია.

მულტიმედიურ ლონგრიდებში ან ე.წ. „სნოუფოლებში“ (სიტყვიდან Snow Fall, რომელიც პირველი მულტიმედიური ლონგრიდის სათაურიდან მომდინარეობს) შეინიშნება ინტერაქტიული მასალების სიჭარბე (ინფოგრაფიკა, სლაიდშოუ, ვიდეო, აუდიო რიგი), თანამედროვე დიზაინი. ინფორმაციის ტონი ვიზუალურად ლამაზადაა განთავსებული.

მკითხველს მხოლოდ გადახვევა (scroll „ჩამოსქროლვა“) სჭირდება და გვერდზე ავტომატურად იტვირთება ტექსტის თანმხლები ფოტოები, ვიდეო, ინფოგრაფიკა, 3-D პანორამები. ყოველივე ეს კი, როგორც ვახსენეთ, სრული დასწრების ეფექტს ქმნის. თუმცა ლონგრიდების ეფექტი მხოლოდ ამით არ არის მიღწეული. აქ არის მთლიანობა ტექსტის, ფოტოსი, ვიდეოსი, ხმის, ინფოგრაფიკის და ამასთანავე, მნიშვნელოვანია ვერბალური ასპექტიც. სწორედ ტექსტი კრავს, აერთიანებს მულტიმედიურ ისტორიას, აძლევს მას ანალიტიკურობასა და მხატვრულობას. ეს შეიძლება დახასიათდეს შემდეგნაირად: ლონგრიდი _ ეს არის ისტორია, რომელიც მოყოლილია რამდენიმე მულტიმედიური საშუალების გამოყენებით და იმგვარად არის აწყობილი, რომ ყოველი მულტიმედიური ელემენტი ამატებს და ავითარებს ძირითად თხრობას, თუმცა ამავდროულად, პოსტმოდერნისტული ტექსტის მსგავსად, რომელიმე ელემენტს გარეშე თხრობა არ კაგავს აზრს (რიზომა).

როგორც ვხედავთ, ლონგრიდების უპირატესობები ნათელია, თუმცა არის ნაკლოვანებებიც. ეს ფორმატები ხშირად თავსებადია დიდ ეკრანებთან, მხოლოდ ასეთ შემთხვევებში არის შთამეჭდავი. სმარტფონიდან ლონგრიდის შეფასება ცოტა რთულია, ხოლო iPad-ში ზოგი ლონგრიდი მხოლოდ სტატიკურ ფორმატში იხსნება. ასევე, აუცილებელია აღინიშნოს მისი ეკონომიკური ასპექტიც: მულტიმედიური ჟურნალისტიკა ძვირადღირებულია. კონვერგენტულ რედაქციებში მხოლოდ კვალიფიციური კადრები მუშაობენ და საორგანიზაციო პროცესიც საკმაოდ რთულია. ამიტომ, ბევრ რედაქციას არ ძალუძს ფინანსურად საჭრო რესურსების გაცემა. რაც შეეხება საქართველოს, ეს არ გახლავთ უტოპიური იდეა, (უნდა აღინიშნოს, რომ გვაქვს ქართული ლონრიდების მცირე ნიმუშებიც, რომლებიც „სპუტნიკი-საქართველოს“ ვებ გვერდზეა განთავსებული. ( https://sputnik-georgia.com/longread/20170520/). აღსანიშნავია, შემდეგი ლონგრიდები: „წყალდიდობა თბილისში. როგორ იწყებოდა“ (https://sputnik-georgia.com/longread/20170520/ ), „სიყვარული ქართული აქცენტით“ (https://sputnik-georgia.com/multimedia/20170214/234872042/sikvaruli-kartuli-akcentit.html), „არჩევნები 2016: სადეპუტატო სავარძლების პრეზიდენტი პარტიების ტოპ-8“ (https://sputnik-georgia.com/politics/20160929/233339370/archevnebi-2016-deputatis-kandidati-top-8.html), „სოფიკო ჭიაურელი: გატეცება, კინო, სიყვარული“ (https://sputnik-georgia.com/longread/20170520/236032301/sofiko-chiaureli-gataxeba-kino-da-siyvaruli.html) არამედ ეს არის ქართული მულტიმედიური ჟურნალისტიკის მომავალი. თუმცა საქართველოში ჯერჯერობით, მუშაობს ის, რაც ადრე მუშაობდა. სარედაქციო პროცესები ინერციით მიედინება. ამიტომ, საჭიროა ჟურნალისტების განათლებასთან და მულტიპლათფორმურობასთან ადაპტირება, რადგან ქონთენთის ექსკლუზიურობა და ოპერატიულობა უკვე აღარ არის განმსაზღვრელი ფაქტორი (ახალ მედიაგარემოში ქონთენთის ექსკლუზიურობა მხოლოდ 5 წუთის განმავლობაში არსებობს, რის შემდეგაც ხდება მასალის ტირაჟირება სხვადასხვა მედიების მიერ). დღეს უკვე განსაკუთრებული ყურადღება აუდიტორიას უნდა დაეთმოს. მნიშვნელოვნების ცენტრმა უნდა გადაინაცვლოს კონკურენციიდან ტექსტის ხარისხსა და მისი მომხმარებელთან მიტანის ხარისხზე. დღესდღეობით სტატია სულაც არ არის ტექსტი, იგი უკვე პროექტია და მნიშვნელოვანია, თუ რამდენად საინტერესოდ და ღრმად არის პრობლემა გაანალიზებული. მაგალითად, მულტიმედია სტატია დღეს უკვე კონვერგენციული რედაქციის მუშაობის მწვერვალად შეიძლება ჩაითვალოს. ამგავრი სტატია უკვე ჟურნალისტთა ჯგუფის ერთობლივი

მუშაობის შედეგია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ვისაუბროთ მულტიმედიურ სივრცეში შესვლის პროცესზე, რაც ითვალისწინებს ჟურნალისტებისა და რედაქტორების სპეციალურ მომზადებასა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მულტიმედიურად აზროვნებას, რათა შეიქმნას თანამედროვე, ხარისხიანი მულტიმედიური პუბლიკაციები. ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი გვინდა, რომ ჟურნალისზმის მწვერვალს ვესწრაფვოთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ტრადიციული ფასეულობები და ჟურნალისტური კომპეტენციები, მაგრამ ამასთანავე, ჟურნალისტმა ახალი გამოცდილებაც უნდა შეიძინოს, რათა შექმნას მრავალფეროვანი ვიზუალური ქონთენთი, რათა შეარწყას მულტიქონთენთი თანამედროვე ფორმასთან, რაც საინტერესო იქნება, როგორც შინაარსით, ასევე ესთეტიკურადაც.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. Alexander C., Kaufman (January 4, 2013). "How BuzzFeed Is Betting on Hollywood, Long-Form Writing to Grow". The Wrap. Retrieved 5 January 2013
2. Zhang, Mona. "Good Times for Long-Form Journalism?". 10,000 Words. MediaBistro. Retrieved 6 January 2013.
3. Carr, David (March 27, 2011). "Long-Form Journalism Finds a Home". The New York Times. Retrieved 5 January2013


***Kvantaliani Sophiko***


**Resume**

The influence of internet technology upon journalism had a huge impact on its content. New information formats such as multimedia longread appeared. It is an interactive material based on a long text with audiovisual components in it. The article represents a multimedia longread concept, gives its general characteristics, describes substantial and formal features, along with its compositional peculiarities.


*Keywords: journalism, multimedia,longread (Long-form journalism)*

# მედიაგანათლების ესთეტიკური თეორია

*ლია ქათამაძე*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

რეზიუმე

მედიაგანათლების ესთეტიკური თეორია ცდილობს დაიცვას საზოგადოება, განსაკუთრებით მისი მოზარდი და ახალგაზრდა ნაწილი თანამედროვე მედიის ნეგატიური ზეგავლენისგან, რომელიც მასობრივი კულტურისგან მოდის. ესტტიკური (მხატვრული) თეორიის მიზანია მედიის მხატვრული სპექტრის კვალიფიციური ანალიზის უნარების გამომუშავება, მედიაკულტურის ენის ახსნა და დეკოდირების სწავლება, ესთეტიკური აღქმისა და გემოვნების გამომუშავება. ამ ძირითადი მიზნების მიღწევა უნდა ხდებოდეს არა მხოლოდ იმ მეთოდებით, რომლებიც წინ წამოწია ამ თეორიამ გასული საუკუნის 60-იან წლებში, არამედ მედიაკულტურის საზღვრების გაფართოებითა და ჭეშმარიტი კულტურული ღირებულებების გააქტიურებით.

*საკვანძო სიტყვები: მედიაგანათლება, მედიაკულტურა, ესთეტიკური კონცეფცია, კვალიფიციური ანალიზი, კლასიკური ხელოვნება*

## I. შესავალი

მეოცე საუკუნიდან ჩნდება დიდი უკმაყოფილება მედიის შინაარსით და იმ უარყოფითი ზეგავლენით, რომელსაც ის ახდენს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. მედიაგანათლების ნიადაგზე აღმოცენდა არაერთი დამცავი თეორია. თითოეული მათგანი აქტუალური იყო მედიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ევროპის ,აშშ და საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის სამეცნიერო წრეებში ეს კონცეფციები სხვადასხვა პოპულარობით თუ თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომით გამოირჩეოდა, განსხვავებული იყო მედიაგანათლებისადმი დამოკიდებულება დროთა განმავლობაში ცვალებადი ტენდენციების მიხედვითაც. მედიაგანათლებისადმი არსებული სამეცნიერო მიდგომების მრავალფეროვნება აისახა თეორიათა სიმრავლეში. ესენია: ინექციური, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების თეორია, პრაქტიკული, კრიტიკული აზროვნების თეორია, სემიოტიკური, სოციოკულტურული, კულტუროლოგიური და ესთეტიკური თეორიები და მაინც, მედიაგანათლების თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მსოფლიოში არ არსებობს ერთიანი თეორიული კონცეფცია მედიაგანათლების შესახებ. მედიაგანათლების ყველა თეორია თავისებურად მართებულია, რადგან კეთილშობილურ მიზნებს ემსახურება. განათლება ყოველთვის შეიცავს გამართლებას, რაც არ უნდა დიამეტრულად განსხვავებული და ურთიერთგამომრიცხავიც არ უნდა იყოს სხვადასხვა მიდგომა.ცნობიერების დამცავი არაერთი კონცეფციიდან, რომელიც მედიაგანათლების ნიადაგზე აღმოცენდა, საინტერესოა ესთეტიკური (მხატვრული) თეორია, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების, განსაკუთრებით მოზარდი და ახალგაზრდული ნაწილის , დაცვას იმ ზეგავლენისგან, რომელსაც თანამედროვე მედია მასობრივი კულტურის კულტივირებით აღწევს. მედიაგანათლების ესთეტიკური თეორია, რომლის პოპულარობის პიკი გასული საუკუნის 70-იან წლებზე მოდიოდა ევროპაში, დღეს შევიწროებულია, რადგან კრიტიკული აზროვნების, სემიოტიკურმა და კულტუროლოგიურმა თეორიებმა უფრო შეითავსა თანამედროვე მედიაკულტურის პრაგმატიზმი. ესტეტიკური თეორია

განსაკუთრებულ მნიშვნელობას უნდა იძენდეს დღეს, როდესაც მედიის კომერციალიზაციამ სრულიად შეცვალა მისი შინაარსი და რაც უფრო სამწუხაროა, გადაადგილა ფასეულობები, გააიაფა და ესთეტიკის გარეშე დატოვა ესთეტიკური სიამოვნება, სამომხმარებლო სფეროდან შემოიჭრა სიტყვა ,,ხარისხი" და კულტურის პროდუქტის შემფასებლურ კრიტერიუმად იქცა. ესთეტიკური თეორია მედიატექსტის სწორი გაშიფვრით ასწავლის ახალგაზრდა თაობებს შეფასების სწორ კრიტერიუმებს და თითოეული მედიაკულტურული ტექსტისადმი კვალიფიცირებულ მიდგომას.

## II. ძირითადი ნაწილი

დღეს, ინფორმატიზაციის საუკუნეში, საინფორმაციო ტექნოლოგიების ზეგავლენა ადამიანის ცნობიერებაზე, მის სულიერ სამყაროზე აშკარაა. ვიზუალურ-იკონური სიმბოლოების გააქტიურებამ სრულიად განსხვავებული კომუნიკაციური მოდელები, მსოფლაღქმა და ესთეტიკა შექმნა. ბეჭდური ეპოქის ინდივიდუალიზმი, შემოქმედებითი პროცესის ინტრაპერსონალურობა ჩაანაცვლა პოსტმოდერნისტულმა კოლექტივიზმმა, ჯგუფურმა კრეატიულობამ. ელექტრონულმა მედიამ ,,გადააშენა" გენიოსები, ციფრულმა კი ეს პროცესი იმით დაასრულა , რომ ,,ხელოვნური ინტელექტის" სრულყოფისკენ მიმართა კაცობრიობის კოლექტიური ინტელექტი .

ანტიკურ, ფეოდალურ და ინდუსტრიულ საზოგადოებებში ხელოვნება ემსახურებოდა ესთეტიკურ მიზნებს, რაც განაპირობებდა შედეგსაც-ხელოვნების მეშვეობით ესთეტიკურ ტკბობას. ელექტრონული და ციფრული საზოგადოების მედიები მიმართულია ფართო მასებისადმი. რა თქმა უნდა, ამაღლებული ესთეტიკური მიზნებით მედია ვერ გაართობდა მასებს, რომელსაც დეკოდირების უნარიც კი არ შესწევს. ასე დაამკვიდრა მედიამ პოსტმოდერნისტული კულტურა ,რომელიც გარდა იმისა, რომ მდარე შინაარსისაა, აგრესიულია და ავიწროებს ჭეშმარიტ ხელოვნებას. პოსტმოდერნულ საზოგადოებაში პროფესიული ცოდნით აღჭურვილი ჯგუფები ორიგინალურს ვერაფერს ქმნიან, ინდივიდუალური ნიჭის, ტალანტის თვისებები ჯგუფს შეუძლებელია ჰქონდეს. მიტომ ეს შემოქმედებითი ჯგუფები ხშირად იკვებებიან კლასიკური კულტურის ნასუფრალით, ამარტივებენ და იაფფასიანი ეფექტებით ფუთავენ. თანამედროვე მედია ამ კულტურის პოპულარიზაციას ეწევა და ასე მკვიდრდება მასების კულტურა. მედიაგანათლება არის ყველაზე მებრძოლი დარგი, რომელსაც ხელეწიფება მედიის ამ ნეგატიურ ტენდენციებთან გამკლავება.რაც შეეხება ესთეტიკურ თეორიას,ის სწორედ იმ ფლანგს უტევს, რომელიც მხატვრული მედიაკულტურისადმი მიდგომის თემას უკავშირდება.

ესთეტიკური თეორია მოსწავლეებისა და სტუდენტების ესთეტიკურ განათლებას ისახავს მიზნად. სწორედ ცოდნაა ის, რაც შესაძლებელია აღუდგეს ყოველგვარ სიმდარეს. მედია არჩევანს არ უტოვებს ახალგაზრდა ადამიანებს და ისინიც მოჯადოებულ წრეში ტრიალებენ: გემოვნება არ უვარგათ იმიტომ, რომ მედია იაფფასიან პროდუქტს აწვდის და მედია იმის გამო აწვდის იაფფასიან პროდუქტს, რომ აუდიტორიიდან მოდის ეს მოთხოვნა. ესთეტიკური თეორიის მიზანია ,დაეხმაროს აუდიტორიას მედიატექსტების გაგებაში.ეს პროცესი უნდა იქცეს ესთეტიკური ენტროპიად - იმ უცოდინარობის შემცირებად, რომელიც ხელოვნების, კულტურის დარგში აქვთ მოზარდებსა და ახალგაზრდებს.მედიაკულტურის ენის შესწავლა არის მნიშვნელოვანი მედიატექსტის გასაგებად, და მაინც, რა არის ხელოვნების ენა? ეს არის მისი საფუძვლიანი ცოდნა, მასთან მუდმივი შეხება - ესაა ხანგრძლივი სწავლა და პრაქტიკა. ამიტომ მიიჩნევენ ესთეტიკური

თეორიის წარმომადგენლები, რომ ხელოვნების ისტორიის ცოდნა და ტექსტის ანალიზი იძლევა საშუალებას, რომ მოსწავლემ შეძლოს მხატვრული ტექსტის კვალიფიციური შეფასება.მე-20 საუკუნის სამოციან წლებში პოპულარულმა ამ თეორიამ მთელი აქცენტი კინოხელოვნებაზე გააკეთა და მოსწავლეებს მედიაკულტურის ამ სფეროს ძირფესვიანი შესწავლა დაუსახა მიზნად. შესაძლებელია, ამის მიზეზი იყო კინოგანათლების განსაკუთრებული პოპულარობა სამოციან წლებში.(7), რამდენადაც კეთილშობილურია ესთეტიკური თეორიის სტრატეგია, იმდენად ცალმხრივი აღმოჩნდა და სუსტი მისი პედაგოგიკური ტაქტიკა. მედიაგანათლების ცნობილმა ინგლისელმა მკვლევარმა ლ. მასტერმანმა ამ თეორიას დისკრიმინაციული მიდგომა (Discriminatory Approach) უწოდა, რადგან კვალიფიციური მსჯელობა მედიაკულტურის შესახებ არ შეიძლება დავისახოთ მედიაგანათლების საბოლოო მიზნად.(3,25)შემდგომში კრიტიკული აზროვნების, სემიოტიკური და კულტუროლოგიური თეორიების მიმდევრებმა შეუტიეს ესთეტიკური (მხატვრული) თეორიის ობიექტს - კულტურას. ისინი მიიჩნევდნენ, რომ მედიის მხატვრული სფერო არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი თანამედროვე მსოფლიოში. ამიტომ მედია ტექსტი უნდა შეფასდეს არა მისი ესთეტიკური თვისებებით, არამედ მისი არსით. ამ ტენდენციებმა მედიაგანათლების სფეროში კვლავ დააკნინა მედიაკულტურის შინაარსი, უფრო მეტი აქცენტი გაკეთდა იდეებზე, მესიჯებზე, პოპულარულ თუ არაპოპულარულ პროპაგანდაზე. კვლავ ჩრდილში მოექცა ჭეშმარიტი კულტურული ღირებულებები. სინამდვილეში უპრიანი იქნებოდა ესთეტიკური თეორიის საზღვრების გაფართოება - კინოხელოვნებიდან მხატვრული აზროვნების სხვა სფეროებამდე. რაც შეეხება ფასეულობრივ სისტემას, ის ნამდვილად ღირებულია, თუმცა კ. ტაინერმა სწორედ ეს დაუწუნა ესთეტიკურ თეორიას: ,,ზოგიერთი ტექსტი (როგორც წესი, მასწავლებლის მიერ შერჩეული) ითვლება ,,კარგად", ხოლო სხვა(მოსწავლეთა ფავორიტი ტექსტები) კი - ,,ცუდად". ფასეულობრივი საკითხები ,,კარგი" ,,ცუდის" წინააღმდეგ რჩება მთავარ საკითხად"( 5,115) ეს უხერხულობა მართლაც შეიმჩნევა ,როდესაც მასწავლებელი შეფასების სწავლების მიზნით ასეთი კატეგორიულია და ახარისხებს მედიატექსტებს. მაგრამ, სწორედ ფასეულობების ცოდნა უწყობს ხელს სწორი შეფასებითი სისტემის ჩამოყალიბებას ქართულ სასწავლო-საგანმანათლებლო სივრცეში დღეს არ მუშაობს მედიაგანათლების არც ერთი კონცეფცია, მაგრამ განათლების სფეროში განსაკუთრებით პოპულარულია კრიტიკული აზროვნების გამომუშავების მოთხოვნა. სკოლებში მხატვრული ტექსტების ანალიზი ლიტერატურის გაკვეთილებზე თუ ეროვნულ გამოცდებზე ძირითადად ამ მიმართულებით ხდება მოსწავლის როგორც განვითარება ,ასევე შეფასება ხდება კრიტიკული აზროვნების უნარების მიხედვით. ცოდნის დაგროვება მხატვრულ ტექსტთან მიმართებაში თანდათან უფრო არაპოპულარული ხდება. ეს არა მხოლოდ არინფორმირებულობას იწვევს, არამედ ვიღებთ ესთეტიკური აღქმის უნარების სრულ დაკნინებას, გემოვნების დაქვეითებას. ცალკეული სასწავლო დისციპლინები (ხელოვნება, მუსიკა) ესთეტიკურ მიზნებს კლასიკური მოდელით ემსახურებიან, მაგრამ ცოდნის მიღება მედიაკულტურისგან, მედიატექსტებისგან მოწყვეტილად საერთოდ არ იძლევა სასურველ შედეგს. მედიაგანათლების ესთეტიკური თეორია დამცავი შეიძლება აღმოჩნდეს კულტურული ძალადობისგან, რომელიც მედიისგან მოდის. ამ ძალადობის საუკეთესო მაგალითია ,,საქართველოს ფანოღი", რომელიც დღითიდღე უფრო პოპულარული ხდება ან ეს მოზღვავებული სერიალები. განათლება არის ერთადერთი და

ყველაზე მართებული გზა. სწორედ მედიაგანათლება და ამ შემთხვევაში ესთეტიკური აღქმის სწორი მიმართულებით წარმართვა არის საზოგადოების ადეკვატური მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბების ერთადერთი გზა.

III. დასკვნა

ამრიგად, მასობრივი კულტურის შემოტევის ამ ეპოქაში მნიშვნელოვანია მედიაგანათლების ესთეტიკური(მხატვრული)თეორიის რეანიმაცია. მოზარდებში კრიტიკული ანალიზით მიღწეული შედეგები რჩება მხოლოდ მედიატექსტის იდეური შინაარსის გააზრების დონეზე. მხატვრული ტექსტის აღსაქმელად ეს საკმარისი არ არის. საზოგადოება არაადეკვატურად აფასებს მედიაკულტურის შინაარსს და ეს საბოლოოდ აკნინებს მის ესთეტიკურ აღქმასა და გემოვნებას. ესთეტიკური ცოდნა და მასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევები ბავშვობასა და მოზარდობაში უნდა მიიღოს და გამოიმუშავოს ადამიანმა. ესთეტიკური თეორია ერთ-ერთი და არა ერთადერთია მედია საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად, მაგრამ მისი როლი და მნიშვნელობა დიდია. ამიტომ ესთეტიკური(მხატვრული)კონცეფცია ძველი სიმძლავრით და ახლი შინაარსით უნდა ამუშავდეს კრიტიკული აზროვნების, სემიოტიკური, სოციოკულტურული და კულტუროლოგიური თეორიების გვერდით.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. რუსუდან ქავთარაძე, მედიაპედაგოგიკა - რეალობა და პერსპექტივები ქართულ სინამდვილეში, დისერტაცია,ბათუმი-2012წ.;
2. ჯეიმს პოტერი, მედიაწიგნიერება, თბილისი, 2014,,სამოქალაქო განვითარების უნ-ის გამოცემა;
3. Masterman L ., A Rational for Media Education//Media Literaci in the Information Age;
4. Masterman L. Teaching the Media. London, 1985.;
5. Tyner K. Literacy in the Digital World: Teaching and Learning in the Age of Information. Mahwan(USA), 1998;
6. Федоров А.В. Медиаобразование: история, теория и методика, Ростов н/Д,2001.
7. Федоров А.В., Новикова А.А. Ключевые теории медиаобразования // Преподаем журналистику : взгляды и опыт СПБ: Изд-во СПБ гос ун-та,2006.


*Лия Катамадзе*

**Эстетическая теория медиаобразования**

**Резюме**

Эстетическая теория медиаобразования старается защитить общество, особенно его подростковую и молодежную часть от негативного воздействия медиа, которая идет от массовой культуры. Цель эстетической (художественной )теории: развить способности к квалифицированному анализу художественного спектра медии; обьяснить и научить понимать и декодировать язык медиакультуры; развить эстетическое восприятие и вкус. Достижение этих целей должно быть не только теми методами, которые были выдвинуты в 60-е годы прошлого столетия, а расширением границ медиакультуры и активацией истинных культурных ценностей.

# ინტერნეტი და ახალი სოციალური რეალობა

*მამუკა შელეგია*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

რეზიუმე

სტატიაში საუბარია ახალ სოციალურ რეალობაზე, რომელიც ინტერნეტის გამოგონების შედეგად შეიქმნა. მოკლე ხანში ის კომუნიკაციის წარმატებული საშუალება გახდა. თავისი მულტიმედიური და ჰიპერტექსტური შესაძლებლობებით მას შეუძლია ფართო და მრავალფეროვანი ინფორმაციის გადაცემა, საზოგადოების მომენტალური რეაგირება ფაქტებსა და მოვლენებზე, სოციუმის ცხოვრების ასახვა-გაშუქება და რაც მთავარია, ცალკეულ ადამიანებსა თუ  ჯგუფებს შორის ურთიერთკავშირის დამყარება.  ჩამოყალიბდა ახალი, განსხვავებული სოციალური ერთობა, ე.წ. ქსელური საზოგადოება, რომელთა ერთმანეთთან სისტემატური კონტაქტი მეტ-ნაკლებად საერთო ინტერესებს ემყარება. გაჩნდა ტრადიციული მასკომუნიკაციისაგან განსხვავებული ინტერნეტმედია, რომელიც არაა დამოკიდებული მედია მფლობელების, რედაქტორებისა თუ პროდიუსერების ნება-სურვილსა და პოლიტიკურ კონიუნქტურაზე.  ყოველივე ეს ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებასა და ჩამ ოყალიბებას.

***საკვანძო სიტყვები:*** *ინტერნეტმედია, სოციალური რეალობა, მასკომუნიკაცია,     მულტიმედია.*

## I. შესავალი

ინტერნეტის მომხმარებელთა მუდმივ ზრდასთან ერთად, საზოგადოების ვირტუალიზაციის საკითხი სულ უფრო აქტუალური ხდება. ვირტუალური რეალობა თავიდან განიხილებოდა როგორც "კიბერსამყარო", "კიბერსივრცე". ამ მნიშვნელობით ეს ტერმინი პირველად უილიამ გიბსონმა გამოიყენა თავის ტექნოუტოპიურ რომან-ტრილოგიაში "კიბერსივრცე" (პირველ წიგნში: "ნეორომანტიკი"), სადაც კიბერსამყარო დახატულია, როგორც მილიონობით ადამიანის კოლექტიური ჰალუცინაცია. ისინი ერთმანეთთან კომპიუტერული ქსელებით არიან დაკავშირებულნი და სხვადასხვა გეოგრაფიულ ადგილებში  არიან და სხვადასხვა კომპიუტერის მიერ გრაფიკულად წარმოსახულ თავიანთ სამყაროში არიან ჩაძირულნი. ტერმინი "ვირტუალური რეალობა" კი, 1989 წელს ამერიკელმა ფუტუროლოგმა, მეცნიერმა და კომპოზიტორმა ჯოან ლანიემ დაამკვიდრა.

ინტერნეტი სოციალური რეალობის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს. Fფენოლოგიის თვალსაზრისით, სოციალური რეალობა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ვირტუალური. ითვლება, რომ ფენოლოგიური რეალობა იგივე ნიშნებს შეიცავს, რასაც ვირტუალური. უმთავრესად მისი რეფლექსიური საფუძვლის გამო. ვირტუალურ რეალობაში იგულისხმება სუბიექტის "შინაგანი მდგომარეობა", რომელიც შეიძლება გარეგანი მიზეზებით იყოს გამოწვეული, მათ შორის კომპიუტერული ტექნოლოგიებითაც.

## II. ძირითადი ნაწილი

21-ე საუკუნე, შეიძლება ითქვას, სოციალური მედიის საუკუნეა.  დედამიწის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი ამა თუ იმ ფორმით ჩართულია სოციალურ ქსელში, უკავშირდება

მეგობრებს, იღებს და ავრცელებს ინფორმაციას, გამოხატავს და აფიქსირებს საკუთარ პოზიციას. ვირტუალური სივრცე ალტერნატიულ სამყაროდაც კი იქცა, სადაც მოვლენები გაცილებით უფრო სწრაფად და კანონზომიერი თანმიმდევრობით ვითარდება.Kკომუნიკაცია კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო და ტექნიკის განვითარებასთან ერთად მის გაუმჯობესებასაც მუდმივად ცდილობდნენ, მაგრამ ის, რაც უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში მოხდა, წარმოუდგენელი ნახტომი იყო ამ გზაზე. საუბარია კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე, კერძოდ, ინტერნეტზე – "მსოფლიო ობობას ქსელზე", რომელშიც "გაბმულია" ასეულობით მილიონი ადამიანი. საქართველოშიც ფართოვდება ინტერნეტის ქსელი. შეიძლება ითქვას, რომ ის ჩვენი საზოგადოების განუყოფელი ნაწილი გახდა. ტელევიზიის შემდეგ ინტერნეტი ინფორმაციის ყველაზე ხელმისაწვდომი და იაფი საშუალებაა. ინტერნეტის შემქმნელთა ერთი მიზანიც ეს იყო, მისი მარტივ და ხელმისაწვდომ საკომუნიკაციო საშუალებად ჩამოყალიბება. ინტერნეტის ქართულ სეგმენტშიც ჩამოყალიბდა ახალი, განსხვავებული სოციალური ერთობა, ე.წ. ქსელური საზოგადოება. Eესაა ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც ერთმანეთთან სისტემატური კონტაქტი აქვთ და ამისათვის კავშირის ერთნაირ საშუალებებს იყენებენ.Eეს ურთიერთობა მეტ-ნაკლებად საერთო ინტერესს ეფუძნება.Aამ ურთიერთობებს ხელს უწყობს და აძლიერებს კომპიუტერული ტექნოლოგიების, კერძოდ, ინტერნეტის განვითარება. ამის დასტურია სულ ახლახან, 2017 წლის 14 ივნისს გავრცელებული ცნობა, რომლის მიხედვითაც გავიგეთ, რომ "ფეისბუქის" ხელოვნური ინტელექტის კვლევითი განყოფილების ინჟინრებმა პერსონალური ასისტენტი შექმნეს. "ფეისბუქის" "Chetbol"-ს შეუძლია კომუნიკაცია სხვა "Chetbol"-თან, ან უშუალოდ ადამიანთან, შეუძლია მოლაპარაკება საქონლის ფასზე, ბრძანების შესაბამისად დანიშნოს შეხვედრა. შემდეგი ნაბიჯი "ქოლცენტრებში" ადამიანური რესურსის ჩანაცვლება იქნება. სამომავლოდ კი, პროგრამის კიდევ უფრო დახვეწაა დაგეგმილი. მას შეეძლება ადამიანების ჩვევების შესწავლა და ამის საფუძველზე მოლაპარაკებების წარმართვა.

ასეთმა ტექნოლოგიურმა კვლევებმა ახალი რეალობა შექმნეს ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. კერძოდ, მასკომუნიკაციის სფეროში. ადამიანს პირველად მიეცა საშუალება აირჩიოს ინფორმაციის მიღების წყარო, არამხოლოდ ტელევიზიით ან ჟურნალ-გაზეთებიდან, არამედ ინტერნეტითაც, რომელიც მათგან პრინციპულად განსხვავდება. ტელევიზიით თქვენ უყურებთ იმას, რასაც გიჩვენებენ, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ სხვა არხზე გადართოთ, მაგრამ ინფორმაციის არჩევანი აქაც მწირია, კონკრეტული არხისაგან მიწოდებული. სულ სხვა ვითარებაა ინტერნეტში. თქვენ მისი საშუალებით გაცნობიერებულად ეძებთ კონკრეტულ ინფორმაციას, კონკრეტულ სიტყვას, ამის მიხედვით საძიებო სისტემა ჩამოგიშლით სხვადასხვა ლინკებს და თქვენთვის ინტერნეტი ხდება უფრო ზუსტი და სწრაფი, ვიდრე სხვა მედიასაშუალება.

იყო დრო, როდესაც ინფორმაცია ტრადიციული მასმედიის ხელში იყო. დღეს, ინტერნეტის მზარდი განვითარების პირობებში, ადამიანს მსოფლიოს პრაქტიკულად ნებისმიერ წერტილში გაცილებით მეტი საშუალება აქვს გაიგოს სამყაროში მიმდინარე პროცესების შესახებ. დღეს აღარ არის საჭირო მოვემზადოთ და დაველოდოთ საღამოს საინფორმაციო ამბებს. Aაქამდე მასმედია აკონტროლებდა ჩვენს დროს, ახლა ინფორმაციის მისაღებად ჩვენ ვირჩევთ დროსა და ადგილს. სოციალურმა ქსელებმა, ბლოგებმა და ჩატებმა შეცვალეს მედიამიწოდების წესები. Aადრინდელისაგან განსხვავებით, დღევანდელი მაღალტირაჟიანი ჟურნალ-

გაზეთები იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ მულტიმედიურ და სოციალურ მედიას და პრაქტიკულად ლიბერტარიანულ პირობებში, კონკურენცია გაუწიონ ხშირად არაპროფესიონალ, მაგრამ მოტივირებულ ადამიანებს. დღეს პრაქტიკულად წარმოუდგენელია ცნობილი გაზეთის, ჟურნალის, ტელე ან რადიოსადგურის პოვნა, რომელსაც არ აქვს საკუთარი ინტერაქტიული ვებ-გვერდი. ამგვარად, ინტერნეტმედია ძლიერდება და პირველად ისტორიის განმავლობაში, ტრადიციულ მასმედიას ალტერნატიული მედიის წესებით თამაში უწევს, რომელიც სულ უფრო მძაფრდება. ინტერნეტი თანდათან იხვეწება, მისი ინფორმაციული სისტემატიზაცია და მიწოდება მარტივი და იაფი ხდება. ამ და სხვა მახასიათებლების გამო, ინტრნეტი ტრადიციულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს რამდენიმე პარამეტრით "უგებს":

მულტიმედია – ინტერნეტს შეუძლია სხვა საინფორმაციო საშუალებების ვიზუალური, ხმოვანი, ნაბეჭდი და ვიდეო ასპექტები გააერთიანოს.

პერსონალიზაცია – ინტერნეტს შეუძლია ყველა დონის და ინტერესის მქონე მომხმარებელს (ინდივიდს თუ ადამიანთა ჯგუფს) მიაწოდოს სასურველი ინფორმაცია და ყოველივე ეს, საკუთარი არჩევანის მიხედვით (ელ-ფოსტა, საკაბელო ტელევიზია თუ სხვ.) მიაწოდოს.

ინტერაქტიურობა – ინტერნეტი გვთავაზობს დიალოგს და არა მონოლოგს, როგორც ეს ტრადიციულ მასმედიაშია. ინტერნეტის ასობით მომხმარებელს საინფორმაციო ტაბლოს, ფორუმის, ჩატებისა თუ კონფერენციების დახმარებით ერთმანეთთან ურთიერთკავშირი შეუძლია.

შუამავალთა გარეშე ყოფნა – ინტერნეტს შეუძლია თავისი მომხმარებლები უშუალოდ დააკავშიროს ერთმანეთთან. მაგალითად, მთავრობა თავის მოსახლეობასთან და რაც მთავარია, ხალხს შეუძლია მასკომუნიკაციის წარმომადგენელთა შუამავლობისა და მანიპულაციების გარეშე, ხელისუფლებას თავისი ხმა მიაწვდინოს.

## III. დასკვნა

ამგვარად, ინფორმაციული ეპოქის პირმშო – ინტერნეტი,Aშექმნიდან მოკლე ხანში კომუნიკაციის თვისობრივად ახალი საშუალება გახდა. თავისი მულტიმედიური და ჰიპერტექსტური შესაძლებლობებით ასეულობით მილიონი ადამიანი დააინტერესა და "გააბა" თავის "ქსელში". ინტერნეტმა შექმნა ახალი სოციალური რეალობა, რომელშიც ფართოდ აისახა სოციუმის ცხოვრება, სადაც ფაქტებსა და მოვლენებზე საზოგადოება მყისიერად რეაგირებს. ჩამოყალიბდა განსხვავებული სოციალური ერთობა, ე.წ. ქსელური საზოგადოება, რომელთა ერთმანეთთან სისტემატური კონტაქტი უმეტესად საერთო ინტერესებს ეფუძნება. ახალ რეალობაში გაჩნდა სოციალური მედია, რომელიც ტრადიციულისაგან განსხვავებით თავის მომხმარებლებს საინფორმაციო მონოლოგს კი არ სთავაზობს, არამედ ურთიერთკავშირს, დიალოგს. ასე, თანდათან ძლიერდება სოციალური მედიაც, რადგანაც ამ უკანასკნელის ყველაზე დიდი ღირებულება და ხიბლი ისაა, რომ სოციალური მედია არაა დამოკიდებული გადაწყვეტილებების მიმღებების: მედიამფლობელების, პროდიუსერების თუ რედაქტორების ნება-სურვილზე და პოლიტიკურ კონიუნქტურაზე. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა ამაღლდეს ინტერნეტ მომხმარებელთა ჩართულობა და თვითორგანიზება, დაჩქარდეს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. ლობჟანიძე, ინტერნეტი, როგორც ალტერნატიული მედიის წყარო, http://european.ge/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AA-%E
2. ლ. წულაძე, ა. ბერძენიშვილი, ფ. ესებუა, ი. კობახიძე, ნ. მაჭარაძე, ა. კვინტრაძე, "სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში...",file:///C:/Users/User/Downloads/Social%20Media%20Development%20Tendencies_GEO%20(3).pdf


*Mamuka Shelegia*

Internet and new social reality


Summary

In recent years, as a result of development of computer technologies, internet - "World Wide Web" - has been created, which in a short period of time, became a successful communication tool. With its multimedia and hypertext possibilities the internet can transmit a board and diverse range of information, ensure instant public reaction to facts and developments, reflect and broadcast social life, and most of all, establish contact between groups and individual persons. A new, different social entity - so-called network society - has been created, systematic contact among which is based on more or less common interests. An internet media - a different kind from the traditional mass communication platform has emerged that does not depend on censure and political affiliation of media outlet owners, editors and producers.All this promotes formation and establishment of civil society.

# გიორგი ლეონიძის „ნამცვრევის“ პუბლიცისტური ასპექტები

*ედიშერ ჩქარეული*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

რეზიუმე

გიორგი ლეონიძის მხატვრულ შემოქმედებასთან ერთად, საინტერესოა მისი პუბლიცისტური მემკვიდრეობა. მეცნიერული კვლევის გარდა გოგლას შენიშვნები და კომენტარები შეგროვილი და წიგნადაა გამოცემული, რომელსაც ავტორმა „ნამცვრევი“ უწოდა. ამ წერილების განხილვა ნათელ სურათს იძლევა გოგლას, როგორც დიდი მეცნიერის, მკვლევარის და ქართული კულტურის უანგარო მოამაგის შესახებ. ეს წიგნი ასევე საყურადღებოა გ. ლეონიძის პუბლიცისტიკისა და ზოგადად მისი ჟურნალისტური მოღვაწეობის განხილვის კუთხით.

საკვანძო სიტყვები: პუბლიკაცია, ნამცვრევი, კომენტარი, მასალა, კვლევა.

## I. შესავალი

მკითხველისა და საზოგადოებისთვის გიორგი ლეონიძე უპირველეს ყოვლისა საინტერესოა როგორც პოეტი და პროზაიკოსი. მკვლევართა და კრიტიკოსთა ყურადღებაც ძირითადად მიმართულია გოგლას მხატვრული შემოქმედებისაკენ და შედარებით ნაკლებადაა მათთვის მნიშვნელოვანი მისი პუბლიცისტიკა. მართალია გიორგი ლეონიძის პუბლიცისტური ნაწარმოებები მკვლევართა ყურადღების მიღმა არ დარჩენილა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ გოგლას პუბლიცისტიკა და საერთოდ, მისი ჟურნალისტური საქმიანობა ნაკლებადაა შესწავლილი, რადგან მისი შემოქმედებიდან წერილები ცალკე არ გამოყოფილა როგორც საგანგებო შესწავლის საგანი. ამდენად საჭიროდ მიგვაჩნია გიორგი ლეონიძის პუბლიცისტური მემკვიდრეობის გამოკვლევა, მისი შინაარსისა და ღირებულებების წარმოჩენა, აქტუალიზაცია და მასში არეკლილი ეპოქის პრობლემატიკის გამოკვეთა.

როგორც აღვნიშნეთ პოეზიასა და პროზასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია გიორგი ლეონიძის მდიდარი პუბლიცისტური მემკვიდრეობა. პოეტი მთელი სიცოცხლის მანძილზე პრესაში ხშირად აქვეყნებდა დიდი თუ მცირე ზომის წერილებს. ეს პუბლიკაციები ავტორმა წვრილმანი შენიშვნების, დაკვირვებებისა და მასალების ციკლში მოაქცია და მასალათა ამ ციკლს „ნამცვრევი“ უწოდა. ეს წერილები, პრესაში ასე უხვად გაბნეული, შეაგროვა და ცალკე წიგნად გამოსცა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

## II. ძირითადი ნაწილი

გიორგი ლეონიძე ამ მასალათა შეგროვებასა და გამოკვლევაზე საკმაოდ დიდ დროსა და ენერგიას ხარჯავდა, მაგრამ ამის მიუხედავად ამბობდა, რომ მისი კვლევა „მეცნიერულ პრეტენზიებს“ მოკლებული იყო და მას მხოლოდ „ნედლ მასალად“ წარმოგვიდგენს, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ავტორს ზედმეტად არ მიაჩნდა თავისი წერილების გამომზეურება.

საინტერესოა, რატომ დაარქვა ავტორმა ამ ციკლს „ნამცვრევი“. თუ გავითვალისწინებთ გოგლას დიდ მჭერმეტყველებას შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ „ნამცვრევი“, გოგლას მიერ ნათქვამი მხოლოდ პოეტური მეტაფორაა, მაგრამ აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ ავტორის

პატარა წინასიტყვაობას, რომელიც მან „ნამცვრევს“ წარუმძღვარა. „მე უკანასკნელივიქმენ და შეუდეგ...ვითარცა მომცვრეველნი შემდგომად მოკრეფილისა ვენახთასა“.სწორედ ასეთ მომცვრეველად ხედავს გიორგი ლეონიძე თავის თავს იმ საკითხთა შესწავლისას რომლებიც მეცნიერთა მიერ მრავალგზის იყო გამოკვლეული და დამუშავებული შესაბამისი დასკვნებით. გოგლა, რა თქმა უნდა, კარგად იცნობდა ისტორიკოსთა, არქეოლოგთა და ენათმეცნიერთა კვლევას იმ საკითხებისა, რომლებზეც გარკვეულ შენიშვნებსა და კომენტერებს აკეთებს. ხშირ შემთხვევაში კი თვითონაც საკმაოდ საფუძვლიან, მეცნიერულ კვლევას აწარმოებს საინტერესო და საგულისხმო დასკვნებით. მიუხედავად ასეთი ნაყოფიერი მეცნიერული კვლევისა და შესაბამისად საინტერესო პუბლიკაციებისა, გოგლა მაინც მომცვრეველად მიიჩნევს თავს და საკუთარ ღვაწლს ასე მოკრძალებით უწოდებს ნამცვრევს.

უნებლიედ ჩნდება კითხვები თუ რატომ გადაწყვიტა გიორგი ლეონიძემ სხვადასხვა მეცნიერთა მიერ უკვე არაერთგზის შესწავლილი და დამუშავებული საკითხებისათვის გადაეხედა და თავისი მოკრძალებული შენიშვნები და კომენტარები გაეკეთებინა. ჩვენთვის ცნობილია თუ როგორი ზედმიწევნით კარგად მცოდნე იყო გოგლა საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ფოლკლორის, ლიტერატურის დაზოგადად ქართული კულტურის. სრულად ჰქონდა შესწავლილი და დამუშავებული ყველა მეცნიერისა და მკვლევარის მოღვაწეობა. გარდა ამისა აქტიურად იყო ჩართული ხალხური შემოქმედების შეგროვებისა და შესწავლის საკითხში. ამ კუთხით საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია 1961 წელს გიორგი ლეონიძის ინიციატივითა და ხელშეწყობით ჩატარებული ფოლკლორულ - შემკრებლობითი მუშაობა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ამ ექსპედიციებს ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება ხელმძღვანელობდა, სადაც ჩართული იყო ექსპედიციის ასამდე წევრი, რომელთა შორის 75 სტუდენტი იყო. ყოველივე ამის გათვალისწინებით გიორგი ლეონიძემ საჭიროდ მიიჩნია გარკვეული კომენტარები და შენიშვნები გაეკეთებინა უკვე შესწავლილი და გამოქვეყნებული საკითხებისათვის, მათი უკეთ და ზუსტად დანახვის მიზნით.

„ნამცვრევში'' ავტორს რამოდენიმე წერილი აქვს შეტანილი საქართველოს გეოგრაფიული ადგილების, სოფლებისა და ქალაქების ძველი თუ თანამედროვე სახელების შესახებ. ქალაქი გორი გაცილებით ძველი უნდა იყოსო, ამბობს გოგლა, ვიდრე მას ისტორიკოსები და არქეოლოგები გვისახელებენ და ამის დასამტკიცებლად განიხილავს ერთ-ერთ ისტორიულ საბუთს, რომელიც გორის ისტორიის მკვლევართ გამორჩენოდათ. ასევე გამოთქვამს ვარაუდს, რომ ქალაქ დუშეთს ადრე „კობია'' უნდა რქმეოდა და ის გვარად კობიაშვილების უნდა ყოფილიყო. საინტერესოა გ.ლეონიძის მოსაზრებები ქ. მცხეთის შემოგარენში არსებული, ანტიოქიის, გეთსიმანიის, ღართისკარის, მუხათგვერდისა და სხვა ადგილების შესახებ.

საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი გიორგი ლეონიძის დაუღალავი საქმიანობის შესახებ ილია ჭავჭავაძის ცხოვრების, შემოქმედების შესწავლისა და დაფასების კუთხით. სწორედ გოგლას დიდი მეცადინეობით გაიხსნა ილიას მუზეუმები ყვარელსა და საგურამოში. ამ მიზნით ის სამი ათეული წლის განმავლობაში აგროვებდა სამუზეუმე მასალებსა და ილიას შესახებ ჩანაწერებს, რომლებიც შემდგომში თავის „ნამცვრევში'' შეიტანა. გოგლა წერს, რომ მისი თაობის წმინდა მოვალეობა იყო შეეგროვებინა და დაეცვა სულ მცირე მასალაც კი ილიას შესახებ.

„ნამცვრევში'' შესულია ერთი საგულისხმო პუბლიკაცია, სადაც გოგლა გულისტკივილით

საუბრობს თანამედროვე ქართველთა სახელების შესახებ. წერილში საუბარია იმ „უშვერ" და „საჩოთირო" სახელებზე რომლებსაც თანამედროვე საქართველოში მშობლები არქმევდნენ შვილებს. ეს საკითხი გოგლას სერიოზულ პრობლემად მიაჩნდა, რამაც გადააწყვეტინა მოეძია და შეეგროვებინა ის სახელები, რომლებსაც ჩვენი წინაპრები ატარებდნენ.

ლიტერატურის მუზეუმისთვის შეძენილ საბუთებში გ.ლეონიძეს აღმოუჩენია მეტად მნიშვნელოვანი, ქართულად დაწერილი წერილი „ბაღდადის ხელმწიფისა" თავისი დედისადმი მიწერილი. გოგლას ამ წერილის გაცნობის შემდეგ კარგად შეუსწავლია ქართველ მამლუქთა ისტორია, თუ როგორ მართავდნენ ერაყს აღმოსავლეთ საქართველოდან და ეგვიპტეს კი დასავლეთ საქართველოდან ტყვედ გაყვანილი მამლუქები, რომ „ბაღდადის ხელმწიფედ" წოდებულ დაუდ-ფაშას, იგივე დიმიტრი ბოჩოლაშვილს, აღმოსავლეთში დიდი თანამდებობები ეკავა და სიბერეში მექას წმინდა ადგილების გამგედ და მფარველადაც კი დაუნიშნავთ. საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი გიორგი ლეონიძის დაუღალავი შრომა ნიკო ფიროსმანის ცხოვრების შესწავლისა და მისი დაკარგული საფლავის ძიების საქმეში. ამის შესახებ გოგლა საკმაოდ ვრცლად საუბრობს თავის„ნამცვრევში".

III. დასკვნა

ამრიგად, ჩვენ მოკლედ ვისაუბრეთ გიორგი ლეონიძის „ნამცვრევის" შესახებ. წიგნი მრავალმხრივაა საინტერესო მკითხველისათვის. აქ თავმოყრილია უამრავი შენიშვნა, კომენტარი და სხვა დიდი თუ მცირე ზომის პუბლიკაცია. არის წერილები რომლებშიც ავტორი რიგ საკითხებში პრობლემებს ხედავს და მათი გადაჭრის აუცილებლობაზე მიუთითებს. გოგლა მოკრძალებით საუბრობს მეცნიერთა კვლევებში შესატან ცვლილებებსა და შესწორებებზე, რომლებიც მისი ვარაუდით, სრულყოფილად ვერ იქნა თავის დროზე გამოკვლეული. ავტორი გარკვეულ სიახლეებს გვთავაზობს და მათი შესწავლის საჭიროებაზე საუბრობს. ვკითხულობთ „ნამცვრევს" და ვხედავთ გოგლას, როგორც დიდ მეცნიერსა და პუბლიცისტს, რომლის მოღვაწეობაც შემდგომში უფრო მეტად შესწავლილი და დაფასებული უნდა გახდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგი ლეონიძის „ნამცვრევი", „ინტელექტი", თბილისი. 2000 წ.
2. ქ. სიხარულიძე, ქართული ფოლკლორის ისტორიისა და თეორიის საკითხები, თსუ. 1976 წ.
3. გიორგი ლეონიძე, საიუბილეო კრებული. თბილისი. „მეცნიერება", 1970 წ.
4. ივანე ლოლაშვილი, „ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან", „მერანი", 1980 წ.

Edisher Chqareuli

Summary

Together with GiorgiLeonidze's artistic creativity, his publicistic heritage is interesting. Beside scientific research, Gogla's notes and comments are collected and published as book, which is called ,,Namtsvrevi". Discussion of these letters gives glimpse about Gogla, as a great scientist, researcher and who takes care of Georgian culture. This book is also interesting with discussion of G.Leonidze'spublicistic and in general, his journalistic activity.

# შიშის ფაქტორი კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ჟურნალისტებში

*ლია ჭიღლაძე*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

რეზიუმე

ათწლეულების განმავლობაში, შიშის ფაქტორის მიუხედავად, კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქართველი ჟურნალისტები, რომელთაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ომების ყველა ნეგატიური შედეგი, შედიოდნენ საომარ ტერიტორიაზე და საკუთარი სისოცხლის რისკის ფასად გამოჰქონდათ დოკუმენტური მსალები, საიდანაც საზოგადოება იგებდა, თუ რა ხდებოდა ე. წ. „ჩაკეტილ ზონაში", კონკრეტულად, დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში.

I. შესავალი

შიში იწყება იქ, სადაც ადამიანს ელევა ოპტიმიზმი, ნება, მოთმინება, ბრძოლის უნარი და ენერგია.

მკვლევარები ხშირად საუბრობენ სიკვდილის შიშზე, რომელიც სხვადასხვა კატეგორიებად იყოფა. ადამიანს შეიძლება დაეუფლოს ტკივილის, გაურკვევლობის, საყვარელი ადამიანის დაკარგვის შიში. ასევე, შიში იმისა, თუ რა უარყოფით შედეგებს მოუტანს მის სიკვდილი სხვებს.

შიშზე ჯერ კიდევ არისტოტელე წერდა: „სიკვდილი ყველაზე შემპარავი რამ არის, რადგან ის ყველაფრის დასასრულია".

საფრთხის წინაშე მდგარი ადამიანი ეძებს გამოსავალს. ფიზიკურად ეს გამოიხატება ოფლიანობით, გაზრდილი გულისცემით, ადრენალინის მაღალი დოზით... ეს არის საპასუხო რეაქცია, ვიდრე სხეული გადაწყვეტს მოცემული სიტუაციაში გაიქცეს თუ შეებრძოლოს. ეს ავტომატური რეაგირებაა გადარჩენისთვის.

ჟურნალისტები არ არიან რიგითი მოქალაქეები, არც სამხედრო პირები, არც მშვიდობიანი მოსახლეობა. ეს ის ადამიანთა კატეგორიაა, რომელსაც აქვს უნიკალური უფლება, იყოს ომში და არ ისროდეს.

II. ძირითადი ნაწილი

უახლესი ისტორიის მანძილზე ქართული მედიის აქტუალური თემა კონფლიქტების გაშუქება გახლავთ.

გამოცდილმა სამხედრო ჟურნალისტებმა იციან, რომ კონფლიქტის ზონაში მოხვედრამდე, აუცილებელია შენი სიცოცხლე სადმე დააზღვიო, წესრიგში გქონდეს ყველა ოფიციალური დოკუმენტი, ყელზე მეტალის ჟეტონი გეკიდოს, სადაც ვინაობა და სისხლის ჯგუფი იქნება აღნიშნული და არავითარ შემთხვევაში არ გეცვას სამხედრო ფორმა და მით უფრო, არ გქონდეს იარაღი!

საერთაშორისო ჟურნალისტიკაში არსებობს წესთა ჩამონათვალი, რომელიც ეხმარება სამხედრო კორესპონდენტებს არა მხოლოდ ხარისხიანად შეასრულონ დავალება, არამედ

უსაფრთხოდაც. პირველი წესი ყველა რეპორტაჟის ფირზე ჩაწერას ითვალისწინებს, მეორე – ჟურნალისტს უნდა ახსოვდეს, რომ არსებობს ინფორმაცია „გრიფით საიდუმლო“.

2012 წელს მსოფლიოში 206 ჟურნალისტი გამოასალმეს სიცოცხლეს.

2008 წელს, აგვისტოს ომის დროს, ორდღიანი პანიკის შემდეგ ქართველმა ჟურნალისტებმა გორის რაიონში ნამდვილი სიმამაცე გამოიჩინეს (ალბათ, ყველას ახსოვს, პირდაპირ ეთერში მკლავში დაიჭრა ქალი ჟურნალისტი). საინფორმაციო ომის პერიოდში მოახერხეს მსოფლიო ყურადღების მიქცევა და იმათ, ვინც სულაც არ იცოდა, რა არის საომარი ჟურნალისტიკა, რადგან თავი გადადეს და ომს სიცოცხლის რისკის ფასად აშუქებდნენ.

ის ქართველი ჟურნალისტებიც, რომლებიც ცხოვრობდნენ კონფლიქტის ზონებში და წერდნენ ომის თემაზე, არაერთხელ ყოფილან როგორც გარე მტრის, ასევე საკუთარი ვაიხელისუფლების აგრესიის მსხვერპლნი.

ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტის დროს, 2008 წლის რუსულ ოკუპაციამდე, მართლაც, გმირობად შეიძლება ჩაითვალოს იმ ადგილობრივი ჟურნალისტთა ღვაწლი, რომლებიც სიცოცხლის ხელყოფის რისკის ქვეშ, ტყვიების წვიმაში, შიშნარევი გაბედულებით პირნათლად იხდიდნენ თავიანთ პროფესიულ მოვალეობას და საზოგადოებას, რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით ამცნობდნენ კონფლიქტის რეალურ სახეს.

ადგილობრივი ჟურნალისტები წლების განმავლობაში „ბეწვის ხიდზე“ დადიოდნენ, მუდმივი შიშის პირობებში. ერთ-ერთი აქტიური ჟურნალისტი და მეცნიერი ნ. ო., რომელიც ადგილობრივ ტოპონიმიკასაც იკვლევდა, ბუნებრივია, მოქცეული იყო ანტიქართული რეაქციული ძალების თვალთახედვის არეში. ეს პიროვნება მოძალადეებმა დაიჭირეს, ფიზიკურად გაუსწორდნენ და ზამთარში ხევში გადააგდეს. მართალია, იგი შემდეგ შემთხვევით იპოვეს და გადარჩა, მაგრამ ჯანმრთელობა ძალზე შეერყა.

კონფლიქტი განსაკუთრებით ღრმა ჩანს, როცა ერთი მხარე განიხილავს თავის ასპირაციებს, როგორც კანონიერს ან სამართლიანს, როგორც ისეთ რამეს, რაც მას ეკუთვნის, ეს ნაწილობრივ იმიტომ ხდება, რომ სამართლიან მოთხოვნებს აქვს ტენდენცია, იყონ რიგიდული, ნაწილობრივ კი, იმის გამო, რომ სამართლიანი მისწრაფებების მარცხი განსაკუთრებით მძიმედ განიცდება.

კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ჟურნალისტები ზოგჯერ თავს იკავებდნენ მწვავე ფაქტების გაშუქებისაგან, რათა უფრო უკონტროლო არ გამხდარიყო დაპირისპირება. თუკი გადავხედავთ იმდროინდელ ოპოზიციურ და სახელისუფლებო პრესას, აშკარად დავინახავთ, რომ შემრიგებლური წერილები უფრო ჭარბობს.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ კონფლიქტის რეგიონში მცხოვრებ ჟურნალისტებში ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად წარმოჩნდა შიში. აქედან გამომდინარე, გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

1. რომელიმე მხარისთვის მიუღებელი მასალის გამო ჟურნალისტის სიცოცხლის ხელყოფის საფრთხე;
2. დაუცველობის სინდრომის გამო შემრიგებლური მასალების გამოქვეყნება;
3. ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილო დამოკიდებულება ჟურნალისტების მიმართ.

შევეცადეთ, კვლევებით შეგვესწავლა ამ ტენდენციათა საფუძვლები, თუ რა განაპირობებდა

კონკრეტულ შიშს.

მოწინააღმდეგე მხარისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ჟურნალისტისა და მკვლევარის ნ. ო.-ს მოღვაწეობა, რომელიც შეისწავლიდა ადგილობრივ ძირძველ ქართულ ტოპონიმიკას. გამოქვეყნებული წერილების შედეგად მან მიიღო ფიზიკური შეურაცხყოფა, რამაც, ბუნებრივია, დააფრთხო სხვა ჟურნალისტები.

მეორე ტენდენცია – დაუცველობის სინდრომის გამო შემრიგებლური მასალების გამოქვეყნება გამოიწვია იგივე ფაქტმა, რადგან ეს არ იყო ერთეული შემთხვევა.

კვლევის დროს დავინტერესდით მოსახლეობის მხრიდან ჟურნალისტებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით. გამოვკითხეთ არაერთი იქაური დევნილი ოჯახი და მივედით დასკვნამდე, რომ მათ არ მოსწონდათ შემრიგებლური პოზიციის მასალები. ისინი რადიკალურად ითხოვდნენ ე. წ. „შიშველ სიმართლეს“. მოსახლეობისთვის მიუღებელი იყო ყოველგვარი შემრიგებლური ტენდენცია და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ჩვენი თვალსაზრისით, ეს მომდინარეობდა მათი იმდროინდელი აფექტური მდგომარეობიდან.

III. დასკვნა

მიუხედავად აღნიშნული ტენდენციებისა, იყვნენ ჟურნალისტები, რომლებიც თანამედროვე ქართულ მედიაში გაბედულად აშუქებდნენ კონფლიქტს საომარი ზონებიდან, რაც, ვფიქრობთ, საუკეთესო მასალაა შემდგომი კვლევისთვის – ისტორიკოსებისა და პოლიტოლოგებისთვის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. www.google.com – შიში და ადამიანი;
2. www.wordpress.com ირმა კახურაშვილი – „ნუ გვესვრით, ჟურნალისტები ვართ“.

***Лия Чигладяе***

**Фактор страхах в журналистах, живущих в конфликтной зоне**

**Резюме**

На протяжении тысячелетий, несмотря на фактор страха, живущие в зоне конфликта грузинские журналисты, которые на самих себе испытали все негативные результаты войны, появлялись на территории военных действий и ценой собственной жизни выводили документальные материалы, из которых общество узнавало, что происходило в так называемых «закрытых зонах», а именно в большом и малом лиахвском ущелье.

# სოციალური მეცნიერებანი

# SOCIAL SCIENSIES

## რა არის „დიდი რუსეთი“?

*გრიგალაშვილი სულიკო*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

რეზიუმე

ის ინტერესი და ყურადღება, რომელსაც მსოფლიო საზოგადოებრიობა ტრადიციულად იჩენს რუსეთის მიმართ ბუნებრივია, რადგან ეს ქვეყანა ყოველთვის იყო და სამწუხაროდ, დღემდე რჩება გლობალური საფრთხისა და საერთაშორისო ურთიერთობათა დესტაბილიზაციის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ, რასაც მრავალი ფაქტი ადასტურებს, თუნდაც კავკასიის უახლესი ისტორიიდან, რომელიც მოიცავს თითქმის მთელ მეოცე საუკუნესა და ოცდამეერთის პირველ ათწლეულს, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ოკუპაცია-ანექსიით დაწყებული და ჩეჩნეთის ომებით დამთავრებული. რაც შეეხება 2008 წლის ,,აგვისტოს ომს“ საქართველოს წინააღმდეგ, იგი ჯერ არ დამთავრებულა, მხოლოდ ,,გაიყინა“ და როგორც იტყვიან ,,კონსერვაციის“ ფაზაში გადავიდა და ამდენად ისტორიას ვერ მივაკუთვნებთ. ეს სამწუხაროდ, ჩვენი დღევანდელი რეალობაა და იმის ცოცხალი ილუსტრაცია, რომ რუსეთის პოლიტიკის იმპერიულ -მილიტარისტულ არსსა და ამ სახელმწიფოს მენტალიტეტს საუკუნეებიც ვერ ცვლის, თუმცაღა ბოლო წლებში ცდილობენ ერთგვარი მოდერნიზაციის ელემენტები შეიტანონ საგარეო პოლიტიკურ საქმიანობაში.

### I. შესავალი

თავიდანვე ავღნიშნავთ, რომ მკვლევართა ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ XIX საუკუნემდე რუსეთისათვის დამახასიათებელი არ იყო გეოგრაფიული მდგომარეობიდან, ისტორიული წარსულითა და კულტურიდან გამომდინარე, ორიგინალურობა. ინდივიდუალობის ძიებამ მიიყვანა იქამდე საზოგადოება, რომ დაიწყო მშფოთვარე დებატები ინტელექტუალურ წრეებში, ხოლო მეოცე საუკუნის დასაწყისში განხორციელდა უპრეცედენტო კატაკლიზმები, რომლის შედეგი გახლდათ უტოპიური იდეოკრატიის, ველიკორუსული ნაციონალიზმისა და ავტორიტარული მმართველობის ფორმირება. ყველაფერი ეს გახლდათ პრელუდია სრული დრამატიზმისა და სისტემის კრახის მიზეზები.

II. ძირითადი ნაწილი

საინტერესოა რამ გამოიწვია მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კვლევითი ცენტრების რუსეთის მიმართ სსრკ-ს დაშლის შემდეგ განელებული ინტერესის კვლავ გაძლიერება? ამის ასახსნელად ალბათ არ იკმარებს მხოლოდ პუტინის ავტორიტარული რეჟიმი, რუსეთის ,,ფეხზე წამოდგომა", სახელმწიფო შემოსავლის საგრძნობი გაზრდა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მსოფლიო ენერგობაზარზე ნავთობის ფასების მატებასთან დაკავშირებით, მკვეთრი ანტიდასავლური რიტორიკა და არც ის ავადსახსენებელი ,,აგვისტოს ომი", ისევე როგორც უკრაინის მოვლენები.

ჩვენი აზრით, მთავარი ის უნდა იყოს, რომ თანამედროვე რუსეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკა სულ უფრო ემსგავსება, როგორც მეფის რუსეთის, ისე საბჭოთა კავშირს თავისი განუჭვრეტელობით, ალოგიკურობითა და ირაციონალიზმით, რაც ძირითადად საგარეო პოლიტიკის სფეროს ეხება, თუმცა ამ მხრივ ვერც საშინაოშია უკეთესი მდგომარეობა, მაგრამ ,,ცივი ომის" ეპოქაში მაინც უფრო მეტად ხერხდებოდა მოვლენების თუნდაც მიახლოებითი პროგნოზირებაორმხრივიბირთვულიშეკავებისადა,,გარანტირებულიურთიერთგანადგურების" წყალობით.

1990 წლებში 45 წლიანი ,,ცივი ომის" შემდეგ კაცობრიობამ თავი დააღწია დიდ დაპირისპირებას, მაგრამ წარსულის ინერცია და ფსიქოლოგია წლების მანძილზე ახდენდა (და დღემდე ახდენს) გავლენას ახალი არაკონფრონტაციული მსოფლიოს მშენებლობაზე. ნობელის პრემიის ლაურეატმა გიუნტერ გრასმა მაშინ თქვა:,, ბერლინის კედელი დაინგრა, მაგრამ მისი ჩრდილი კვლავ ეფინება მსოფლიოს" (1).

საბჭოთა კავშირის დაშლას თან ახლდა კომენტარები მასზედ, რომ უკანასკნელი იმპერია წარსულში გადავიდა. მაგრამ მალე იმპერიაზე საუბრობდნენ არა მარტო როგორც ,,წარსულის ნაშთზე", არამედ თანამედროვე და მომავალ დროშიც. სსრკ-ს კრახმა და მასთან დაკავშირებულ ა.შ.შ-ს გლობალურ გავლენამ იმპერია მოდური გახადა, როგორც უარყოფით, ისე დადებითი თვალსაზრისით.

ჯერ კიდევ 20 წლის წინათ თითქოს იმპერიებთან დაკავშირებით ყველაფერი ნათელი იყო: ესაა დრომოჭმული, დაძველებული ფორმა მეოცე საუკუნეში ადგილს უთმობდა ახალ ფორმას-ერი-სახელმწიფოს. იმპერიის კრახი აიხსნებოდა მათი უუნარობით ცვლილებისადმი, თანამედროვეობის მოთხოვნილებათა მისადაგების არ ქონით, ასევე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზეწოლით, რომელიც დაკავშირებული იყო პროგრესსა და სამართლიანობასთან. დღეს იმპერიის ისტორიული როლი სერიოზულ გადასინჯვას ექვემდებარება, როგორც შეფასების დადებითი ისე უარყოფითი ,,ნიშნით" და რაც უფრო მნიშვნელოვანია ისტორიულ პროცესში იმპერიების ადგილის შეცნობით.

საბჭოთ კავშირი კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი და უძლიერესი იმპერია გახლდათ, თუმცა სხვა ,,კლასიკურ" იმპერიებთან შედარებით, მისი არსებობა მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. როგორც წესი, მსოფლიოს იმპერიებს ჰქონდათ აღზევების ეპოქა, შემდგომ ისინი ძლიერების ზენიტს აღწევდნენ, მერე კი იწყებოდა დაღმასვლა. საბჭოთა კავშირი, როგორც ძალაზე დაყრდნობილი ნებისმიერი სხვა იმპერია, ადრე თუ გვიან აუცილებლად დაიშლებოდა, მაგრამ გარდაცვალება დააჩქარა ,,პერესტროიკის" რეფორმებმა, არასწორმა სტრატეგიამ და ტაქტიკამ.

ცოდვებით დამძიმებულმა რეჟიმმა არა მხოლოდ ,,მონანიება" დაიწყო, არამედ იმგვარი რეფორმებიც, რომლებშიც დამკვირვებელთა გამოცდილი თვალი თვითმკვლელობის ცუდაად

შენიღბულ სურვილს ამჩნევდა (2). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის ფედერაცია მისი მემკვიდრე შეიქმნა. რუსეთის ხელმძღანელობამ მხარი დაუჭირა დემოკრატიული გარდაქმნების კურსს თავის ქვეყანაში, ხმამაღლა გამოაცხადა, რომ რუსეთი არ არის იმპერია და სურს ყველასთან ცივილიზებული და ნორმალური ურთიერთობა იქონიოს. ეს იძლეოდა იმედს, რომ არც თუ შორეულ მომავალში რუსეთში შეიქმნებოდა სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც წელს გაუმაგრებდა გაუთავებელი ექსპერიმენტების შემდგომ ნორმალურ კალაპოტში ჩამდგარი ეკონომიკა. ვარაუდობდნენ, რომ დასავლეთი რუსეთისათვის შეიმუშავებდა ,,მარშალის გეგმის'' მსგავს პროგრამას, რომელიც ქვეყანას თუ არ აუყვავებდა ეკონომიკას, დაწყებული რეფორმების შეუქცევადობის გარანტია მაინც იქნებოდა (3).

პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს თან ახლდა შესაბამისი იდეოლოგიური ფონი, დასაწყისში უფრო იმედიანი და შემდგომ კი სკეპტიკური შეფასება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა. თუმცა, რუსეთი არასოდეს განიცდიდა იმგვარი ადამიანების ნაკლებობას, ვინც ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდა რუსეთის ვესტერნიზაციას. რუსული პოლიტიკური აზრისათვის ახალი არ არის ქვეყნის დასავლური და არადასავლური გზის ალტერნეტივა. ისევ რუსეთის სპეციფიკიდან გამომდინარე, სადაც ოფიციალურ წრეებში ერიდებოდნენ წარსულის ჩხრეკას და მომავლის თამამ პროგნოზირებას, ამგვარი საკითხის ანალიზი მწერლებმა, ისტორიკოსებმა, ფილოსოფოსებმა ითავეს. მათ მიერ შექმნილი ლიტერატურა წარსულს იაზრებდა არა წმინდა ანალიზიდან გამომდინარე, არამედ პრაქტიკული დანიშნულებით. განიხილებოდა რუსეთის რეალობის წარსული ფესვები და გამომწვევი მიზეზები, ასევე ის შესაძლო პრაქტიკული ნაბიჯებიც, რომლებიც ქვეყანას სასურველი მომავლის გარანტიას მისცემდა.

სწორედ ამგვარი კვლევისა და ანალიზის პროცესში ჩამოყალიბდა რუსული პოლიტიკის ,,სლავიანოფილური" და ,,დასავლეთური" ორიენტაციები. აღსანიშნავია, რომ მათ შორის ძველი დავა დღესაც გრძელდება რუსეთში, თუმცა მას რამდენადმე სახეცვლილი ფორმა აქვს. ძველი სლავიანოფილური თეზისი რუსეთის ისტორიის განუმეორებლობის შესახებ გულისხმობდა, რომ რუსეთის ისტორია წარიმართება არა ზოგადი კანონზომიერებით, არამედ იმ სპეციფიკური უცნაურობებით, რომლებიც აყალიბებენ სპეციფიურად რუსეთის ისტორიას. შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი თვალსაზრისის სიცოცხლის უნარიანობას დასავლეთელმა პოლიტილოგებმაც შეუწყვეს ხელი, რომლებიც გამუდმებით ლაპარაკობდნენ სოციალიზმისა თუ კომუნიზმის სპეციფიურად რუსული სახეცვლილების შესახებ.(4)

რუსეთის სახელმწიფოს ისტორიული წარსულის კვლევა ჩვენთვის პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს. სხვათა შორის, ამგვარი კვლევით მიღებული გვაქვს თვალსაზრისი , რომლის მიხედვით ნებისმიერი სახელმწიფოს არსებული პოლიტიკური მდგომარეობა განსაზღვრულია არა მხოლოდ თანადროული, არამედ გარდასული მოვლენებით და, მაშასადამე, საბოლოო ჯამში წარსული ცხოვრებითაც.

მკვლევარები მიუთითებენ, რომ მე-15 საუკუნეში დასრულდა ველიკორუსების, ე.ი. იმ ხალხის სახელმწიფოებრივი ფორმირების პროცესი, ვისაც რუსების სახელით ვიცნობთ. ივანე მესამის პერიოდში მოსკოვის სამთავროს საზღვრები დაემთხვა ველიკორუსების განსახლების არეალს, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ცალკეული სამთავროების შემომტკიცების პროცესი, დღევანდელ რუსულ პატრიოტულ პრესაში ესოდენ დაფასებული ,,რუსული მიწების შემოგროვება" მხოლოდ ერთი სეგმენტი ყოფილა ახლადწარმოშობილი სახელმწიფოსათვის, რომლის ბუნება ტერიტორიების განუწყვეტელ ზრდაში მდგომარეობს.

მოსკოვის სახელმწიფო ბიზანტიის მემკვიდრის პრეტენზიით მოევლინა მსოფლიოს ისტორიას. ,, მესამე რომის“ თეორიამ ნათელი გახადა სახელმწიფოს ძირითადი იდეა-გარდა პოლიტიკური ლიდერობისა, ქვეყნის მესვეურთაგან მოითხოვდა დიდ კულტურულ-აღმშენებლობით საქმიანობას, მაგრამ რუსეთს არ აღმოაჩნდა საამისო პოტენციალი. უაღრესად აგრესიული სახელმწიფო, რომელიც კონფლიქტში იმყოფებოდა თითქმის ყველა მეზობელთან, ეძებდა სუსტ გეოპოლიტიკურ რეგიონს, საითაც შესაძლებელი იქნებოდა ექსპანსიური პოლიტიკის განვითარება. მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებით მეთექვსმეტე საუკუნეში 10 ომი გადაიხადა შვეცია, პოლონეთ-ლიტვა და ლივონიასთან. უცხოელი დამკვირვებლები მოსკოვიტიას(მოსკოვის სამთავროს) უწოდებდნენ ქვეყანას, რომლისთვისაც მშვიდობაა შემთხვევითი მოვლენა და არა ომი. ეს იყო მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც მეთოდური თანმიმდევრობით ხორციელდებოდა.

პეტრე პირველისა და მის შემდგომი რუსეთის იმპერია მოსკოვიტიის მემკვიდრე მხოლოდ ჰერალდიკური სიმბოლიკით იყო. განუწყვეტელი ტერიტორიული ზრდის პროცესში შეიცვალა დევიზი -,,რუსული მიწების შემოგროვება“-(,,Собирание земель русских”) ახლით, რომელშიც ყოფილი მეფის მამული-,,ოტჩინა“-(Отчина) სამშობლოდ გადაიქცა და გამოიწვია ახალი დევიზიც-,,სამამულო მიწების გამრავლება“-(,,Приумножение земель отечественных”). ორივე დევიზი, როგორც ვხედავთ, ფარული თუ ღია სახით, ქვეყნის ტერიტორიულ ზრდას გულისმობს სხვა ქვეყნების ხარჯზე და მეორე დევიზში ჩანს რუსული იმპერიის სპეციფიური ნიშანი -დაპყრობილი, ინკორპორირებული ტერიტორიის სამშობლოდ ქცევისა.

მკვლევარები იმაზეც ამახვილებენ ყურადღებას, რომ იმპერიის გამტკიცებას თან ახლდა მნიშვნელოვანი თავისებურება: რაც უფრო ფართოვდება იმპერიის ტერიტორია, მით უფრო ძლიერი პოლიტიკური რეჟიმია საჭირო ამ ფართობის შესანარჩუნებლად, და რაც უფრო ძლიერდება პოლიტიკური რეჟიმი, მით უფრო უარესდება მეტროპოლიის მოსახლეობის მდგომარეობა. იმპერიის სხვადასხვა რეგიონს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის დონე უაღრესად დაბალია, ხოლო შიდა საბაზრო ურთიერთობანი კი განუვითარებელი იყო.

პეტრესა და ეკატერინე მეორის მოღვაწეობის წყალობით ჩამოყალიბდა რუსეთის იმპერიის ძირითადი კონტურები, რომელთაც, თუ არ ჩავთვლით 1861 წლის რეფორმას, მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია. რუსეთი მკაცრად კონტინენტური იმპერია იყო, რომლის ყოველი ახალი კოლონიური შენაძენი, ყოფილი მეზობელი ქვეყნისა თუ ხალხის მიწა-წყალს წარმოადგენდა. ასე აღმოჩნდა მის საზღვრებში ბელორუსია და მალოროსია, ბალტიის სანაპიროები და პოლონეთის ნაწილი, შუა აზია, კავკასია. ყოველივე ამან თავისებური სახე მისცა რუსეთის იმპერიას. უზარმაზარ საზღვრებში მოქცეული მთელი ტერიტორია რუსების მიერ აღიქმებოდა ,,რუსეთად“.

რამდენადაც რუსეთის იმპერია, დასავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით, ჩამოყალიბდა როგორც საკუთარი კოლონიებისაგან ,,ერთიანი და განუყოფელი“, ამგვარი ერთიანობა რუსეთის ეკონომიკური სისუსტის დამატებით წყაროდ იქცა. ქვეყანა გადაიქცა ნახევრად იმპერიულ და ნახევრად კოლონიურ სახელმწიფოდ, რომელიც საკუთარ თავს უწევდა ექსპლოატაციას. ქვეყანაში არ არსებობდა არც ერთიანი სამეურნეო სისტემა და არც მეტ-ნაკლებად განვითარებული რეგიონთაშორისი საბაზრო ურთიერთობები. ხელისუფლების ცენტრალიზაცია და და

ბიუროკრატია თავისი სახელმწიფოებრივი ატრიბუტიკით(ჯარი, პოლიცია, სასამართლო) იყო ძირითადი საშუალება, რომელიც უზრუნველყოფდა იმპერიის მთლიანობას. როგორც კი მეფის გადადგომამ საფუძველი გამოაცალა მას, დაიწყო იმპერიის დეზინტეგრაცია.

და რა არის იმპერია? დავიწყოთ იქიდან, რომ არავითარი საყოველთაოდ მიღებული ,,იმპერიის" განსაზღვრება არ არსებობს. ამიტომ ზუსტი განსაზღვრების შერჩევა რთულია. ამ განსაზღრების მცდელობისას, მეცნიერები ხაზს უსვამდნენ მის ჰეტეროგენურობას, ცენტრსა და პერიფერიის საზოგადოებას შორის არათანასწორობას. დიდი ყურადღება ექცევა პერიფერიული საზოგადოების პირდაპირი და ირიბი მმართველის ფორმებს შორის თანაფარდობას (direct and indirect rule), ამასთან აღნიშნება, რომ იმპერიისათვის უფრო დამახასიათებელია ირიბი მმართველობა ადგილობრივ ელიტაზე დაყრდნობით. ხაზგასმულია იმპერიების როლი, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მსხვილი მოთამაშეებისა და მათი ამ თამაშში რესურსების მობილიზაციის უნარი.

ლიტრე იმპერიას განსაზღვრავდა როგორც ,,სახელმწიფოს, იმპერატორის მმართველობით". 1995 წელს რუსეთში გამოცემული ,,დიდი ენციკლოპედიური ლექსიკონი" შემდეგნაირად სრულყოფდა ლიტრეს განსაზღვრებას:,,იმპერიებად იწოდებოდნენ ასევე სახელმწიფოები, რომლებსაც ჰქონდათ კოლონიური სამფლობელოები". ჟან ბატისტ დიუროზელი კი იმპერიას ასე განსაზღვრავდა:,,ესაა ერთი ხალხის დაპყრობა მეორის მიერ და მასზე ბატონობა". იმპერიას ტოინბი უწოდებდა ,,უნივერსალურ სახელმწიფოს, რომელიც განვითარებულია სიგანეზე და შთანთქამს სხვებს" (5).

იმპერიათა ისტორიაში რუსეთის იმპერიას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ცნობილი ისტორიკოსის ელენ კარერ დ, ანკოსის განმარტებით, მას ახასიათებს ,,ტერიტორიის ერთიანობა, მოიცავს რა ორ კონტინენტს -ევროპასა და აზიას". მისივე აზრით, ,,სამი მთავარი მახასიათებლით- ,,სიდიდით, ხანგრძლივობით, განსაზღვრულ პერიოდში იმპერიის მთელ ტერიტორიაზე კონტროლის შენარჩუნებით, -შეიძლება იმის კონსტანტირება, რომ რუსეთის იმპერიას უკავია პირველი ადგილი იმპერიათა მსოფლიო ისტორიაში"(6)

საბჭოთა ხელისუფლების დასასრულმა პრინციპიალურად ახალი შესაძლებლობები გააჩინა რუსეთის იმპერიის ისტორიის შესასწავლად. მოიხსნა ცენზურული შეზღუდვები, რომელიც შეუძლებელს ხდიდა ნაციონალიზმისა და იმპერიული პოლიტიკის პრობლემატიკის შესწავლას. გაიხსნა, მათ შორის უცხოელთათვის, არქივები და ასე გადაიქცა ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვნად ეს მიმართულება. შესწავლილი იქნა რუსული ნაციონალიზმი და რუსიფიკაციის საკითხი, ახალი ინტერპრეტაცია მიეცა თეზას, რომლის მიხედვით რუსეთის იმპერია(და სსრკ-ც) წარმოადგენდნენ ხალხთა დამცველებს და მათი ნებაყოფლობითი გაერთიანება ხდებოდა იმპერიაში, როგორც ეს წარმოჩინდებოდა საბჭოთა კავშირის დროს, რა სამწუხარო არ უნდა იყოს, ხდება დღესაც.

რუსული იმპერიისა და ნაციონალიზმის მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება -კონფლიქტი ინტელიგენციასა და ხელისუფლებას შორის. თავისუფლება მოყვარული ინტელიგენცია თავის პროტესტებში ხშირად უტოპიურად და ანარქიულად აზროვნებდა იმ პერიოდშიც კი, როცა ხელისუფლება მზად იყო თანამშრომლობისათვის. სახელმწიფო ძალიან დიდხანს ემტერებოდა ლიბერალიზმს, კონფლიქტი ელიტასთან ასუსტებდა ხელისუფლებას, ხოლო თვით ინტელიგენცია არ აღმოჩნდა მზად ხელისუფლების დასაკავებლად, რამაც საბოლოოდ ხელი შეუწყო ბოლშევიკების გამარჯვებას.

სსრკ როგორც იმპერია

ამ პრობლემატიკით შესწავლით დაკავებულ მეცნიერთა შორის არსებობს კონსენსუსი იმის თაობაზე , რომ სსრკ- იმპერიის ახალი სახე გახლდათ, ხოლო საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა-ეს რადიკალური გარღვევაა რომანოვების პოლიტიკასთან შედარებით. ხელისუფლების პირველ ათწლეულში მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის თაობაზე., რომ ნაციონალიზმი წარმოადგენს უკიდურესად სახიფათო მობილიზაციურ იდეოლოგიას, რადგან მას შეუძლია კლასებს ზედა ერთიანობის ფორმირება ეროვნული მიზნებისათვის ბრძოლაში. მეორეც, ერები ისტორიულად წარმავალ მოვლენას წარმოადგენენ და მისი დაძლევა შეიძლება ინტერნაციონალიზმით. ერთა მომავალი შერწყმა კი შესაძლებელია ყველა დაჩაგრული ხალხის სრული განთავისუფლებით.

მესამე მიდგომა მდგომარეობდა იმაში, რომ არარუსი ხალხის ნაციონალიზმი იყო რეაქცია მეფის ხელისუფლების მძლავრობასა და ველიკორუსების მიმართ უნდობლობაზე. თუ ლენინი ,, ველიკორუსული შოვინიზმის“ საფრთხეზე აპელირებდა, სტალინი მოითხოვდა რომ დაზუსტებული ყოფილიყო ეს პრინციპი, ხაზს უსვამდა, ზოგიერთი სხვა ,,ნაციონალიზმი“ასევე ჩაგრავდა და ექსპლოატაციას უწევდა გაცილებით სუსტ ხალხებს. მეოთხე ფაქტორი გახლდათ ის ,რასაც მკვლევარი ტ. მარტინი უწოდებს ,,პიემონტის პრინციპს“ -როცა დასავლეთ საზღვრისპირა ეთნიკური ჯგუფების წახალისება მოხდებოდა მათი უცხოეთში მცხოვრები ეროვნების საბჭოთა კავშირის მიმართ მომხრობაზე, რაც გაზრდიდა გავლენას დასავლეთელ მეზობლებზე.

ზოგადად იგივე ავტორი საბჭოურ ეროვნულ პოლიტიკას ინტერნაციონალიზებულ ნაციონალიზმად მოიხსენებს ან ,,დადებით დისკრიმინაციად“ ადრე ჩაგრული ჯგუფების მიმართ განხორციელებულს. ცნება ,,დადებითი ქმედების იმპერია“ -ესაა მცდელობა მონახონ მანამდე არარსებული, სპეციფიკური ტერმინი სსრკ-ს მიმართ. უმაღლეს დონეზე ცენტრალიზებული, ესწრაფოდა რა შეჭრილიყო ცხოვრების ყველა სფეროში და იყენებდა ძალადობის უკიდურეს ფორმებს, სახელმწიფო ფორმალურად იყო სუვერენულ ერების ფედერაცია. ის წარმოიქმნა როგორც რუსეთის იმპერიის მემკვიდრე, კვლავ დაიპყრო იმპერიის კუთვნილი მხარეები.(7)

ბოლშევიკების დამსახურება იმპერიის წინაშე იმდენად დაკარგული მიწების დაბრუნებაში კი არ გამოიხატება, რამდენადაც ინდუსტრიალიზაციის სტალინურ გეგმაში. მათ ნათლად გააცნობიერეს, რომ ქვეყნის ერთიანობა შიშველი პოლიტიკური ხერხებით შეუძლებელი ხდებოდა და ამიტომაც ბევრი გააკეთეს ერთიანი სამეურნეო სტრუქტურისა და ეკონომიკის შესაქმნელად. ეს ეკონომიკა სხვა საშუალებებთან ერთად აღმოჩნდა არანაკლებ ქმედითი, რომელიც უზრუნველყოფდა კოლონიების ერთიან იმპერიულ სივრცეში ყოფნას.

გასული საუკუნის 80-იანი წლებში საბჭოთა კავშირში განხორციელებულმა რეფორმებმა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ვარშავის პაქტში შემავალ სახელმწიფოებში გამოიწვია ,,რეაქცია, რომლის წარმოდგენაც ისევე შეუძლებელი იყო, როგორც მისი წინასწარმეტყველება. აღმოსავლეთ ევროპაში კომუნიზმი არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ რუსული ბატონობის სისტემის ფუნქციასაც ასრულებდა და კიდევ -კომუნიზმი აღიქმებოდა როგორც რუსული იმპერიის იდეოლოგია.“(8) იმავე რეფორმებმა პროცესი მიიყვანა საბჭოთა კავშირის დაშლამდე. დასავლეთის ალიანსის სახელმწიფოებმა ამ პროცესს თავშეკავებითა და გაგებით მისდიეს და არა გამარჯვებულის სიხარულით. 1990 წლის 6 ივლისს ლონდონში ნატოს-ს წევრმა ქვეყნებმა უმაღლეს დონეზე გამართულ სხდომაზე ვარშავის პაქტს შესთავაზეს ერთობრივად იმის განცხადება, ,,რომ ჩვენ არ ვუყურებთ ერთმანეთს, როგორც მეტოქეებს“. ეუთო-ს წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურების მიერ 1990 წლის ნოემბერში პარიზში

მიღებულმა ,,ახალი ევროპის ქარტიამ“ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ,,დასრულდა ევროპის კონფრონტაციისა და დანაწევრების ხანა“ (9).

III. დასკვნა

კომუნისტურმა ტოტალიტარიზმმა იმდენად გააფართოვა იმპერიული და ავტოკრატიული ხელისუფლება, რომ იგი გახლდათ უპრეცედენტო მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში. ამდენადვე უპრეცედენტო იყო კომუნიზმის მსხვრევაც და რუსებიც უეცრად განთავისუფლდნენ მსოფლიო იმპერიაში დომინირებული მდგომარეობის პრეტენზიისაგან და სულელური და თავს მოხვეული ტირანიის ყოვლისმომცველი შიშისაგან. ასევე რთული გახლდა პროგნოზირება რა ნაყოფს მოგვცემდა ახალ რუსეთის ფედერაციის ცივ კლიმატში გამოფიტული ნიადაგი.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. ზურაბ აბაშიძე, დანგრეული კედლის ჩრდილში; არჩილ სულაკაურის გამომცემლობა, 1990-1999. თბ, 2012, გვ. 5
2. Ch. Fairbanks, The Nature of the Beast, in: The National Interest, spring 1993.
3. ზბიგნევ ბჟეზინსკი, დიდი ცვლილებები. მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბ, 1994
4. მამუკა ბიჭაშვილი, ,,რუსეთი ერთი, რუსეთი ორი“, საზოგადოება და პოლიტიკა (სოციალური და პოლიტიკური კვლევების ალმანახი), 1,თბ, 1996, გვ. 9.
5. Элен Каррер д” Анкосс, Евразийская империя. История Российской империи с 1552 г. До наших дней. М.Издательство Российская политическая Энциклопедия, 2010 . стр.7-8
6. Элен Каррер д” Анкосс, Евразийская империя, ..გვ. 9
7. МартинТ. Империя позитивного действия Советский Союз как высшая форма империализма // AbImperio. 2002. 2. с.55-87
8. ერნსტ-ოტო ჩემპილი, მსოფლიო პოლიტიკა გარდატეხის პროცესში, გამომცემლობა ,,ლეგა” თბ. 2003. გვ. 18
9. ერნსტ-ოტო ჩემპილი, მსოფლიო პოლიტიკა გარდატეხის პროცესში, გამომცემლობა ,,ლეგა” თბ. 2003. გვ. 22


***Сулико Григалашвили***

**Что такое „Большая Россия“**

**Резюме**


Тот интерес и внимание, которое мирового сообщества традиционно проявляет к России, естественно, потому что эта страна всегда была, и, к сожалению, до сих пор остается одним из основных источником глобальной угрози и дестабилизации международных отношений . Чем вызвано для ведушых мировых политических экономических и научных центров после распада СССР усиление этого интереса?. По нашему мнению главное то, что внешная и внутренная политика современной России все более похожая как на царской России, так и Советского Союза со своими непредвиденностью, нелогичности и ирационализмом, что больше связанно с внещней политикой, хотя и во внутренной не лучшее положение

# ნატოს შავი ზღვის უსაფრთხოების ახალი სტრატეგია

*მადლენა კოწოწაშვილი*
*სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

სტატიაში აღნიშნულია, რომ ამჟამად რამდენიმე მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხი გამოიკვეთა: საერთაშორისო შეთანხმებები, რაც გადახედვას მოითხოვს; ნდობის დეფიციტი რეგიონის ქვეყნების თანამშრომლობის ასპექტში; ძალთა დისბალანსი შავი ზღვის აკვატორიაში რუსეთის სასარგებლოდ და ნატოს არაწევრი ქვეყნების გადაუჭრელი პრობლემები კონფლიქტებთან მიმართებაში. ამდენად, საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ალიანსთან მჭიდრო კონსულტაციების საფუძველზე, შავი ზღვის უსაფრთხოების გაძლიერების ყველა შესაძლო ფორმატში, ნატო-სთან აქტიურად მონაწილეობის კონკრეტული სამოქმედო გეგმები ჩამოყალიბდეს. რაც მოიცავს მოქმედებათა სრულ სპექტრს, როგორც სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო, ისე ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ თავდაცვითი საშუალებების განვითარების მიმართულებით. შავი ზღვის რეგიონში ნატოს შემდგომი გაფართოება არის ერთადერთი ადეკვატური პასუხი არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების სრულფასოვნად შესაკავებლად.

*საკვანძო სიტყვები:* *ნატო, შავი ზღვის უსაფრთხოება, ახალი სტრატეგია, საფრთხეები, გამოწვევები, მილიტარიზაცია.*

## I. შესავალი

შავი ზღვა, რომელიც საერთაშორისო მნიშვნელობის სამხედრო-ეკონომიკურ არტერიად რჩება, უკანასკნელი წლების განმავლობაში დასავლეთისა და რუსეთის მძაფრი გეოპოლიტიკური დაპირისპირების ასპარეზი გახდა. სამწუხაროდ, ნატომ გვიან მიაქცია ყურადღება შავ ზღვაზე რუსეთის სასარგებლოდ შექმნილ ახალ რეალობას. ეს საკითხი დღის წესრიგში მხოლოდ ყირიმის ანექსიის შემდეგ დაისვა, თუმცა რუსეთის მიზნები აღნიშნულ რეგიონში სავსებით ნათელი იყო მაშინაც, როდესაც მან აფხაზეთის ოკუპაცია მოახდინა და ფაქტიურად ხელში ჩაიგდო საქართველოს შავიზღვისპირეთის 200 კილომეტრიანი მონაკვეთი. ოკუპირებული ტერიტორია სულ მალე რუსეთის მძლავრ სამხედრო ბაზად გადაიქცა, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ნატოს წინააღმდეგ იყო და არის მიმართული.

## II. ძირითადი ტექსტი

ყირიმის ანექსიის შემდეგ რუსეთმა უპრეცედენტო მილიტარიზაცია განახორციელა შავ ზღვაზე, რამაც სამხედრო ბალანსი რეგიონში არსებითად შეცვალა მის სასარგებლოდ. მას უკვე ხელი მიუწვდება შავი ზღვის აკვარტორიის ყველა სახელმწიფოს თითქმის სრულ ტერიტორიაზე.

ყირიმის მილიტარიზაციამ, რაც შავი ზღვის რუსული ფლოტის კიდევ უფრო გაძლიერებაში, ნახევარკუნძულზე საჰაერო-კოსმოსური და სახმელეთო ძალების თვისობრივად ახალი დაჯგუფების შექმნაში გამოიხატა, ნატოს საპასუხო ზომების მიღებისაკენ უბიძგა. 2016 წლის

იანვარში რუმინეთმა გააჟღერა ინიციატივა ნატოს წევრი შავზღვისპირა ქვეყნების (თურქეთი, რუმინეთი და ბულგარეთი) ერთობლივი ფლოტილიის შექმნის შესახებ, რომელიც ამერიკის, იტალიისა და გერმანიის სამხედრო ხომალდებით გაძლიერდებოდა. საქართველომ და უკრაინამ არაერთხელ გამოთქვეს რუმინეთის ინიციატივასთან მიერთების სურვილი.

შავი ზღვის რეგიონი საკვანძო ადგილი უკავია კასპიის, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვის აუზებს შორის და ხელსაყრელ დერეფანს ქმნის ახლო აღმოსავლეთში გასასვლელად. ამდენად ბუნებრივია, რომ მსოფლიო დომინანტი ძალების ინტერესის სფეროში ყოველთვის შედიოდა შავ ზღვაზე კონტროლის დამყარება.

რუსეთისთვის მიუღებელია როგორც რეგიონის ქვეყნების დემოკრატიზაცია და მათი მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობა ნატო–ს წევრ სახელმწიფოებთან, ასევე რეგიონის გავლით, ევროპისაკენ ნავთობისა და გაზის ალტერნატიული პროექტების განვითარება. შავ ზღვაზე გავლენის გაზრდისა და რეგიონის დასავლეთთან დაახლოების შესაფერხებლად, რუსეთი ქმნის და ინარჩუნებს კონტროლს რეგიონში არსებულ კონფლიქტურ კერებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონის სამი ზღვისპირა სახელმწიფო ნატო-ს წევრია, რუსეთის მნიშვნელოვან სამხედრო უპირატესობას რეგიონში და მის აგრესიულ პოლიტიკას ნატო აღიქვამს, როგორც შემაშფოთებელ გამოწვევას და საფრთხეს შავი ზღვის რეგიონისა და მთლიანად ევროატლანტიკური სივრცისთვის.

ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რატომაც ნატო სათანადოდ არ არის წარმოდგენილი შავ ზღვაზე, თურქეთის მიერ წლების განმავლობაში წარმოებული პოლიტიკაა. რეგიონში ნატო-ს როლის შესამცირებლად, თურქეთის ინიციატივით, 2001 წელს შეიქმნა მრავალეროვნული სამხედრო-საზღვაო ოპერატიული ჯგუფი „ბლექსი ფორი“, რომელიც მოგვიანებით გაძლიერდა საზღვაო-სამეთვალყურეო ოპერაცია “შავი ზღვის ჰარმონიის” მეშვეობით. რამაც, გამოიწვია ის, რომ შავი ზღვა დღეისათვის არის ნატო-ს აღმოსავლეთ ფლანგის ყველაზე მოწყვლადი და ნაკლებად დაცული სეგმენტი. თუმცა სირიის საზღვართან არსებული რთული ვითარების გამო თურქეთის უსაფრთხოება მეტად დამოკიდებულია ნატო-ს ე.წ. „პატრიოტის“ საჰაერო თავდაცვის სისტემებზე. თურქეთს იძულებულია შავი ზღვის უსაფრთხოების თანამშრომლობის საკითხში რუსეთთან და ნატო-სთან ბალანსი შეინარჩუნოს.

ისიც უნდა ითქვას, რომ აშკარად იგრძნობა ნდობის ნაკლებობა რეგიონის ქვეყნების საერთო პოლიტიკურ განრიგში, რაც ფაქტობრივად რეგიონალური თანამშრომლობის ყოველგვარ მცდელობებს ძირს უთხრის. რეგიონის არცერთ სახელმწიფოს შავი ზღვის მიმართ თანამიმდევრული და მიზანდასახული პოლიტიკა არ გააჩნია.

უკანასკნელ წლებში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე პროცესები პირდაპირ ზეგავლენას ახდენენ ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ხდება სამხრეთიდან მომდინარე საფრთხეების რუსეთის საფრთხესთან შერწყმა, რაც კიდევ უფრო ამძიმებს რეგიონულ უსაფრთხოებას. ასევე საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ ნიშნავს მხოლოდ ნატო-ს წევრი ზღვისპირა სახელმწიფოების უსაფრთხოების გაძლიერებას და მოითხოვს უფრო სტრატეგიულ და სისტემურ მიდგომას, ევროპული უსაფრთხოებისთვის რეგიონის მეტად მნიშვნელოვანი როლიდან გამომდინარე.

შესაბამისად, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ალიანსმა უმოკლეს პერიოდში შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ნატო-ს პარტნიორი ქვეყნების როლის გასაზრდელად. ამ ეტაპზე საქართველო და უკრაინა ალიანსისგან კონკრეტულ წინადადებებს ელოდებიან და გამოხატავენ მზადყოფნას მათ ხელთ არსებული საშუალებებით სრულად ჩაერთონ შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებულ ნატო–ს ღონისძიებებში.

შავ ზღვაზე 1936 წლის მონტროს საერთაშორისო კონვენციის მიხედვით, ამერიკის და ყველა დანარჩენი არასანაპირო სახელმწიფოს სამხედრო გემებს 21 დღეზე მეტით დარჩენა ეკრძალებათ, ამასთან, მათი საერთო წყალწყვა 30 ათას ტონას არ უნდა აღემატებოდეს. ამიტომ აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალებს შავი ზღვის მუდმივად პატრულირება მხოლოდ ნატ ოს გაერთიანებული ფლოტილიის შემადგენლობაში შეეძლებათ, რადგან შავი ზღვის სანაპირო სახელმწიფოებს შორის ალიანსის წევრი სამი ქვეყანაა თურქეთი, ბულგარეთი და რუმინეთი.

მოლოდინი იმისა, რომ ნატი გაააქტიურებდა პოლიტიკას შავი ზღვის უსაფრთხოების მიმართ, გარკვეულწილად გამართლდა. ვარშავის სამიტზე მიღებული განცხადების 10-ე პუნქტში აღნიშნულია, რომ რუსეთი ეწევა პროვოკაციულ ქმედებას შავი ზღვის აუზში, იყენებს იქ განლაგებულ სამხედრო პოტენციალს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში საკუთარი ძლიერებისა და დემონსტრირებისთვის, რაც ნატოს ქვეყნებისთვის დამატებითი რისკის ფაქტორს და გამოწვევას წარმოადგენს. იმავე განცხადების 23-ე პუნქტში კი ხაზგასმულია, რომ ბოლო წლებში უსაფრთხოების კუთხით ვითარება შავ ზღვაზე გაუარესებულია. ამასთან დაკავშირებით, ნატო გამოთქვამს მზადყოფნას მხარი დაუჭიროს შავიზღვის აუზის სახელმწიფოების ძალისხმევას, რომელიც მიმართული იქნება უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისკენ, აგრეთვე აღნიშნულ საითხზე გაააქტიუროს დიალოგი საქართველოსთან და უკრაინასთან. შავი ზღვის უსაფრთხოების თემა ასახულია ნატო-საქართველოს ერთობლივი კომისიის განცხადებაში. მასში ნათქვამია, რომ ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები მიესალმებიან საქართველოს ჩართულობას სტრატეგიულ დისკუსიაში შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებში; დადასტურებულია, რომ ნატო მეტ ყურადღებას მიაპყრობს რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებას.

როგორც ვხედავთ, ნატოს ვარშავის სამიტის დოკუმენტებში საუბარი არ არის კონკრეტულ ნაბიჯებზე, მაგრამ ისინი შეიცავენ მკაფიო გზავნილებს კრემლისთვის, რომ შავ ზღვაზე არ იქნება დაშვებული რუსეთის სტრატეგიული უპირატესობა. ცხადია, ნატო გააქტიურდება შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით და ამ პროცესში თავისი ადგილი ექნებათ ალიანსის არაწევრ საქართველოსა და უკრაინას.

საგულისხმოა, რომ ვარშავის სამიტამდე ნატოს არ გააჩნდა პროაქტიური სტრატეგიული ხედვა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაში საკუთარი როლის შესახებ. ამ ეტაპზე ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ნატო-ს სამოქმედო გეგმები შავ ზღვაზე გამომდინარეობდეს მოკავშირეებისა და ალიანსისს ტრატეგიული პარტნიორების გრძელვადიანი ინტერესებიდან და არ ეფუძნებოდეს მხოლოდ რუსეთის მიერ ნაკარნახევ რეალობასთან მორგებასა და მათზე ერთჯერად საპასუხო ქმედებებს. ნატო–ს ინტერესებში შედის, რომ სრულად იქნეს გამოყენებული არა მხოლოდ წევრი ქვეყნების, არამედ სტრატეგიული პარტნიორების თავდაცვითი პოტენციალი. ექსპერტები

თანხმდებიან, რომ ნატო–ს პარტნიორი ქვეყნების, შვედეთისა და ფინეთის, ჩართულობის გარეშე ფაქტობრივად წარმოუდგენელია ბალტიის რეგიონის სრულფასოვანი დაცვა. ანალოგიურად მნიშვნელოვანია საქართველოსა და უკრაინის როლი შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში.

ასეთია ზოგადი სურათი, თუმცა ჯერ არავინ იცის, კონკრეტულად რა ნაბიჯების გადადგმა იგეგმება. არც ის არის ცნობილი, როგორ უნდა გადაილახოს შავ ზღვაში ნატოს ყოფნის გაზრდის ისეთი შემაფერხებელი ფაქტორი, როგორიც არის 80 წლის წინ, 1936 წ. 20 ივლისს, შვეიცარიის ქ. მონტროში ხელმოწერილი კონვენცია, რომელიც იმავე წლის 9 ნოემბრიდან ამოქმედდა. იგი არეგულირებს შავი ზღვის სრუტეებით სარგებლობის წესებს. დოკუმენტს ხელს აწერენ თურქეთი, საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, იუგოსლავია, ავსტრალია და იაპონია.

მონტროს კონვენციის მიხედვით, ნებისმიერი სახელმწიფოს სავაჭრო გეგმებს (გარდა თურქეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის გემებისა) მინიჭებული აქვთ შავი ზღვის სრუტეებით თავისუფლად სარგებლობის უფლება როგორც მშვიდობიან, ისე საომარ ვითარებაში (მუხლი მე-2-7). სამხედრო გემებისთვის კი გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული. ძირითადად იგი ეხება არაშავიზღვისპირა სახელმწიფოებს. მშვიდობიან პერიოდში მათ შეუძლიათ შავ ზღვაში შემოიყვანონ არაუმეტეს 45 ათასი ტონა წყალწყვის გემებისა და იყოლიონ იქ მაქსიმუმ 21 დღის განმავლობაში (მუხლი მე-18). შავიზღვისპირა ქვეყნებისთვის ეს შეზღუდვა არ მოქმედებს.

კონვენციის აღნიშნული მოთხოვნა აიძულებს ხმელთაშუა ზღვაში დისლოცირებული ამერიკის საზღვაო ძალების 6-ე ოპერატიული ფლოტის სათანადო კლასის გემებს შემოვიდნენ შავ ზღვაში მხოლოდ როტაციის წესით. ამასთან დაკავშირებით, მომწიფდა საკითხი მონტროს კონვენციაში ცვლილებების შეტანის გზით არსებული შეზღუდვის მოხსნის შესახებ. პროცედურულად ეს შესაძლებელია. როგორც ცნობილია, კონვენციის მოქმედების ვადის გახანგრძლივება ყოველ 20 წელიწადში ხდება. მიმდინარე წელს მისი მიღებიდან და ამოქმედებიდან 80 წელი სრულდება, რაც მშვენიერი საბაბია კონვენციაში ცვლილებების შესატანად.

ვინაიდან ნებისმიერი ცვლილება მონტროს დოკუმენტში პირდაპირ თუ ირიბად ეხება საქართველოს უსაფრთხოებას, ეხება ოკუპირებულ აფხაზეთს და იქ განლაგებულ რუსულ სამხედრო ბაზებს, ქართულ მხარეს მართებს სერიოზული დაფიქრება ამ საკითხებზე. პირველ რიგში, უნდა შევთანხმდეთ, რომ ცვლილებების შეტანა მონტროს კონვენციაში არის აუცილებელი, რისი უშედეგო მცდელობები გასული ათწლეულების განმავლობაში არაერთხელ ყოფილა. მაინც რა სახის ცვლილებებზე შეიძლება იყოს საუბარი? რა უფრო მომგებიანია საქართველოს უსაფრთხოებისთვის - ცვლილება, რომელიც ხელს შეუწყობს, შავი ზღვის შემდგომ მილიტარიზაციას და სამხედრო დაპირისპირების ესკალაციას თუ, პირიქით, რომელიც შეამცირებს მილიტარიზაციისა და დაპირისპირების დონეს?

ელემენტარული საღი აზრი გვკარნახობს, რომ შავი ზღვის მილიტარიზაციის დონის შემცირება უფრო მომგებიანია რეგიონის, მათ შორის საქართველოს, უსაფრთხოებისთვის, ვიდრე იარაღის ჟღარუნი და ძალის დემონსტრირება. შესაძლო ცვლილებებიც მონტროს კონვენციაში შავ ზღვაში დაპირისპირების თავიდან აცილების ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კონვენციაში შესატანი ცვლილებების იდეის

დონეზე წამოყენება. ჩვენი აზრით, ნებისმიერ შავიზღვისპირა სახელმწიფოს, რომელიც ახორციელებს შეიარაღებულ აგრესიას სხვა შავიზღვისპირა სახელმწიფოს წინააღმდეგ, ახდენს მისი ტერიტორიის ოკუპაციას და ანექსიას, უნდა ჩამოერთვას შავი ზღვის სრუტეებში როგორც სამხედრო, ისე სავაჭრო გემების თავისუფალად გატარების უფლება. ცხადია, იგივე ნორმა უნდა დაწესდეს ამა თუ იმ შავიზღვისპირა სახელმწიფოსთან საომარ მდგომარეობაში მყოფი არაშავიზღვისპირა სახელმწიფოს მიმართაც.

სათანადო დახვეწისა და დაკონკრეტების შემდეგ შემოთავაზებული წინდადების მიღება უეჭველად ხელს შეუწყობს შავი ზღვის რეგიონში შექმნილი დძაბულობის განმუხტვას, მის დემილიტარიზაციას, მყარი და სამართლიანი მშვიდობის დამყარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ მონტროს კონვენციის მოქმედი რედაქციაც შეიცავს გარკვეულ შეზღუდვებს საომარი ვითარების დროს შავი ზღვის სრუტეებით სარგებლობისას (მუხლი მე-19-21). ისინისაკმაოდ საიმედოდ იცავენ თურქეთის ინტერესებს, ნაკლებად ან საერთოდ არ იცავენ დანარჩენი შავიზღვისპირა სახელმწიფოების, მათ შორის თურქეთის მოკავშირეთა ინტერესებს. კონვენციის ეს ხარვეზი აუცილებლად უნდა გასწორდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალია შავ ზღვაში სამხედრო დაპირისპირების შემდგომი ესკალაცია, რომელიც არავის ინტერესებში არ უნდა შედიოდეს.

თუკი შავი ზღვის უსაფრთხოების სტრატეგია განხორციელდა, ცხადია ნატოს ექნება შესაძლებლობა სწრაფად და ეფექტურად შემოვიდეს სამხრეთ კავკასიაში და ორმხრივი სერიოზული კავშირები დაამყაროს სტატეგიულ პარტნიორ ქვეყნებთან, და რა თქმა უნდა საქართველოსთნ. ეს მნიშვნელოვან როლს შეასრულებს რუსეთის ზეგავლენის შესამცირებლად კავკასიის და შავი ზღვის რეგიონში.

შესაბამისად 2016 წლის 8-9 ივლისს ვარშავაში ნატოს სამიტის მთავარი ამოცანა შავ ზღვაზე ნატოს ფლოტის შექმნა იყო, რომლის გემები აღჭურვილი იქნება ერთიანი ამერიკული რაკეტსაწი ნააღმდეგო სისტემის ელემენტებით. მაგრამ სამიტამდე 4 დღით ადრე ბულგარეთმა შავი ზღვის პატრულირებაზე უარი თქვა, რადგანაც თურქეთის გაძლიერების ეშინია - მონტროს კონვენციით, შავი ზღვის აუზის წამყვანი ქვეყნის, რომელსაც ბულგარეთზე და რუმინეთზე შეუდარებლად მძლავრი სამხედრო საზღვაო ფლოტი ჰყავს.

მიუხედავად იმისა, რომ ექვსი შავიზღვისპირა სახელმწიფოდან სამი ნატოს წევრია, დღესდღეობით შავ ზღვაზე ყველაზე ძლიერ მოთამაშედ მაინც რუსეთი რჩება. ერთადერთი ძალა, რომელიც შეიძლება რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის წინააღმდეგ გამოვიდეს, ეს თურქეთია. ამჟამად ანკარა მოსკოვთან უფრო კარგი ურთიერთობები აქვს, ვიდრე ბრიუსელთან. ასე რომ, ნატოს რეალური გაძლიერება შავი ზღვის აკვატორიაში ამ ეტაპზე არარეალისტურად გამოიყურება.

### III. დასკვნა

დღეს აშკარად გამოიკვეთა ჩრდილოეთ-სამხრეთის გეოპოლიტიკური ღერძი, რომელიც რუსეთს თურქეთთან აკავშირებს. ამ ქვეყნების ლიდერები მჭიდრო ორმხრივ ურთიერთობებს სტრატეგიულ პარტნიორობას უწოდებენ. იმავდროულად შავი ზღვის რეგიონში დასავლეთ-აღმოსავლეთის დაყოფა შეინიშნება ვინაიდან ნატო და ევროკავშირი დასავლეთ სანაპიროს მიუახლოვდნენ, მაშინ როცა აღმოსავლეთი სანაპირო ამ ორგანიზაციების მიღმა დარჩა. შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების უსაფრთხოება თანაბრად გარანტირებული არ არის და ეს საკითხი

უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან რეგიონალიზმი და თანამშრომლობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა რეგიონში საერთო უსაფრთხოების პრინციპები გარანტირებულია.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ჯიჯეიშვილი ქ. მსოფლიო პოლიტიკა, თბ 2011;
2. ჩიტაძე ნ. ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი, თბ, 2008;
3. Шириев З. Каково новая стратегия НАТО. www.hurriyetdailynews.com
4. Kogan I, The Armenian Military and Russian-Armenian Relations, ISSN 1512-4835 ISBN 978-9941-0-8229-0, 2015;
5. Horrell, S. (2016 ოქტომბერი). A NATO Strategy for Security in the Black Sea Region. Atlantic Council
6. Gvineria S. Georgia’s NATO Integration – Strategic Patience, ISSN 1512-4835 ISBN, 2017
7. გაზ. „ახალი თაობა“, 21.07.2016
8. www.nato.int/nato-static/assets/pdf/publications
9. http://www.nato.int/cps/en/natohq/topics_136388.htm?selectedLocale=en
10. www.gfsis.org


*Madeleine Kotsotsashvili*

## NATO - New Architecture of Black Sea Security

### Summary


In geopolitical terms, the broader Black Sea region serves as a link between the Caspian, the Aegean, and the Mediterranean basins and constitutes a lucrative corridor to the Middle East. Therefore, historically, establishing control over principal trade routes crossing the Black Sea has always been the interest of global powers. Following the end of the Cold War, the Black Sea region found itself encompassed within the United States’ interests due to three key factors: the extension of democracy, security cooperation, and diversification of energy resources. The democratic development of the countries in the region, as well as their close military cooperation with NATO member states is fundamentally contradictory to Russia’s interests. The development of alternative projects for the transport of oil and gas to Europe via the region is no less unacceptable for Russia.

Following the annexation of Crimea, the unprecedented militarization carried out by the Russian Federation has shifted the military balance in the Black Sea region in Russia’s favor. The latter has enhanced the Black Sea Fleet, as well as air defense facilities and long-range guided missile systems in Crimea, by which Russia can easily reach the mainland territories of all of the Black Sea countries.

Given that three littoral states in the region are members of NATO, the Alliance perceives Russia’s significant military advantage and its aggressive policies in the region as an alarming threat to the Black Sea region and as a challenge for the Euro-Atlantic security as a whole. Moreover, the Black Sea region is a stage where NATO and Russian military forces interact most closely, which is a source of constant tension.

# სტუდენტთა ღირებულებითი ორიენტაცია

*მენაბდიშვილი ლელა*
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და*
*სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი, ეკონომიკის დოქტორი*

რეზიუმე

პიროვნული თუ სოციალური ჯგუფის ღირებულებათა ორიენტაციის შესწავლას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ადამიანის ღირებულებითი ორიენტაცია გვევლინება მისი პიროვნებს მნიშვნელოვან მახასიათებლად, განსაზღვრავს და არეგულირებს მის დამოკიდებულებას და ურთიერთქმედებას გარე სამყაროსთან. აცნობიერებს რა ადამიანი თავის ღირებულებით ორიენტაციას ეძებს თავის ადგილს სამყაროში, უფიქრდება თავისი არსებობის მიზანს და მნიშვნელობას ამ სამყაროში.

სტუდენტთა ღირებულებითი ორიენტაციები შევისწავლეთ მ. როკიჩის ღირებულებათა შკალის მიხედთ. ის განასხვავებს ტერმინალურ და ინსტრუმენტალურ ღირებულებებს. ტერმინალური ღირებულებები – იმის რწმენაა, რომ ინდივიდუალური არსებობის საბოლოო მიზნისათვის ღირს სწრაფვა. სტუდენტებმა პირველი რიგის ტერმინალურ ღირებულებებში დაასახელეს ბედნიერი ოჯახური ცხოვრება, ჯანმრთელობა და თავისუფლება. ინსტრუმენტალური ღირებულებები – იმის რწმენაა, რომ რომელიმე თვისებები ან ქმედებები უპირატესობას წარმოადგენს ნებისმიერ სიტუაციაში. ასეთად სტუდენტებს პირველ რიგში მიაჩნიათ განათლებულობა, დამოუკიდებლობა და აკურატულობა. როდესაც რესპონდენტებმა გააერთიანეს მათ მიერ შერჩეული პოზიციები უპირველესი აღმოჩნდა ჯანმრთელობა, თავისუფლება და ბედნიერი ოჯახური ცხოვრება. ესენია ის უმნიშვნელოვანესი ღირებულებები, რისთვისაც სტუდენტთა აზრით ღირს სწრაფვა.

*საკვანძო სიტყვები: ღირებულება, ღირებულებითი ორიენტაცია, ტერმინალური ღირებულებები, ინსტრუმენტალური ღირებულებები.*

## I. შესავალი

ღირებულებების კვლევა სოციალური მეცნიერებების უპირველესი ამოცანაა. რაც განპირობებულია თავად ღირებულებების მნიშვნელობით. ეს უკანასკნელი ღრმად გამჯდარი სტანდარტებია, რომლებიც განსაზღვრავს მომავალ ქმედებებს და ამართლებს წარსულში ნამოქმედარს. ეს არის პიროვნული, კულტურული და ისტორიული ფაქტებით განპირობებული წარმოდგენები, რომლებიც გავლენას ახდენს ინდივიდის ქცევაზე. სოციოლოგიაში, ღირებულებითი ორიენტაციები შეისწავლება, როგორც სოციალური სუბიექტების სოციალური ქცევის რეგულატორები. ღირებულებითი ორიენტაცია გამოიხატება საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. ისინი გვხვდებიან იდეალებში, მიზნებში, ინტერესებში და სოციალური სუბიექტის სხვა გამოვლინებებში.

## II. ძირითადი ნაწილი

ღირებულებები თანამედროვე სოციო–კულტურული განვითარების ერთგვარი ინდიკატორია. რომელიც, ერთი მხრივ, არსებულ მდგომარეობას გვიჩვენებს, მეორე მხრივ,

კი წარმოდგენას გვიქმნის საზოგადოების განვითარების მოსალოდნელ ტენდენციებზე. ღირებულებითი სისტემები იქმნება და გარდაიქმნება საზოგადოების ისტორიული განვითარების კვალად და მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე ცვლილებებთან. სოციუმისათვის პრიორიტეტული ღირებულებები ასახავს ქვეყნის და საზოგადოების სოციალურ–ეკონომიკურ ვითარებას და, ამავე დროს, მათზე ზეგავლენასაც ახდენს. ამდენად, პრაქტიკული კვლევები ღირებულებების შესახებ ყოველთვის აუცილებელი და აქტუალურია. ამგვარი კვლევების ჩატარება მნიშვნელოვანია სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში.

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში საგრძნობლად შეიცვალა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გარემო. რამაც, ბუნებრივია, ასახვა ჰპოვა პიროვნებისა თუ სოციალური ჯგუფების ღირებულებათა სისტემაზე. ამგვარი ტრანსფორმაცია, პირველ რიგში, მოზარდი თობის ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე აისახება. ღირებულებითი ორიენტაციის, როგორც ერთიანი ფსიქოლოგიური სტრუქტურის ფორმირება ხდება ადრეული მოზარდობის და გვიანი მოზარდობის შუა პერიოდში. მაშასადამე, სტუდენტებში ღირებულებითი ორიენტაციის ფორმირება დასრულების ფაზაშია. სწორედ ამან განაპირობა დიდი ინტერესი სტუდენტთა ღირებულებითი ორიენტაციის შესწავლისადმი. როგორია თანამედროვე ახალგაზრდების ღირებულებათა სისტემა? როგორი ღირებულებების, უნარ–ჩვევებისა და კომპეტენციების მქონენი არიან ადამიანები, რომლებიც უახლოეს მომავალში ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის იმოღვაწებენ? ეს ნებისმიერი ქვეყნისთვის პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი საკითხია და მუდმივი კვლევის საგანიც.

ღირებულებები არის რწმენები, რომელთაც ინდივიდი ქცევის, ქმედების სტანდარტად მიიჩნევს. ის ყალიბდება იმისთვის, რომ ინდივიდებმა საკუთარი მოთხოვნილებები სოციალურად მისაღები გზით დაიკმაყოფილონ. აქედან გამომდინარე ღირებულებების ქცევით ასპექტებს აყალიბებს კულტურული კონტექსტი, რომელშიც ისინი ვითარდებიან. ინდივიდის ღირებულებები მისი თვითშეფასებისა და სხვების შეფასების საფუძველია და უმთავრეს როლს თამაშობს პირადი მიზნების ჩამოყალიბებაში.

ღირებულება ესაა პრინციპი ან სტანდარტი, რომელსაც აღიარებს ინდივიდი, ჯგუფი ან საზოგადოება. გამოხატავს ადამიანის რწმენას, შეხედულებებს, იდეალებსა თუ ეთიკურ სტანდარტებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მისი ცხოვრების სტილს. ღირებულებები, ხშირ შემთხვევაში, განსაზღვრავენ ადამიანის ქცევას სხვადასხვა სიტუაციაში და გავლენას ახდენენ მის გადაწყვეტილებებზე.

პიროვნების ღირებულებითი ორიენტაცია პიროვნების მოწიფულობის ერთ–ერთი ძირითადი სტრუქტურული წარმონაქმნია, სადაც ხდება პიროვნების განსხვავებული ფსიქოლოგიური თვისებების თავმოყრა. ადამიანის ღირებულებითი ორიენტაცია გვევლინაბე მისი პიროვნების მნიშვნელოვან მახასიათებლად, რადგან სწორედ ის განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას და ურთიერთქმედებას გარე სამყაროსთან. არა მხოლოდ განსაზღვრავს, არამედ არეგულირებს კიდეც ადამიანის ქცევას. აცნობიერებს რა ადამიანი თავის ღირებულებით ორიენტაციას ეძებს თავის ადგილს სმყაროში, უფიქრდება თავის არსებობის მიზანს და მნიშვნელობას ამ სამყაროში.

ღირებულებითი ორიენტაციის გაგებაში მკვლევართა მხრიდან განსხვავებული დამოკი-

დებულებაა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა მათგანი აღიარებს, რომ პიროვნების ღირებულებითი ორიენტაციის სტრუქტურა და შინაარსი განსაზღვრავს პიროვნების მიმართულებას და პოზიციას საქმიანობის ამა თუ იმ ფორმისადმი. ასევე ერთსულოვანია მოსაზრება, რომ ღირებულებითი ორიენტაცია თმაშობს მთავარ როლს ადამიანის სოციალურ ქცევაში.

ღირებულებითი ორიენტაციის სტრუქტურა იყოფა სამ კომპონენტად: შემეცნებითი, ემოციური და ქცევითი. თითოეული მათგანი მონაწილეობს ღირებულებითი ორიენტაციის მახასიათებლების ფორმირებაში და ასევე დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვთ როგორც შინაარსით ისე გამოვლენის ხარისხით. საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენები აისახება ინდივიდის ცნობიერებაში, ამის საფუძველზე კი ხდება პიროვნების ღირებულებითი ორიენტაციის ფორმირება, რომელიც თავის მხრივ ძალიან რთული და მრავალფეროვანი შინაარსისაა. ადამიანის აღქმა შერჩევითია, პირველ რიგში იღებს განსაკუთრებით დამახასიათებელ და მისთვის მნიშვნელოვნად ღირებულს.

ღირებულებითი ორიენტაციის სისტემა კომპლექსური სისტემისაა, რომლის კომპონენტებიც კვალდაკვალ მიჰყვებიან საზოგადოებრივი ურთიერთობების კონკრეტულ სახეს. ღირებულებითი ორიენტაციები შეესაბამება საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაზღვრულ სახეს. ღირებულებითი სისტემის მრავალდონიანი სტრუქტურის შესწავლისათვის გამოიყოფა ორი ძირეულად განსხვავებული მიდგომა: პირველი – ნორმატიული და მეორე – დესკრიპციული.

ღირებულებებათა გააზრებას მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ჩაეყარა საფუძველი. მეოცე საუკუნიდან კი ცნობილი ხდება კვლევის სხვადასხვა მეთოდიკა. იერუსალიმის უნივერსიტეტის პროფესორი შ. შვარცი ღირებულებას განიხილავს როგორც ქცევის წარმმართველ ტრანსსიტუაციურ მიზანს და გამოყოფს ათ მოტივაციურ ტიპს და აჯგუფებს იმ ინტერესების მიხედვით, რომელსაც ისინი ემსახურებიან. მან გამოყო ინდივიდუალურ ინტერესებზე ორიენტირებულ ღირებულებათა ჯგუფი – თვითორიენტაცია, სტიმულაცია, ჰედონიზმი, მიღწევა, ძალაუფლება; კოლექტიურ ინტერესებზე ორიენტირებული – კეთილგანწყობა, ტრადიციულობა, კონფორმულობა; შერეულ ინტერესებზე ორიენტირებული ჯგუფი – უნივერსალიზმი, უსაფრთხოება. ღირებულებები გაცნობიერებული მიზნების ფორმით პასუხობს სამ უნივერსალურ მოთხოვნას: ინდივიდის, როგორც ბიოლოგიური ორგანიზმის მოთხოვნილებებს; სოციალური მოთხოვნილების კოორდინაციისათვის აუცილებელ მოთხოვნებს და ჯგუფების ნორმალური ფუნქციონირების და გადარჩენის მოთხოვნებს. ღირებულებათა ჩამოთვლილი ათი განსხვავებული ტიპი წარმოიშობა ამ სამი უნივერსალური მოთხოვნიდან.

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორს მილტონ როკიჩის მიხედვით ღირებულება განისაზღვრება როგორც სასურველი ტრანსსიტუაციური მიზნები, რომელთა მნიშვნელობაც ვარირებს ადამიანთა ცხოვრების წამყვანი პრინციპებიდან გამომდინარე. ღირებულებათა შორის განმასხვავებელი არის მოტივაციური მიზანი, რომელსაც ის გამოხატავს. როკიჩი განასხვავებს ღირებულებათ ორ კლასს: ტერმინალურსა და ინსტრუმენტულს. ტერმინალური ღირებულებები განსაზღვრავს იმის რწმენას რომ ინდივიდუალური არსებობის საბოლოო მიზნისთვის ღირს სწრაფვა. ინსტრუმენტული კი იმის რწმენას, რომ რომელიმე თვისებები ან ქმედებები უპირატესობას წარმოადგენს ნებისმიერ სიტუაციაში.

სტუდენტთა ღირებულებითი ორიენტაციები შევისწავლეთ მ. როკიჩის მეთოდიკით.

გამოიკითხა ქ. თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლის 1200 სტუდენტი. რესპონდენტებს ცალ–ცალკე უნდა ამოერჩიათ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პირველი, მეორე და მესამე მნიშვნელობის ტერმინალური და ინსტრუმენტული ღირებულებები. საბოლოოდ კი უნდა მოეხდინათ შერჩეული პოზიციების გაერთიანება. თითოეულ სიაში სამი, ანუ სულ ექვსი აღნიშნული ღირებულებიდან აერჩიათ სამი მნიშვნელოვანი და მოეხდინათ მათი რანჟირება.

ტერმინალური ღირებულებების თვრამეტი დასახელებიდან სტუდენტებისათვის რიგით პირველ – ყველაზე მნიშვნელოვან სამეულში პირველი, მეორე და მესამე ადგილი დაიკავა ბედნიერი ოჯახური ცხოვრება, ჯანმრთელობა და თავისუფლება. ჩვენს საზოგადოებაში ტრადიციულად ოჯახს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ის იყო ერთგვარი საზომი პიროვნებისა. მიიჩნეოდა, რომ თუ ადამიანს კარგი ოჯახი ჰქონდა ე.ი. ღირსეული პიროვნება იყო. თანამედროვეობაშიც არ დაუკარგავს ოჯახს თავისი მნიშვნელობა. ბედნიერი ოჯახური ცხოვრება კვლავ უმნიშვნელოვანესია. ბედნიერი ოჯახური ცხოვრების მოტივაციური მიზანია ჰარმონია და სტაბილურობა ოჯახურ ურთიერთობებში. ის წარმოიშობა ბაზისური ინდივიდუალურ მოთხოვნილებიდან.

მეორე ადგილზე დასახელებული ღირებულება – ჯანმრთელობა – ასევე ბაზისური ინდივიდუალური მოთხოვნილებიდანაა წარმოშობილი. ეს არის უსაფრთხოების ტიპის ღირებულება, რომელიც ემსახურება უფრო მეტად ინდივიდუალურ ინტერესებს.

მესამე ადგილზე დასახეებული ღირებულება – თავისუფლება – თვითორიენტაციის ღირებულებაა. მისი განმსაზღვრელი მიზანია დამოუკიდებელი ფიქრი და მოქმედება, დამოუკიდებელი არჩევანი.

ტერმინალური ღირებულებების უმნიშვნელოვანეს სამეულში სტუდენტებმა დაასახელეს ბაზისური ინდივიდუალური მოთხოვნილებიდან წარმოშობილი ღირებულებები და ასევე თვითორიენტაციის ღირებულება. სამივე დასახელებული: ბედნიერი ოჯახური ცხოვრება, ჯანმრთელობა და თავისუფლება ეს ის უმნიშვნელოვანესი ღირებულებები, რისთვისაც სტუდენტთა აზრით ღირს სწრაფვა.

ცხრილი 1.

**სტუდენტთა ტერმინალური ღირებულებების განაწილება რიგითობის მიხედვით**

| ტერმინალური ღირებულებები | რიგით | | |
|---|---|---|---|
| | პირველი | მეორე | მესამე |
| აქტიური და სრული ემოციური ცხოვრება | 88 | 14 | 25 |
| ბედნიერი ოჯახური ცხოვრება | 323 | 138 | 79 |
| ბუნების სილამაზე და ხელოვნება | 27 | 13 | 20 |
| გართობა | 75 | 47 | 19 |
| თავისუფლება | 133 | 105 | 44 |
| კარგი და ერთგული მეგობრები | 40 | 112 | 58 |
| მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრება | 71 | 161 | 109 |
| პროდუქტიული ცხოვრება | 20 | 39 | 37 |
| საზოგადოებრივი აღიარება | 10 | 26 | 34 |
| საინტერესო სამუშაო | 15 | 56 | 50 |
| საკუთარი თავის განვითარება | 37 | 81 | 81 |
| საკუთარი თავის რწმენა | 17 | 41 | 37 |
| სიყვარული | 49 | 124 | 147 |
| სხვა ადამიანების ბედნიერება | 4 | 8 | 21 |
| შემეცნება | 1 | 11 | 22 |
| შემოქმედება | 5 | 8 | 18 |
| ცხოვრებისეული სიბრძნე | 7 | 13 | 27 |
| ჯანმრთელობა | 196 | 121 | 290 |

ინსტრუმენტული ღირებულებების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ სტუდენტებისათვის რომელი თვისება ან ქმედება წარმოადგენს უპირატესს ნებისმიერ სიტუაციაში. უმნიშვნელოვანესი – პირველი რიგის ღირებულებებში სტუდენტებმა დაასახელეს განათლებულობა, დამოუკიდებლობა და აკურატულობა. ეს არის ის სამი თვისება რომელსაც უპირატესობას ანიჭებნ სტუდენტები. ისინი ხაზს უსვამენ განათლებულობას, დამოუკიდებლობას და აკურატულობას, რაც, ვფიქრობთ მეტად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მათთვის არამედ მთელი საზოგადოებისათვის.

ცხრილი 2.

სტუდენტთა ინსტრუმენტული ღირებულებების განაწილება რიგითობის მიხედვით

| ინსტრუმენტული ღირებულებები | რიგით | | |
|---|---|---|---|
| | პირველი | მეორე | მესამე |
| აკურატულობა | 83 | 6 | 10 |
| განათლებულობა | 456 | 99 | 71 |
| გულმოდგინება | 33 | 14 | 11 |
| დამოუკიდებლობა | 147 | 126 | 61 |
| ზრდილობიანობა | 81 | 146 | 36 |
| თვითკონტროლი | 41 | 81 | 27 |
| მაღალი მოთხოვნები | 10 | 43 | 22 |
| მზრუნველობა | 18 | 64 | 39 |
| ნებისყოფა | 34 | 83 | 79 |
| პასუხისმგებლიბა | 65 | 142 | 129 |
| პატიოსნება | 67 | 112 | 137 |
| რაციონალიზმი | 10 | 19 | 55 |
| საკუთარი და სხვათა ნაკლის მიმართ შეურიგებლობა | 2 | 12 | 25 |
| საქმეშიეფექტიანობა,შრომისმოყვარეობა,შრომაშიპროდუქტიულობა | 22 | 69 | 103 |
| სითამამე და საკუთარი აზრისა და შეხედულებების გატანა – დაცვა | 10 | 32 | 87 |
| სიცოცხლის ხალისიანობა | 29 | 48 | 134 |
| შემწყნარებლობა | 8 | 13 | 43 |
| შეხედულებათა სიფართოვე | 2 | 9 | 49 |

რიგითობით დასახელებულ ღირებულებების ჩამონათვალში საკმაოდ დაბალია შემწყნარებლობის და შეხედულებათ სიფართოვის მაჩვენებელი, რაც დამაფიქრებელია. ადამიანები ყოველდღიურად კონტაქტში შედიან სხვა ადამიანებთან, დიდ ჯგუფებთან. მათი მიუღებლობით და განსჯით საკუთარ კეთილდღეობას ჩიხში მოაქცევ. დაბალია ასევე რაციონალიზმის მაჩვენებელი. სტუდენტები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ გონიერებას, ნებიყოფას და თვითკონტროლს.

ყოველდღიურ ურთიერთობებში ხდება გარშემომყოფი ადამიანების კეთილგანწყობის – ზრუნვის – ღირებულებების ფოკუსირება, იმ ადამიანების კეთილდრეობის დაცვა–გაძლიერება

რომელთანაც მუდმივი კონტაქტი გაქვს. უნდა აღინიშნოს, რომ მზრუნველობას სტუდენტები არც თუ მაღალ მნიშვნელობას ანიჭებენ.

სტუდენტებმა საბოლოო ჯამში მოახდინეს ტერმინალური და ინსტრუმენტული ღირებულებებიდან მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სამის არჩევა და რანჟირება. პირველი რიგის მნიშვნელობის ღირებულებათა ხუთეულში მოხვდა: ჯანმრთელობა (273),ბედნიერი ოჯახური ცხოვრება (199), თავისუფლება (105), მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრება (83), სიყვარული (82).

მეორე რიგის მნიშვნელოვანი ღირებულებების ჩამონათვალშია: ჯანმრთელობა (159), განათლებულობა (141), ბედნიერი ოჯახური ცხოვრება (105), მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრება (99) და სიყვარული (80). ხოლო სტუდენტებისთვის მესამე რიგის ღირებულებებია: განათლებულობა (139), ჯანმრთელობა (78), პატიოსნება (73), სიცოცხლის ხალისიანობა (68), საქმეში ეფექტიანობა, შრომისმოყვარეობა, შრომაში პროდუქტიულობა (63). მიღებულმა შჰედეგებმა აჩვენა, რომ როდესაც სტუდენტებმა გააერთიანეს მათ მიერ შერჩეული პოზიციები უპირველესი აღმოჩნდა ჯანმრთელობა, თავისუფლება და ბედნიერი ოჯახური ცხოვრება. ესენია ის უმნიშვნელოვანესი ღირებულებები, რისთვისაც სტუდენტთა აზრით ღირს ცხოვრებაში სწრაფვა.

ამრიგად, სტუდენტთა ღირებულებებში უმთვრესი ადგილი უკავია ბაზისურ ინდივიდუალურ მოთხოვნილებებიდან წარმოშობილ ღირებულებათა ტიპს.

– სტუდენტებში ბედნიერი ოჯახური ცხოვრება უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა. მისი მოტივაციური მიზანია ჰარმონია და სტაბილურიბა ოჯახურ ურთიერთობებში. ის წარმოიშობა ბაზისური ინდივიდუალურ მოთხოვნილებიდან და პირველი ადგილი უჭირავს სტუდენტთა ღირებულებით ორიენტაციაში.

– სტუდენტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჯანმრთელობას, რომელსაც მეორე ადგილი უკავია ღირებულებათა სისტემაში. ის ემსახურება უფრო მეტად ინდივიდუალურ ინტერესებს. რადგან ღირებულებითი სისტემა არეგულირებს პიროვნების ქცევას, უნდა ვივარაუდოთ, რომ სტუდენტების ქცევა მიმართული იქნება ჯანმრთელობაზე ზრუნვისაკენ. რადგან ადამიანის ჯანმრთელობას მნიშვნელოვანწილად განსაძღვრავსს მისივე ცხოვრების წესი, სავარაუდოდ, ისინი ჯანსაღი ცხოვრების წესს აირჩევენ.

– სტუდენტები მაღალ შეფასებას აძლევენ თავისუფლებას, დამოუკიდებლობას. მათთვის მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი ფიქრი, მოქმედება, შემოქმედება, დამოუკიდებელი არჩევანი.

–შედეგებიდანგამომდინარესტუდენტებში ნაკლებად მნიშვნელოვანიაგარშემომყოფთადმი კეთილგანწყობის – ზრუნვის ღირებულება. შემწყნარებლობა,

გამოყენებული ლიტერატურა:


1. Елишев С. О. Теоретико методологические подходы к изучению понятий ценность ценностные ориентаций. Социология и политология. 2010, №3.
2. Почебут Л. Г. Меижис И. А. Социальная Психология. Изд,“ Питер“ 2016 .
3. Раитина М. С. Ценность и ценностные ориентаций их формирование и роль в развитии личности. Заочные электронные конференции.

*Lela Menabdishvili*

**THE VALUE ORIENTATION OF STUDENTS**

**Summary**

The study of personal or social groups value orientation is always of very great importance, because the value orientation of a person represents the substantial characteristics of his personality, defines and regulates his attitude and interaction with the outside world. As soon as a person realizes the own value orientation, he looks for the place in the Universe, thinks about the purpose of the existence and the importance in this world.

We have studied the value orientation of students according to The Rokeach Value Survey (RVS). It defines terminal and instrumental values. The terminal values – a belief, that it's worth striving for the achievement of ultimate goal of individual existence. The students named happy family life, health and freedom in the first line of the terminal values.

Instrumental Values - a belief, that any characteristics or behaviors are an advantage in any situation. The first of all the students consider the education, independence and accuracy among such values. When the respondents united the selected positions, the health, freedom and happy family life turned out the preferential for them. These represent the most important values, for which is worth striving according to the students.

***Key words:*** value, value orientation, terminal values, instrumental values.

# ცხოვრების ჯანსაღი წესი სტუდენტებში

*ნანა მენაბდიშვილი*
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის*
*ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი, ეკონომიკის დოქტორი*

რეზიუმე

რესპონდენტთა უმრავლესობაში (82,9%) ჯანმრთელობაზე ზრუნვა ბავშობიდანვე იყო მიღებული. მაგრამ თავად მათ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ ამ საკითხისადმი. რესპონდენტები მუდმივად საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვით არ ხასიათდებიან. მეხუთედზე მეტი მხოლოდ ავადმყოფობისას ზრუნავს. სამწუხაროდ, არიან ისეთებიც ვინც საერთოდ არ ზრუნავენ საკუთარ ჯანმრთელობაზე. ამის ერთ–ერთ მიზეზად დასახელდა ჯანმრთელობაზე ზრუნვის უცოდინრობა.

მავნე ჩვევებისადმი დამოკიდებულების შესწავლამ, დაგვანახა, რომ თამბაქოს მომხმარებლები ორივე სქესის რესპოდენტებში არიან – 41,1%. რესპონდენტებში ძირითადად ალკოჰოლური სასმელების ზომიერი მოხმარება გამოვლინდა. ალკოჰოლს საერთოდ არ მოიხმარს – 31,1%. რაც შეეხება ნარკოტიკულ საშუალებებს უმეტესობას – 73,8% არასდროს მოუხმარია, თუმცა არიან ისეთებიც ვინც ხშირი მომხმარებელია. საკუთარი ჯანმრთელობის მუდმივ კონტროლს ანხორციელებს მხოლოდ მცირე ნაწილი – 16,2%, რესპონდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილი საკუთარ ჯანმრთელობისადმი ზრუნვას არასერიოზულად უყურებს, მიმართავს თვითმკურნალობას ან უკიდურეს შემთხვევაში „სტუმრობს" ექიმს.

სტუდენტი ახალგაზრდების თვითიმოვლითი ქცევის შესწავლამ დაგვანახა, რომ მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი რათა ახალგაზრდა თაობამ გაითავისოს ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობა როგორც პირადად მისთვის ისე მთელი საზოგადოებისთვის.

***საკვანძო სიტყვები:*** *ჯანმრთელობა, ჯანმრთელობაზე ზრუნვის მეთოდები, ცხოვრების ჯანსაღი წესი.*

## I. შესავალი

ცხოვრების ჯანსაღი წესი ცხოვრების პოზიცია და ადამიანის გონივრული თვითმოვლითი ქცევაა, რომელიც მიმართულია საკუთარი ჯანმრთელობის განმტკიცებისაკენ. ცხოვრების ჯანსაღი წესი ემყარება რელიგიურ-ეროვნულ ტრადიციებს და ემსახურება ადამიანის ფიზიკური, სულიერი, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფას და მოიცავს ღირებულებით ორიენტაციათა მთელ ერთობლიობას, რომელიც თავის გამოხატულებას ცხოვრების წესის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მახასიათებლებში პოულობს. ამიტომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ცალკეული პიროვნებისათვის არამედ მთელი საზოგადოებისათვის. ეს განაპირობებს იმას, რომ ქვეყნის დემოგრაფიული სიტუაციის შესწავლისას სხვა საკითხებთან ერთად არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება, სწორედ, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას. ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვნად განაპირობებს არა მარტო მოსახლეობის, არამედ

მატერიალური დოვლათისა და ერის სულიერი ღირებულებების გამრავლებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ საკითხის შესწავლა ახალგაზრდა ასაკში, რადგან ადამიანის ჯანმრთელობა და მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა ძირითადად მისსავე ცხოვრების წესზეა დამოკიდებული. ნაშრომში განხილულია ახალგაზრდების ერთი ჯგუფის – სტუდენტების **„ცხოვრების ჯანსაღი წესი.“ მონაცემები მიღებულია სოციოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე.**[1]

II. ძირითადი ნაწილი

თანამედროვე მედიცინამ და ჯანდაცვამ მიაღწია იმ დონეს, რომლითაც მაქსიმალურად არის შესაძლებელი ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესება, სიცოცხლის გახანგრძლივება. მაგრამ ეს არაა საკმარისი, საჭიროა საკუთრივ ადამიანის ცხოვრების ჯანსაღი წესი. ფორმულირება „ცხოვრების ჯანსაღი წესი“ გასული საუკუნის 70–იანი წლებიდან დამკვიდრდა. მისი განსაკუთრებული აქტუალობა გამოწვეულია ადამიანის ორგანიზმზე სხვადასხვა სახის დატვირთვის გაზრდით, რაც თავის მხრივ განპირობებულია საზოგადოებრივი ცხოვრების გართულებით; ტექნოგენური, ეკოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვადასხვა ხასიათის რისკთა მატებით, ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ნეგატიური ძვრების მაპროვოცირებელ ფაქტორთა გამრავლებით. ცხოვრების ჯანსაღი წესის არსი სულისა და სხეულის ჯანმრთელობის შენარჩუნებაა, ის უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანის ჯანმრთელობასა და დღეგრძელობასთნ, კეთილდღეობასა და ბედნიერებასთნ. ეს არის ცხოვრების პოზიცია, ადამიანის ქცევა მიმართული საკუთრი ჯანმრთელობის განმტკიცებისაკენ და სიცოცხლის გახანგრძლივებისაკენ. ცხოვრების ჯანსაღი წესი ორგანიზმის ჯანმრთელობის, დღეგრძელობის, სოციალურ ფუნქციათა სრულფასოვნად განხორციელების საწინდარია. მასში უამრავ კომპონენტს მოიაზრებენ, თუმცა რამდენიმე მათგანი მაინც მთავარ, ბაზისურ ნაწილად არის გამოყოფილი; ესენია: ჯანსაღი უნარ-ჩვევების დაუფლება, ჯანსაღად აღზრდა ადრეული ასაკიდანვე; გარე სამყაროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ჯანმრთელობაზე მისი ზემოქმედების შესწავლა; მავნე ჩვევებზე (თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებაზე) უარის თქმა; კვება – ზომიერი, ინდივიდუალური ფიზიოლოგიური თავისებურებების შესაბამისი, აგრეთვე – ინფორმირებულობა გამოყენებული პროდუქტების ხარისხიანობის შესახებ; მოძრაობა – ფიზიკურად აქტიური ცხოვრება, დღის რეჟიმში სპეციალური ფიზიკური ვარჯიშების ჩართვა ასაკობრივი და ფიზიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით; ჰიგიენა – პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის დაცვა, პირველი დახმარების ძირითადი ჩვევების ცოდნა; გაკაჟება[2].

ჯანსაღი ცხოვრების წესის ფორმირებისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პირადი ჰიგიენის დაცვას, რომლის გარეშეც შეუძლებელია ჯანმრთელობის შენარჩუნება საზოგადოებრივი ჰიგიენის მაღალი დონის პირობებშიც კი. საკითხი მეტად აქტუალურია, რადგან ერთი ადამიანის მიერ პირადი ჰიგიენის დაუცველობა, სრულიად შესაძლებელია, სხვა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიზეზი გახდეს. ასევე მნიშვნელოვანია კვების სწორი რეჟიმი და ზომიერება. ცნობილ ძველ ბერძენ ფილოსოფოსს სოკრატეს მიაწერენ

---

[1] 2016 წელს დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ შესწავლილ იქნა სტუდენტი ახალგაზრდების თვითმოვლითი ქცევა. სპეციალური კითხვარით სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში გამოიკითხა 1200 სტუდენტი.

[2] http://www.mkurnali.ge

გამონათქვამს: „უნდა ჭამო იმისთვის, რომ იცოცხლო და არა იცოცხლო იმისთვის, რომ ჭამო“. სრულფასოვანი კვება აუცილებელია ორგანიზმის ენერგეტიკული დანახარჯის აღსადგენად, უჯრედებისა და ქსოვილების განახლებისა და მათი ფუნქციის რეგულაციისთვის. ამიტომ ორგანიზმმა უნდა მიიღოს აუცილებელი საკვები ოპტიმალური რაოდენობით, საჭირო დროს. სწორი რაციონალური კვება ორგანიზმის ყველა სისტემის ნორმალური ფუნქციობის საწინდარია. ჯანსაღი კვება ჩვენი ცხოვრების წესად უნდა იქცეს, რათა დიდხანს შევინარჩუნოთ ჯანმრთელობა და ახალგაზრდობა.

ადამიანის ჯანმრთელობის ერთ–ერთი უმთავრესი წინაპირობაა სპორტული დატვირთვა და დასვენების რეჟიმი. აუცილებელია ისინი ადამიანმა ყოველდღე გამოიყენოს რათა მან მოახდინოს საკუთარი ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის ხელშეწყობა ან აღდგენა. რესპონდენტთა უმრავლესობაში (82,9%) ჯანმრთელობაზე ზრუნვა ბავშობიდანვე იყო მიღებული. მაგრამ თავად მათ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ საკითხისადმი.

ცხრილი 1.

საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა (%)

| | ყოველთვის ვზრუნავ | ხანდახან ვზრუნავ | ავადმყიფობისას ვზრუნავ | არ ვზრუნავ | არ უპასუხა |
|---|---|---|---|---|---|
| რამდენად ხშირად ზრუნავთ საკუთარ ჯანმრთელობაზე | 29,2 | 39,9 | 22,8 | 7,3 | 0,8 |

სამწუხაროდ ახალდაზრდების არც თუ მცირე ნაწილი ხანდახან ან ავადმყოფობის დროს ზრუნავს საკუთარ ჯანმრთელობაზე. ასევე განსხვავებულია ჯანმრთელობაზე ზრუნვის ჩვევები. ყველაზე ხშირად ჰიგიენის წესების სრული დაცვა და კვების სწორი რეჟიმი და ზომიერება სახელდება.

ცხრილი 2.

ჯანმრთელობაზე ზრუნვის ჩვევები რესპონდენტებში (%)

| ჯანმრთელობაზე ზრუნვის ჩვევები | % |
|---|---|
| სისტემატური სამედიცინო შემოწმება | 14,2 |
| კვების სწორი რეჟიმი და ზომიერება | 25,2 |
| ჰიგიენური წესების სრული დაცვა | 34,3 |
| სისტემატური სპორტული დატვირთვა | 13,1 |
| დასვენების რეჟიმი | 10,6 |
| დროდადრო ყველაფერს ერთად | 0,7 |
| ზოგჯერ სამედიცინო შემოწმებას | 0,2 |
| არ არის მითითებული | 1,7 |

ის რესპონდენტები რომლებიც საკუთარ ჯანმრთელობაზე არ ზრუნავენ ამგვარ ქმედებას ისეთი მიზეზებით ხსნიან როგორიცაა: „არაფერში არ მინდა შევიზღუდო თავი“ (10,2%), „არ მყოფნის ნებისყოფა“ (14,0%) და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, – „არ ვიცი როგორ ვიზრუნო“(3,8%). მართალია, ეს უკანასკნელი რესპონდენტთა საკმაოდ მცირე ნაწილმა დაასახელა, მაგრამ, ვფიქრობთ, დამაფიქრებელია, რადგან რესპონდენტები არიან სრულწლოვანები და პოტენციური მშობლები, რომლებმაც თვითონ უნდა ასწავლონ საკუთარ შვილებს თვითმოვლის ჩვევები. შეუძლებელია ასწავლო სხვას ის რაც თავად არ იცი.

საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის ქცევა, ისევე როგორც ყველა სხვა ქცევა, სოციალიზაციის გზით მიიღება და ადამიანს ოჯახში ბავშვობის ასაკიდან უნვითარდება. ცნობილია, რომ დედის განათლება პირდაპირ კავშირშია ბავშვის ჯანმრთელობასთან, რადგან სწორედ დედას ენიჭება უპირატესი როლი ბავშვის სოციალიზაციაში. ასევე მნიშვნელოვანია ოჯახში დამკვიდრებული ქცევის წესები, მხედველობაში გვაქვს კვების, დასვენების რეჟიმი და პირადი ჰიგიენის დაცვა. ის ახალგაზრდები, რომლებიც აღნიშნავენ რომ არ იციან როგორ იზრუნონ საკუთარ ჯანმრთელობაზე საფრთხეს უქმნიან არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ მის გარშემო მყოფთაც.

თავად რესპონდენტთა შეფასებითაც ყველაზე მეტად დადებითად ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე საკუთარ თავზე ზრუნვა მოქმედებს. შემდეგ მოდის ცხოვრების პირობები, მემკვიდრეობითი ჯანმრთელობა და ეკოლოგია.

ცხრილი 3.

რესპონდენტთა აზრით ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მოქმედი ფაქტორები (%)

| | სულ | მამაკაცი | ქალი |
|---|---|---|---|
| საკუთარ თვზე ზრუნვა | 31,0 | 32,2 | 30,2 |
| ჯანმრთელობა მემკვიდრეობით | 15,2 | 14,2 | 16,2 |
| სამედიცინო მომსახურების ხარისხი | 5,9 | 6,7 | 5,0 |
| ეკოლოგია | 14,8 | 18,9 | 10,8 |
| ცხოვრების პირობები | 27,6 | 23,5 | 31,8 |
| ოჯახური კლიმატი | 2,1 | 1,6 | 2,7 |
| არ მიუთითა | 2,0 | 1,8 | 2,2 |
| ყველაფერი დროდადრო | 1,4 | 1,1 | 1,1 |

ქალი რესპონდენტები მამაკაცებისაგან განსხვავებით ჯანმრთელობაზე მოქმედ ფაქტორებს შორის პირველ ადგილზე ასახელებენ ცხოვრების პირობებს და შემდეგ საკუთარ თავზე ზრუნვას.

ცხოვრების ჯანსაღი წესის უამრავი კომპონენტიდან ერთ–ერთ ბაზისურ ნაწილად არის გამოყოფილი მავნე ჩვევებზე – თამბაქოს, ალკოჰოლის და ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებაზე – უარის თქმა. ამ მავნე ჩვევების დამანგრეველ გავლენაზე გაფრთხილებებს სხვადასხვა ფორმით იძლევა ჯანდაცვის სამინისტრო, თუმცა პრობლემა მწვავეა. საფრთხე დგას დემოგრაფიული თვალსაზრისითაც, რადგან ამ მავნე ჩვევებმა შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ მომხმარებელთა გულსისხლძარღვთა სისტემის, ღვიძლის, ფილტვის და სხვა ორგანოების დაავადება, არამედ სხვადასხვა ანომალია დაავადებულ მშობელთა ახალშობილებში, შეაფერხოს ნაყოფის განვითარება ან სულაც უშვილობის მიზეზი გახდეს. ურთულესი დემოგრაფიული ვითარების პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რაც შეიძლება მაქსიმალურად შემცირდეს აღნიშნული ფაქტორების გავლენა. თამბაქოს მომხმარებლები ორივე სქესის რესპობდებტებში არიან. თუმცა გამოიკვეთა ამ მავნე ჩვევისადმი თვის დანებების ტენდენცია, რესპონდენტებში 7,3%–ით შემცირდა თმბაქოს მომხმარებელთა წილი, მამაკაცებში 9,3% – ით, ხოლო ქალებში 5,4–ით.

ცხრილი 4.

თამბაქოს მოხმარება რესპონდენტებში(%)

| | ოდესმე თუ ეწეოდით | | | ამჟამად თუ ეწევით | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დიახ | არა | არ უპასუხა | დიახ | არა | არ უპასუხა |
| მამაკაცი | 50,4 | 46,8 | 2,8 | 41,1 | 58,9 | 0,0 |
| ქალი | 23,6 | 73,0 | 3,4 | 18,2 | 81,3 | 0,5 |
| სულ | 37,0 | 59,8 | 3,1 | 29,7 | 70,0 | 0,3 |

ალკოჰოლური სასმელების ზომიერი მიღება დასაშვებია და ხშირ შემთხვევაში სამკურნალო დანიშნულებაც აქვს. მაგრამ სისტემატიური და გადაჭარბებული მოხმარება უკვე საზიანოა ჯანმრთელობისათვის. საქართველოში ალკოჰოლური სასმელებისადმი დამოკიდებულება ყოველთვის ზომიერი იყო. რესპონდენტებშიც ალკოჰოლის ზომიერი მოხმარება შეინიშნება.

ცხრილი 5.

ალკოჰოლის მოხმარება რესპონდენტებში(%)

| რამდენად ხშირად სვამთ ალკოჰოლურ სასმელებს | მამაკაცი | ქალი | სულ |
|---|---|---|---|
| კვირაში ერთხელ | 14,1 | 3,4 | 8,8 |
| კვირაში რამდენჯერმე | 16,0 | 3,6 | 9,8 |
| ორ კვირაში ერთხელ | 20,3 | 5,7 | 13,0 |
| თვეში ერთხელ | 35,7 | 38,0 | 36,9 |
| საერთოდ არ ვსვამ | 13,5 | 48,9 | 31,1 |
| არ არის მითითებული | 0,4 | 0,4 | 0,4 |

ბოლო დროს ხშირია საუბრები მარიხუანს ლეგაკიზაციასთან დაკავშირებით. საზოგადოების ცალკეული ჯგუფები აქციებსაც კი აწყობს ლეგალიზაციის მხარდასაჭერად. საკვლევი თემიდან გამომდინარე აუცილებლად ჩავთვალეთ ამ საკითხისადმი სტუდენტების დამოკიდებულების შესწავლა. მათ უნდა ეპასუხათ კითხვაზე: „როგორ ფიქრობთ უნდა მოხდეს თუ არა მარიხუანას ლეგალიზაცია?“ აღმოჩნდა, რომ მათი უმრავლესობა ამ მოსაზრებას არ იზიარებს (52,0%). თითქმის მეხუთედს კი საკითხისადმი გამოკვეთილი პოზიცია არა აქვს. რაც შეეხება საზოგადოებაში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისადმი რესპონდენტთა დამოკიდებულებას – „როგორ აფასებთ ნარკოტიკული ნივთიერების გამოყენებას?“ – უმეტესობა (80,0%) მას უარყოფითად აფასებს. ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისადმი დადებითი დამოკიდებულება გამოხატა რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილმა (3,6%). ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევს - 15,9%, ხოლო - 0,5% საკუთარ პოზიციას არ აფისირებს. რესპონდენტების უმრავლესობა ნარკოტიკულ საშუალებებს არ მოიხმარს. თუმცა არიან ხშირი მომხმარებლებიც.

ცხრილი 6.

ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება რესპონდენტებში

| მოგიხმარიათ თუ არა ნარკოტიკული საშუალებები | მამაკაცი | ქალი | სულ |
|---|---|---|---|
| გამისინჯავს | 32,2 | 5,9 | 19,0 |
| ხანდახან მოვიხმარ | 7,7 | 2,0 | 5,0 |
| ხშირი მომხმარებელი ვარ | 2,5 | 0,4 | 1,4 |
| არასდროს მომიხმარია | 57,1 | 90,6 | 73,8 |
| არ არის მითითებული | 0,5 | 1,1 | 0,8 |

III. დასკვნა

ამრიგად, სტუდენტებში ცხოვრების ჯანსაღი წესის შესწვლამ აჩვენა, რომ ისინი საკუთარი ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და აღდგენაზე ნაწილობრივ არიან ორიენტირებულნი. ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მოქმედ ფაქტორებს შორის ყველაზე მეტად სახელდება საკუთარ თავზე ზრუნვა 30,2%, მაგრამ მხოლოდ 29,2% ზრუნავს მუდმივად ჯანმრთელობაზე.რესპონდენტებს შორის არიან ისინი ვინც საკუთარ ჯანმრთელობაზე არ ზრუნავენ. მიზეზების დასახელებისას გამოიკვეთა მათი არასერიოზული დამოკიდებულება საკითხისადმი, თუმცა იყვნენ ისინი, რომლებმაც აღნიშნეს რომ არ იციან როგორ იზრუნონ. ვფიქრობთ, ეს ფაქტი მეტად დამაფიქრებელია, რადგან ეს ახალგაზრდები საფრთხეს უქმნიან არა მხოლოდ საკუთარ თავს არამედ მის გარშემო მყოფთაც. მავნე ჩვევებისადმი სტუდენტ რესპონდენტებს ზომიერი დამოკიდებულება ახასიათებთ, თუმცა ორივე სქესის წარმომადგენლებში დაფიქსირდა თამბაქოს და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შემთხვევები. კვლევით მიღებული შედეგები ნათელს ხდის, რომ მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი რათა ახალგაზრდა თაობამ გაითავისოს ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობა როგორც პირადად მისთვის ისე მთელი საზოგადოებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. ლორთქიფანიძე, ა. თოთაძე, ერმა ერი უნდა გადაარჩინოს, თბ 2007, გვ 100.
2. გ. წულაძე, საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული, 2015.
3. http://www.medportal.ge/

*Nana Menabdishvili*

## Healthy lifestyle among students

**Summary**

The most respondents (82,9%) have received the regular health care from the infancy, but they doesn't have a simple attitude towards this issue. The respondents are not characterized by the permanent care of their health. More than 1/5 of respondents cares only during illness. Unfortunately, there are respondents who never care about health. The lack of knowledge concerning the health care was named one of the reasons of this.

The study of dependence to bad habits has shown that, tobacco consumption are noted among the both sexes of respondents – 41,1%. The moderate consumption of alcohol is revealed in respondents on the whole. Never uses alcohol 31,1% of respondents. As for using of narcotics, the majority of respondents 73,8% never use, but at the same time there are frequent users among them. Only small number of the respondents - 16,2% cares about health. But the sizable number of respondents doesn't watch seriously care about own health, uses a self-medication during illness or "visits" a doctor only in an extreme case.

As the self-preservation behavior study of students and youths has shown, it is necessary to carry out the important measures, in order to the younger generations to realize the importance of a healthy lifestyle for them personally and for the whole society.

***Key words:*** *health, healthcare methods, healthy lifestyle*

# „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს

*ნუცუბიძე თამაზ*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

რეზიუმე:
წარმოდგენილ ნაშრომში “ქართლის ცხოვრება» მოგვითხრობს, ნაჩვენებია მართლმადიდებლობის განვითარების ეტაპები, ქრისტიანობის შემოსვლა საქართველოში, ქართველ მონარქთა ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ რელიგიის დასაცავად. ქრისტიანობის, როგორც სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრება, რუსეთის იმპერიული ზრახვები საქართველოში. ავტოკეფალიის მოშლა და შემდგომ კვლავ აღდგენა, ქართული ეკლესიის თანამედროვე მდგომარეობა.

*საკვანძო სიტყვები: ქრისტეს მოციქულები, ჰიმნოგრაფია, ოქროს ხანა, ავტოკეფალია, ერთსულოვნება.*

I. შესავალი

**საქართველოს ეკლესიის დამაარსებლად რელიგიის მკვლევარები თომა მოციქულს მიიჩნევენ. ასე რომ, ქრისტიანობა ქრისტეს მოღვაწეობის დროიდან, პირველივე საუკუნიდან ქართველებისთვის ცნობილი და ხლობელი რელიგიაა. თუმცა მაშინ ის სახელმწიფო სარწმუნოება არ იყო. ჩვენში წმინდა ნინოს შემოსავლამდე პატარ-პატარა ქრისტიანული თემები არსებობდნენ და საკმაო გავლენითაც სარგებლობდნენ. ძველი ისტორიული წყაროები უფრო მეტსაც ამტკიცებენ (ირინეოსი) - ქართველებმა იგივე იბერებმა, იგივე კოლხებმა ქრისტიანობა ჯერ კიდევ რომის იმპერატორ ტრაიანემდე (98-117 წწ.) მიიღეს.**

II. ძირითადი ნაწილი

“ქართლის ცხოვრებაში» არის საკმარისი ცნობები იმის შესახებ, რომ პირველ საუკუნეში ქრისტიანობას ეზიარნენ კოლხები (მეგრელები) და კლარჯები (მესხები), ასე რომ, საქართველოში ქრისტიანულ სარწმუნოებას საფუძვლიანად იცნობდნენ და სწორედ მაშინ შეიქმნა ის ნიადაგი, რომელმაც მეოთხე საუკუნეში წმინდა ნინომ თავისი კეთილშობილური მისიით წარმატებით დააგვირგვინა - ქრისტიანობა იქცა სახელმწიფო რელიგიად. წმინდა ნინოს საქართველოში დახვდა ქრისტეს მოციქულთა მიერ ჩატარებული დიდი სამუშაოები. წმინდა ნინო საქართველოში შემოვიდა 303 წელს. 317-318 წლებში კი ქართლის მეფე მირიანმა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აღიარა, 324 წელს კი ქართველები ერთიანად მოინათლნენ.

680 წელს კონსტანტინეპოლში გაიმართა VI საეკლესიო კრება. აქ განიხილეს ქართული ეკლესიის სრული დამოუკიდებლობის საკითხი. ამასთანავე, ქართული ეკლესიის მეთაურს მიენიჭა პატრიარქის ტიტული. ამ კრების დადგენილებით საქართველოს მიეცა მირონის მოხარშვის უფლებაც.

მერვე საუკუნეში საქართველოს ახალი მტარვალები შემოესივნენ. ესენი იყვნენ არაბები. საქართველო და ჩვენი ეკლესია ისევ მძიმე გასაჭირში აღმოჩნდნენ. არაბთა ბატონობის

მიუხედავად, სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ქრისტიანული კულტურის დიდი საგანძური - ქართული ჰიმნოგრაფია. ამავე პერიოდში გამობრწყინდნენ საქართველოს ეკლესიის წმინდა მოწამენი - აბო თბილელი, დავით და კონსტანტინე მხეიძეები. ეს წმინდანები საშინელი წამებით დახოცეს არაბებმა. საქართველოს ერთიანი სამეფოც დაიშალა. ამას მოჰყვა საკათალიკოსოს ორად გაყოფაც - აფხაზეთისა და ქართლის საკათალიკოსოებად. მცხეთის კათალიკოსს "უხუცესს" უწოდებნენ, აფხაზეთისას კი "უმრწმესს". მერვე საუკუნის შუა წლებში, როგორც იქნა, მურვან ყრუმ დატოვა საქართველო და კლარჯეთში აღსდგა ოპიზას მონასტერი. განახლდა სამონასტრო ცხოვრება. მაშინ წმინდა გრიგოლმა დააფუძნა უბისა. მანვე თავის მონასტრისთვის შეიძინა იერუსალიმის წმინდა ტიპოკონი. ასევე შექმნა ჰიმნოგრაფიული კრებული "იადიგარი".

1089 წელს საქართველოს მოევლინა უბრწყინვალესი პიროვნება - მეფე დავით მეოთხე ბაგრატიონი (აღმაშენებელი). მან გვერდში ამოიყენა გენიალური პიროვნება გიორგი ჭყონდიდელი. სწორედ მათი ძალისხმევით ქრისტიანულმა საქართველომ უდიდეს წარმატებებს მიაღწია. აღმაშენებლის ყველა დიდი გამარჯვება პირდაპირ ქრისტიანობასთან იყო დაკავშირებული. მან უცხო ტომის დამპყრობლებისაგან მთლიანად გაათავისუფლა თბილისი (400 წელი აქ არაბები ბოგინობდნენ). დავითის დიდი მონდომებითა და თაოსნობით სინას მთაზე, სადაც მოსემ და ელიამ იხილა ღმერთი, აიგო მონასტერი. განათლებამ იმ დროს საქართველოში უდიდეს წარმატებებს მიაღწია. მაშინ დაარსდა გელათის რელიგიური და სამეცნიერო ცენტრი - აკადემია. იქ განათლების მისაღებად უცხო ქვეყნებიდან ჩამოვიდნენ ახალგაზრდები. დავითმა საქართველოში ააგებინა აგრეთვე უამრავი ეკლესია-მონასტერი. ასეთი საქმიანობა დიდი მონდომებით განაგრძო მისმა ვაჟმა დემეტრე პირველმა. ასევე ხდებოდა ჩვენი შემდგომი მეფეების დავით მეხუთისა და გიორგი მესამის დროს. განსაკუთრებით კი - თამარის მეფობისას. იგი მთელ კავკასიას განაგებდა და მოსახლეობაშიც უდიდესი პოპულარობით გამოირჩეოდა. მის სახელზე შენდებოდა მრავალი ეკლესია და სალოცავი. ქართველმა ერმა და ეკლესიამ აღმაშენებელი და თამარი წმინდანებად შერაცხა.

ამ დიდი პიროვნებების შემდეგ კი, ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოს მშვიდი ცხოვრება აღარ ეწერა. "ოქროს ხანის» სახელმწიფოდ აღიარებული საქართველო რუსუდან მეფის დროს შეირყა.

მეთოთხმეტე საუკუნისათვის საქართველოს ისევ მოევლინა დიდი ქრისტიანი და ბრწყინვალე მეფე - გიორგი ბრწყინვალე. მან საქართველო ისევ გააერთიანა. თავის სასახლეში იხმო ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსები და გაერთიანებისა და განმრკიცებისაკენ მოუწოდა. საქართველოს ეკლესია მაშინ არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც (იერუსალიმში) ავრცელებდა თავის უფლებებს. შემონახულია ცნობები, რომლის მიხედვითაც გიორგი ბრწყინვალის მეფობისას ქრისტეს სამარხის გასაღები ქართველებს ეკუთვნოდათ (სამწუხაროდ, შემდეგში ეს გასაღები ფრანცისკანელებმა ჩამოგვართვეს). გიორგი ბრწყინვალეს დროს განეკუთვნება პეტრიწონის მონასტრის მუშაობა ბულგარეთში. იქ სასულიერო სემინარიაც მოქმედებდა. ამ ძლიერმა მონარქმა 28 წელი იმეფა. 1346 წელს გარდაიცვალა თბილისში.

მეჩვიდმეტე საუკუნეც არ იყო საქართველოსთვის და მისი ეკლესიისათვის წარმატებული. ადამიანები თავის გადარჩენისათვის ღალატობდნენ სარწმუნოებას და ზოგ შემთხვევაში, ეროვნებასაც. თუმცა იყვნენ დიდი ქართველებიც. რად ღირს კახეთის დედოფლის - ქეთევან

წამებულის სახელი, ანდა მეფე ლუარსაბ მეორე. მათმა თავდადებამ და თვითშეწირვამ გადაარჩინა ქართველი ერი სრულ დეგრადაციას. მეფე ლუარსაბ მეორე ეწამა 1622 წელს. ქართულმა ეკლესიამ ეს დიდებული ერისშვილები წმინდანებად შერაცხა. ასევე წმინდანებად უნდა მოვიხსენიოთ 1616 წელს დავით გარეჯელის უდაბნოში ამოწყვეტილი ექვსი ათასი მოწამე. ასეთივე რანგშია აყვანილი ცხრა ძმა ხერხეულიძე. მათთან მარაბდაში დაღუპული ცხრა ათასი ქართველი. 1642 წელს საშინელი წამებით ამოხადეს სული საქართველოს ეკლესიის მეთაურს, კათალიკოს ევდემოზს, 1661 წელს შეეწირნენ საქართველოს ბიძინა ჩოლოყაშვილი და ალიზბარ და შალვა ერისთავები. 1696 წელს დაიღუპნენ წმინდა მამები - შიო, დავითი და გაბრიელი, მამა თევდორე.

დიდი ქართველები თავგამოდებით იღწვოდნენ ქართული ეკლესიის გადასარჩენად. მოითხოვდნენ ავტოკეფალიის აღდგენას. ქართული ენის დაცვას და საერთოდ, ჩვენი კულტურის გადარჩენას. ამ საქმეში სიცოცხლეს არ იშურებდნენ: ილია ჭავჭავაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარი, ალექსანდრე ხახანაშვილი, იაკობ გოგებაშვილი და სხვა მრავალი ქართველი პატრიოტი. ამ საქმეში თვით რუსი საღადმოაზროვნე ადამიანებიც კი გვიჭერდნენ მხარს. განსაკუთრებით კი გამოირჩეოდა ცნობილი ფილოსოფოსი ვლადიმერ სოლოვიოვი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ორი დიდი მამულიშვილი ილია ჭავჭავაძე და ექვთიმე თაყაიშვილი ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მოგვიანებით წმინდამებად შერაცხა.

1917 წელს ჩვენს პლანეტაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა - რუსებმა საკუთარი მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს, ქვეყანას განაგებდა იმჯერად პრემიერ-მინისტრი კერენსკი. ეს ამბავი თებერვალში მოხდა. ქართველმა პატრიოტებმა დრო იხელთეს და მომენტი გამოიყენეს. 1917 წლის მარტში მცხეთაში, სვეტიცხოველში შეიკრიბნენ. მათ სიტყვით მიმართა ეპისკოპოსმა ლეონიდე ოქროპირიძემ. საზეიმოდ გამოაცხადეს საქართველოს ეკლესიისთვის ავტოკეფალიის აღდგენა. იმავე წლის 17 სექტემბერს ქართველი ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს კირიონი. 1918 წლის 26 მაისს კი საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარეს. შეიქმნა საქართველოს მთავრობა. იმჯერად, მეფის ნაცვლად, სწორედ ეს მთავრობა მართავდა ქვეყანას და ეს მმართველები სოციალისტები იყვნენ - ხალხი, რომლებიც ათეისტური აზროვნებით გამოირჩეოდნენ. 1918 წლის 17 ივნისს, მარტყოფში საზარელი ფაქტი მოხდა - ვერაგულად მოკლეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონი.

1921 წლის 25 თებერვალს კი მეორე საზარელი მოვლენის მომსწრენი გახდნენ. რუსეთმა (ამჯერად კომუნისტებმა) მეორედ დაიპყრო საქართველო. ქართული ეკლესიის მეთაური კათალიკოსი ლეონიდე გულის შეტევით გარდაიცვალა. ეკლესიამ ახალ კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ეპისკოპოსი ამბროსი ხელაია. ამ პიროვნების მამულიშვილობამ და დიდმა მონდომებამ ვერ უშველა ქართულ ეკლესიას.

III. დასკვნა

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის დიდი ძალისხმევით მსოფლიოს მართლმადიდებლურმა სამყარომ ოფიციალურად ცნო და აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ეს მოხდა 1990 წლის 25 იანვარს. ილია მეორის პირადი მონდომებით საქართველოში აღდგა მრავალი ეკლესია-მონასტერი., ასევე შენდება უამრავი ახალი ტაძარი თუ მონასტერი. საჯაროდ ინათლებიან ადამიანები მართლმადიდებელ

ქრისტიანებად. თბილისში აიგო წმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ეკლესია. თავისი გრანდიოზულობით გამორჩეული ტაძარი საქართველოში ერთადერთია. მსგავსი ანალოგი ქრისტინულ საქართველოს ისტორიას არ გააჩნია. დღევანდელ საქართველოში წარმატებით ფუნქციობს ქართული სასულიერო აკადემია, ასევე მრავალი სასულიერო სემინარია. მაღალ დონეზეა ბეჭდვითი გამოცემის საქმიანობაც. ქართულ რადიოში არსებობს სპეციალური არხი და ასევე წარმატებულია ქართული სატელევიზიო არხი "ერთსულოვნება".

გამოყენებული ლიტერატურა


1. "ქართლის ცხოვრება», ტომი 4, თბ. 1973 წ.
2. ო. გაბიძაშვილი, რელიგიათმცოდნეობა, თბილისი, 1999 წ.
3. ვ. გოგოლაძე, საქართველოს ქრისტიანობის ისტორია, თბ., 1985 წ.
4. თ. ნუცუბიძე, მართლმადიდებლობა, თბ., 2012 წ.


*Тамаз Нуцубидзе*


**Резюме**

В работе показаны этапы развития провославия, вступление христианства в Грузию, Роль Грузинских монархов в устоновление христианства и укрепление Государства. Роль Грузинских патриархов в установление автокефалии церкви, современное состояние Грузинской церкви.


***Ключевые слова:*** *Гимнография, золотой век, опостолы Христа, Автокефалия, единодушие.*

# საქართველოს ეროვნული ორიენტაცია

*ომარ ტაბუცაძე*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

სტატია ეძღვნება ნაციონალურ-პოლიტიკურ მოძრაობის განვითარებას საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში. ნაჩვენებია რუსეთის აგრესიული პოლოტიკა საქართველოსა და სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების (უკრაინა, მოლდოვა) მიმართ, რომელიც აისახება ეთნიკური კონფლიქტების ესკალაციაში, სეპარატისების მხარდაჭერაში, მათი ტერიტორიების ოკუპაციასა და მტრულ დამოკიდებულებაში დასავლეთის ორიენტაციის ქვეყნებისადმი.

***საკვანძო სიტყვები:*** *ევროპული ორიენტაცია, ეთნიკური კონფლიქტი, ანექსია, პოლიტიკა.*

I. შესავალი

საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულების (გეორგიევსკის ტრაქტატის) ხელმოწერიდან სულ მალე (XIXს. დასაწყისი) მეფის რუსეთმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ,,ურთიერთობების" დარღვევით მოახდინა საქართველოს ანექსია, ფაქტობრივად, საქართველო გახდა რუსეთის გუბერნია (სრული რუსული ადმინისტრაციული და პოლიტიკური მმართველობით) და თავისი იდეოლოგიით (რუსული მართლმადიდებელი ეკლესიით), თავისი რუსული საგანმანათლებლო დაწესებულებებითა და რუსიფიკატორული შოვინისტური პოლიტიკის გატარებით.

საქართველოს მეორე ანექსიას უკვე ბოლშევიკური რუსეთი ახორციელებს (1921წ.). ბოლშევიკური აგრესიული, კაცთმოძულე პოლიტიკა მანამდელი რუსული იმეპრიული პოლიტიკის სხვა ფორმებით გაგრძელებას წარმოადგენდა (ქონების კონფისკაცია, გაციმბირება, მასობრივი დაპატიმრებები, გაურკვეველი პოლიტიკური ბრალდებებით დახვრეტა და ა.შ.). მსგავსი არაადამიანური პოლიტიკა მთელი საბჭოთა იმპერიის მასშტაბით ხორციელდებოდა, რაც კარგად აქვს გაანალიზებული (1918-1956წწ.) ა. სოლჟენიცინს ნაშრომში ,,არქიპელაგი გულაგი" (მოსკოვი, 1991წ.), საქართველოში ქართული ინტელიგენციის (საკუთრივ, ქართული მწერლობის) წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა აისახა აკ. ბაქრაძეს წიგნში ,,მწერლობის მოთვინიერება". საბჭოთა კავშირის პარტიული და სახელმწიფო ელიტა ვერ ეგუებოდა საქართველოში სხვა რესპუბლიკებთან შედარებით ეკონომიკის სწრაფ განვითარებას, მარალ ინტელექტუალურ პოტენციალს, ქართული კულტურის ეროვნული მიმართულებით განვითასრებას და ა.შ. მათი აგრესიულობა საქართველოსა და ქართველების მიმართ უფრო აქტიური ხდება სტალინის სიკვდილის შემდეგ (1953წ.) (ხრუშჩოვის დროიდან და გრძელდება სხვადასხვა ფორმითა და სახით, მეტ-ნაკლები ინტენსივობით), თვით სსრ კავშირის დაშლამდე. სსრ კავშირის ბოლო წლები განსაკუთრებით ხასიათდებოდა (ქვეყნის შიგნით) ეკონომიკური კრიზისებით (გორბაჩოვის ხლეისუფლებაში მოსვლიდან კი) ეროვნული დამოუკიდებლობისათვის პოლიტიკური მოძრაობების გაძლიერებით. დასავლეთის მოთხოვნით გორბაჩოვის მიერ ,,გარდაქმნისა და დემოკრატიის", ქვეყნის ახლებურად მოწყობის პოლიტიკის გატარებამ, უფრო გაზარდა ეროვნულ

რესპუბლიკებში პოლიტიკური მოძრაობები. აქა-იქ ადგილი აქვს ეთნიკურ კონფლიქტებსაც. თავდაპირველად ეს გამოვლინდა უზბეკეთში (ფერგანაში) ე.წ. თურქი მესხების (ისტორიული ქართველების) მიმართ არაფორმალური უზბეკი ,,ბოევიკების" თავდასხმების და ქვეყნიდან მათი მასობრივად გაძევების სახით.

ნახევრად ფარული და ცხადი სეპარატიზმი (1976-1977 წლებიდან) აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში, სეპარატიზმს მხარს უჭერდა ფარულად მოსკოვი, კრემლის შიგნიდან.

II. ძირითადი ტექსტი

საბჭოთა კავშირში პარტიული და ადმინისტრაციული ელიტა (სახელმწიფო სტრუქტურების ყველა რგოლში და ყველა დონეზე) არნახულად გამდიდრდა. იწყება ფორმალიზმები, მიწერები, ბიუროკრატია, რამაც ქვეყანა მიიყვანა ნგრევამდე. მთელი ქვეყნის მასშტაბით იწყება ანტირუსული და ანტიბოლშევიკური მოძრაობების გაძლიერება. რესპუბლიკებში შეინიშნება ეროვნული ძალების გააქტიურება, დისიდენტები უკვე აშკარად გამოდიან. მათაც დასავლეთი თავისი პროპაგანდით ერთგვარად აქეზებდა და ამ გზით თითქოსდა მათ ეხმარებოდა.

საქართველოში ბოლშევიკური იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ ხალხს თავს დაატყდა ,,9 აპრილი" (1989წ.). 1990წ. ქვეყანამ დამოუკიდებლობის დეკლარაცია და პირველი პოსტსაბჭოური პერიოდის (თუმცა ჯერ კიდევ სსრ კავშირში ყოფნისას) პრეზიდენტი იქნა არჩეული. პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია იქნა აღცეული.

საბჭოთა კავშირის დაშლის (საბჭოთა კავშირი ოფიციალურად დაიშალა 1991წ.) პროცესში დასავლეთი და აშშ თვალყურს ადევნებდნენ, თუ რა პოლიტიკური და ეროვნული (ანტიბოლშევიკური) ძალები მოვიდოდნენ ხელისუფლებაში.

თავდაპირველად, ეროვნული ღირებულებების მოშველიებით ყველა პარტია თუ მოძრაობა, ხალხში რეიტინგის მოპოვების მიზნით ეროვნულობაზე დებდა თავს, ზვიად გამსახურდიამ არჩევნების წინ პოლიტიკური ბლოკი ,,მრგვალი მაგიდა" დააარსა. ზვიადი, როგორ განათლებული პიროვნება და ანტიბოლშევიკურ მოძრაობაში აქტიურად მონაწილე და ამ მოძრაობისათვის დევნილი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მასში ბევრმა დაინახა სამომავლოდ მეტი წარმატებები, ბევრნი ,,მრგვალ მაგიდას" მიეტმასნენ არა იმდენად ეროვნული, არამედ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, რაც კარგად გამოჩნდა ოპოზიციური ძალების სამხედრო რაზმების მიერ მთავრობის სასახლის ალყაში მოქცევის დროს. ზვიად გამსახურდიას ბევრი ,,თანამებრძოლი", თანაბლოკელი, პარლამენტის წევრი ჩუმად გაიპარა და სამხედრო ალყაში მოქცეულ შენობაში აღარ დაბრუნებულან. ამ დაძაბული პოლიტიკური და სამოქალაქო დაპირისპირებების პარალელურად აფხაზეთში ეთნიკური კონფლიქტი უკვე იწყებოდა. ისე იყო ცხონვალ ის რეგიონშიც. ამ კონფლიქტების წარმოქმნაში, მისი მხარდამჭერი სწორედ რუსეთი იყო.

კავშირის მასშტაბით პოლიტიკური კრიზისების დაძლევისა და ქვეყანაში სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით გორბაჩოვის მთავრობამ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება შესთავაზა რესპუბლიკებს. ზვიად გამსახურდიასაგან კატეგორიული უარის მიღების შემდეგ, გორბაჩოვი სწორედ კონფლიქტებით დაემუქრა მას, როგორც აფხაზეთში, ისე სამაჩაბლოში კობფლიქტების წარმოქმნაში, შემდეგში უშუალოდ საომარ მოქმედებებშიც რუსული სამხედრო

შენაერთები მონაწილეობდნენ.

ზვიად გამსახურდიას დასავლეთი არ მიეხმარა. მის პარლამენტში ხომ თითქმის ყველა პარტიის წარმომადგენელი იყო. იმიტომ არ მიეხმარნენ მას, რომ ის ნამეტანი ეროვნული პოზიციებიდან ამოდიოდა და მისი ძირითადი პოლიტიკური სტრატეგია მათთვის ბუნდოვანი იყო. დასავლეთს ასეთი მოძრაობა აწყობდა მხოლოდ როგორც ანტიბოლშევიკური მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი და პირველი ეტაპი. მეორე ეტაპი კი უკვე უფრო სხვაგვარი, პროდასავლური უნდა ყოფილიყო, რასაც ზვიად გამსახურდიას მიტინგებზე გამოსვლებში ვერ ხედავდნენ. ეროვნული სულიერებისა და ეროვნული მრწამსის საფუძვლებზე ბოლშევიზმის წინააღმდეგ მოძრაობა დასავლეთისათვის მისაღები იყო და ასეთ პოლიტიკას ის ყოველთვის მიესალმებოდა. ზედმეტად ეროვნულით გაპირობებული პოლიტიკა დასავლეთს აღარ მოსწონდა. ზვიად გამსახურდიას შემდგომი მთავრობაც (სიგუა, კიტოვანი, იოსელიანი) ვერ სარგებლობდა მოწონებით დასავლეთში. შევარდნაძის ჩამოყვანისა და მისი პრეზიდენტად არჩევის შემდეგაც საქართველოში ურთულესი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა იქმნება. დასავლეთში ევროგაერთიანების ფარგლებში იქმნება საქართველოს მეგობარ ქვეყანათა ჯგუფი. ამ ქვეყნების აქტიური ჩარევით ხერხდება კონფლიქტის ზონებში ცეცხლის შეწყვეტა და კონფლიქტების ე.წ. **დაკონსერვება**. ამ კონფლიქტების მძიმე შედეგებზე მეტყველებს, რომ მხოლოდ აფხაზეთიდან 300000-ზე მეტი ქარტვეი იძულებით დევნილად იქცა. ბევრი ქართველიც სეპარატისტების ბოევიკების თავდასხმის მსხვერპლი ხდებოდა. რეგიონი ფაქტობრივად დაიცალა ქართული ეროვნების მცხოვრებლებისაგან. ისეთივე მდგომარეობა შეიქმნა ცხინვალის რეგიონში. ოსმა ბოევიკებმა ეტნიკური წმენდა განახორციელეს. ქართული ეროვნების მცხოვრებლები აქაც იძUლებული ხდებიან დატოვონ თავანთი საცხოვრებელი ადგილები. ადგილზე დარჩენილები კი, ოსმა ბოევიკებმა, რუს სამხედროებს ამოფარებულმა, დახოცეს. საფუძველი დაედო დასავლეთისაკენ ორიენტაციას, განსაკუთრებით, ეს პროცესი აქტიური ხდება 2004-2005 წლებიდან, რამაც უფრო გააბოროტა რუსეთი. 2014 წელს ხელი მოეწერა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, სულ უფრო ინტენსიური ხდება საქართველოს კავშირი ჩრდილოეთ ატლანტიკურ ალიანსთან. NATO-ს სასწავლო ცენტრების შექმნამ საქართველოს ტერიტორიაზე, აშშ მიერ საქართველოსათვის მხარდაჭერის გააქტიურების პოლიტიკა კიდევ უფრო აგრესიულად განაწყო რუსეთი საქართველოს მიმართ. იგივე ითქმის 2017 წელს უკვე ე.წ. ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის შესახებ მიღებული დოკუმენტის შესახებაც.

რუსეთმა საქართველოს ევროპულ ორიენტაციას, ევროკავშირის ასოცირებულ წევრად მიღებას, ვიზალიბერალიზაციას, ევროატლანტიკურ ალიანსთან მჭიდრო ურთიერთობებს, აშშ საქართველოსათვის მხარდაჭერას და მისი ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობის პოლიტიკას რუსეთმა უპასუხა აფხაზეთში შეიარაღების გაძლიერებით, ხოლო ცხინვალის ზონაში, ამ რეგიონის რუსეთის შემადგენლობაში მიღების პერსპექტივით, ქართულ სოფლებსა და ცხინვალის რეგიონის სოფლებს შორის მავთულხლართებს გავლით და მისი სულ უფრო აქეთ გადმოწევით.

თავისებურებებით ხასიათდება რუსეთის პოლიტიკა უკრაინის მიმართ. ემიგრაციაში მყოფი რუსი მწერალი ა. სოლჟენიცინი, სსრ კავშირის უკვე დაშლის მოლოდინში გაზეთ

,,იზვესტიაში" გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში ,,როგორ მოვაწყო რუსეთი", თვლიდა, რომ რუსეთმა უნდა მოიცილოს (ე.ი. გაუშვას) უზბეკეთი. ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და თურქმენეთი უპირობოდ და სასწრაფოდ. რაც შეეხება ყაზახეთს, სოლჟენიცინი თვლიდა, რომ ყაზახები კომპაქტურად ცხოვრობენ ალმა-ატის ოლქში და რომ ეს არის ყაზახეთი. დანარჩენი უზარმაზარი სივრცე რუსეთის კუთვნილებად უნდა ჩაითვალოსო. სოლჟენიცინი ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და საქართველოს მოსაზღვრე ეთნოსების ასევე უპირობო განთავისუფლების (ე.ი. მათთვის დამოუკიდებლობის მიცემას) ურჩევდა.

რაც შეეხება უკრაინასა და ბელორუსიას სოლჟენიცინის თანახმად ისინი რუსები არიან და უნდა დარჩნენ რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში. მაგრამ სსრკ დაშლისთანავე ბელორუსია, უკრაინა, მოლდოვა დამოუკიდებელ ქვეყნებს წარმოადგენდნენ. თუმცა, მოლდოვაში დასავლეთის ორიენტაციის ხელისუფლებაში მოსვლით განაწყენებულმა რუსეთმა ე.წ. დნესტრისპირეთის კომპაქტურად მცხოვრები რუსი ეროვნების მოსახლეობა აუბუნტა მოლდოვას ხელისუფლებას. რუსეთმა რუსი მოსახლეობისათვის დახმარების, მათი ,,გადარჩენის" მოტივით დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა დნესტრისპირეთი და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა თავის თავზე აიღო.

## III. დასკვნა

უკრაინაში იმთავითვე ერთმანეთს დაუპირისპირდა პროდასავლური და პრორუსული პოლიტიკური ორიენტაციის მოძრაობები. ფაქტობრივად კი ესაა რუსეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირებები. 2013-2014 წლებში პროდასავლური ორიენტაციის პარტიებმა და მოძრაობებმა ე.წ. მაიდანზე თავი მოუყარეს დიდძალ ხალხს, სადაც პერმანენტული მიტინგები იმართებოდა არსებული ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნებით. მოქმედი ხელისუფლება, პრეზიდენტიც გადადგნენ. ხელისუფლებაში მოვიდნენ სრულიად ახალი და პოლიტიკაში თითქმის გამოუცდელი პოლიტიკური ძალები. დასავლეთმა, ევროკავშირმა ახალ პოლიტიკურ ძალებს ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა (ეკონომიკური, ფინანსური, პოლიტიკური, სამხედრო და ა.შ. მიმართულებით). უკრაინის ახალმა ხელისუფლებამ სრულიად რუსეთის საწინააღმდეგო და პორდასავლური ორიენტაცია აიღო. უკრაინის ასეთ ქმედებას რუსეთმა ყირიმის სრული მოწყვეტით, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩათვლით უპასუხა. რუსეთისათვის ძნელი იქნება ყირიმის დათმობა აქაა თავმოყრილი რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალები, ძლიერი სამხედრო ფლოტილია, შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში გასასვლელი გზა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია რუსეთისათვის ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით. გარდა ამისა, ყირიმისათვის რუსეთმა რამდენიმე ომი გადაიხადა თურქეთთან. ამ რეგიონის დათმობის შემთხვევაში აქ ნატოსა და აშშ სამხედრო ფლოტი შემოვა, რაც საფრთხეს შეუქმნის რუსეთის უსაფრთხოებას. რაც შეეხება **დონეცკს,** ესაა უზარმაზარი ტერიტორია, მოსკოვიდან 450-500 კმ-ის მანძილზე. მისი დათმობის შემთხვევაში, იქაც სავარაუდოდ აშშ და ნატოს სამხედრო ძალები განლაგდება, რაც რუსეთისათვის სრულიად მიუღებელია. რუსეთი ფაქტობრივად აღმოჩნდება დასავლეთის სამხედრო ალყაში, რადგან 2017 წლის დასაწყისიდან პოლონეთში დაბანაკდა აშშ 300-იანი სამხედრო კონტინგენტი, ხოლო ბალტიისპირეთის ქვეყნებში დასავლეთი ევროპის ქვეყნებისა. რთულია იმის პროგნოზირება თუ როგორ დასრულდება დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირება უკრაინისათვის.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. ავალიშვილი ზურაბ. ნატო და საქართველო, თბ., 2000.
2. წერეთელი მამუკა. მითი და რეალობა: საქართველოს საგარეო ურთიერთობები, თბ., 2013.
3. მაცაბერიძე მ., რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი და კავკასიის ახალი გეოპოლიტიკური კონტურები, თბ., 2011.
4. შველიძე დ., საქართველოს დასავლური ორიენტაცია: წარსულის ეპიზოდები, თბ., 2009.


*Омар Табуцадзе*

**Европейская интеграция Грузии и политика России**

**Резюме**

Статья посвящена развитию национально-политических движений в Грузии в процессе распада советской империи. Доказывается агрессивная политика России в отношении Грузии и других бывших союзных республик (Украина, Молдова), что выражается в эскалациях этнических конфликтов, в поддержке сепаратизма, в оккупациях их территорий, в проявлении крайней враждебности к западным ориентациям в этих странах.

# საბუნებისმეტყველო დისციპლინები

# SCIENCE

## წანაცვლების დენის სწავლების შესახებ

*გ. კუკულაძე*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*მ. წულუკიძე*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

რეზიუმე

სტატიაში მითითებულია წანაცვლების დენის ცოდნის მნიშვნელობა ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო (განსაკუთრებით ელექტროსაინჟინრო) სპეციალობის სტუდენტებისათვის. წანაცვლების დენის შემოტანით მაქსველმა დენის წირების ჩაკეტილობა გაავრცელა ცვლადი დენის შემთხვევაზეც. მაქსველის თანახმად წანაცვლების დენი წარმოიქმნება ყოველთვის, როცა სივრცეში იცვლება ელექტრული ველი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წანაცვლების დენის ცნების შემოღებამ მაქსველს საშუალება მისცა შეექმნა ელექტრული და მაგნიტური მოვლენების ერთიანი თეორია - ელექტრომაგნიტური ველის თეორია.

***საკვანძო სიტყვები:** წანაცვლების დენი, სრული დენი, ელექტრული ინდუქციის ვექტორი, მაქსველის თეორია, ძირითადი დებულებები.*

**I.** შესავალი

წანაცვლების დენი ელექტრომაგნიტური ველის თეორიის ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია, ვინაიდან ამ ცნების შემოღებამ მაქსველს საშუალება მისცა შეექმნა ელექტრული და მაგნიტური მოვლენების ერთიანი თეორია, რომელშიც გადაწყვეტილია ელექტროდინამიკის ძირითადი ამოცანა: ელექტრული და მაგნიტური ველების დამახასიათებელი სიდიდეების (E,B,D,H) პოვნა მათი შემქმნელი მუხტებისა და დენების საშუალებით. ამიტომ ამ საკითხის სიღრმისეული ცოდნა ნიშვნელოვანია ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო (განსაკუთრებით ელექტროსაინჟინრო) სპეციალობის სტუდენტებისათვის.

ამ საკითხის განხილვისას აუცილებელია ლექტორმა ყურადღება გაამახვილოს შემდეგზე:

1. წანაცვლების დენი არ არის დენი ჩვეულებრივი გაგებით ანუ იგი არ წარმოადგენს

ელექტრული მუხტების მიმართულ მოძრაობას. მაქსველმა ეს სახელი უწოდა ცვლად ელექტრულ ველს მხოლოდ იმის გამო, რომ იგი, ელექტრული დენის მსგავსად, ქმნის მაგნიტურ ველს.

2. წანაცვლების დენის შემოღების შემდეგ სრული დენი, რომელიც წარმოადგენს გამტარობის და წანაცვლების დენების ჯამს, შეკრულია იმ შემთხვევაშიც, როცა ცვლადი დენის წრედი შეიცავს კონდენსატორს.

## II. ძირითადი ნაწილი

კურსის განვლილი მასალიდან ცნობილია, რომ ცვლად მაგნიტურ ველში მოთავსებულ **უძრავ** გამტარ კონტურში ინდუქციური დენის აღძვრის ასახსნელად მაქსველმა ჩამოაყალიბა ელექტრომაგნიტური ველის თეორიის **პირველი ძირითადი დებულება: მაგნიტური ველის ყოველგვარი ცვლილებისას დროში წარმოიქმნება გრიგალური ელექტრული ველი.** სხვადასხვა ელექტრომაგნიტური პროცესების ანალიზის საფუძველზე მაქსველი მივიდა დასკვნამდე, რომ უნდა არსებობდეს შებრუნებული მოვლენაც: **ელექტრული ველის ყოველგვარი ცვლილება დროში იწვევს გრიგალური მაგნიტური ველის წარმოქმნას.** ეს მტკიცება გამოსახავს ელექტრომაგნიტური ველის უმნიშვნელოვანეს თვისებას და წარმოადგენს მაქსველის თეორიის **მეორე ძირითად დებულებას. რადგან მაგნიტური ველი ყოველთვის დაკავშირებულია ელექტრულ დენთან** (ელექტრული დენი წარმოადგენს მაგნიტური ველის პირველწყაროს), ამიტომ მაქსველმა **ცვლად ელექტრულ ველს უწოდა წანაცვლების დენი,** და ამით განასხვავა იგი გამტარობის დენისაგან, რომელიც განპირობებულია მუხტების მოწესრიგებული მოძრაობით.

წანაცვლების დენის შემოღების შემდეგ შეიცვალა ჩვენი წარმოდგენა ცვლადი დენის წრედის ჩაუკეტავობის შესახებ. როგორც ვიცით, მუდმივი დენის წრედი ყოველთვის ჩაკეტილია. რაც შეეხება ცვლადი დენის წრედს, ითვლებოდა, რომ იგი შეიძლება იყოს ჩაუკეტავიც. ამას მაშინ აქვს ადგილი, როცა ცვლადი დენის წრედი შეიცავს კონდენსატორს.

კონდენსატორის დამუხტვისა და განმუხტვის დროს დენი გადის შემონაფენების შემაერთებელ გამტარში და არ გადის შემონაფენებს შორის დიელექტრიკში.

წანაცვლების დენის ცნების შემოსატანად განვიხილოთ ბრტყელი კონდენსატორი, რომლის $Aa$ და $b$ ფირფიტები (შემონაფენები) დამუხტულია $\pm\sigma$ ზედაპირული სიმკვრივით (სურ. 1). ვიდრე წრედი განრთულია, ფირფიტებს შორის ველი ერთგავროვანია, მაგრამ $K$ ჩამრთველის ჩართვისას კონდენსატორი იწყებს განმუხტვას და ველიც იცვლება (მცირდება) დროის მიხედვით. განმუხტვის $I$ დენი, რომელიც მიმართულია ფირფიტების შემაერთებელ გამტარში ("გარე წრედში") $a$-დან $b$-სკენ, გამტარობის დენია - იგი განპირობებულია თავისუფალი მუხტების მოძრაობით. გამტარობის დენის ძალა $I=\frac{dq}{dt}$, ხოლო სიმკვრივე




სურ. 1

$$I=\frac{I}{S}=\frac{1}{S}\times\frac{dq}{dt}=\frac{d}{dt}\left(\frac{q}{S}\right)=\frac{d\sigma}{dt}. \qquad (1)$$

ცხადია, რომ გამტარობის დენის სიმკვრივის ვექტორიც მიმართული იქნება *a*-დან **b**-სკენ.

რადგან *a* და *b* ფირფიტებს შორის დიელექტრიკია (ან ვაკუუმი), აქ მუხტების მოძრაობას ადგილი არა აქვს და გამტარობის დენი ნულის ტოლია - დენის წირები ჩაუკეტავია. დენის წირების უწყვეტობის შესანარჩუნებლად მაქსველმა შემოიტანა წანაცვლების დენის ცნება.

*t* მომენტში ფირფიტებს შორის ველის დაძაბულობა $E = \dfrac{\sigma}{\varepsilon_0 \varepsilon}$, ხოლო ინდუქცია $D = \varepsilon_0 \varepsilon E$ საიდანაც

$$D = \sigma. \qquad (2)$$

ამასთან, ვინაიდან *a* ფირფიტა დამუხტულია დადებითად, $\vec{D}$ მიმართულია *a*-დან *b*-სკენ. განმუხტვისას, რაღაც *dt* დროში ფირფიტის მუხტი შეიცვლება $d\sigma$-თი, ამიტომ *a* და *b* ფირფიტებს შორის სივრცეში ინდუქციის ვექტორის ცვლილების სიჩქარე იქნება $\dfrac{dD}{dt}$, რომელიც (2) ტოლობის თანახმად $\dfrac{d\sigma}{dt}$-ს ტოლია.

$$\frac{dD}{dt} = \frac{d\sigma}{dt}. \qquad (3)$$

ვინაიდან $D$ ინდუქციის, ისევე როგორც $\sigma$-ს ცვლილება ხდება მხოლოდ დროის მიხედვით, ამიტომ (3) ტოლობაში სრული წარმოებული შეიძლება შეიცვალოს კერძო წარმო-ებულით:

$$\frac{\partial D}{\partial t} = \frac{\partial \sigma}{\partial t}. \qquad (4)$$

სიდიდეს $\dfrac{\partial D}{\partial t}$ მაქსველმა უწოდა წანაცვლების დენის სიმკვრივე.

$$i_{\text{წან}} = \frac{\partial D}{\partial t}. \qquad (5)$$

როგორც (3) ტოლობა გვიჩვენებს, იგი გამტარობის დენის სიმკვრივის ტოლია $i_{\text{წან}} = i$, **ე.ი. ნებისმიერ მომენტში ფირფიტებს შორის წანაცვლების დენის სიმ-კვრივე ისეთია, როგორიც გარე წრედში გამტარობის დენის სიმკვრივე.**

ვინაიდან განმუხტვისას $\sigma$ მცირდება, შემცირდება D-ც, ამიტომ $\dfrac{\partial D}{\partial t}$ უარყოფითია და $\dfrac{\partial \vec{D}}{\partial t}$ ვექტორს ექნება $\vec{D}$ ვექტორის საწინააღმდეგო მიმართულება (სურ. 2ა), მაგრამ

$$\frac{\partial \vec{D}}{\partial t} = \vec{i}_{\text{წან}} \qquad (6)$$

არის წანაცვლების დენის სიმკვრივის ვექტორი. ე.ი. წანაცვლების დენის სიმკვრივის ვექტორი ფირფიტებს შორის მიმართულია *b*-დან *a*-სკენ, რაც იმას ნიშნავს, **რომ გარე წრედში გამტარობის დენის წირები უწყვეტად გადადიან ფირფიტებს შორის წანაცვლების დენის წირებში** (გამტარობის დენი იკვრება წანაცვლების დენით).

კონდენსატორის დამუხტვის შემთხვევაში, როცა *a* ფირფიტის დადებითი მუხტი იზრდება, დენი ფირფიტებს შორის შემაერთებელ გამტარში მიმართულია *b*-დან *a*-სკენ (სურ. 2ბ), მაგრამ ამ

დროს $\frac{\partial D}{\partial t}$ დადებითია და $\frac{\partial \vec{D}}{\partial t}$ ვექტორს აქვს $\vec{D}$-ს მიმართულება ე.ი. ამ შემთხვევაშიც გამტარობის დენი დიელექტრიკშიივრება წანაცვლების დენით.




ა ბ

სურ. 2

სრული სიმკვრივე

$$\vec{i}_{\text{სრ}} = \vec{i} + \vec{i}_{\text{წან}} = i + \frac{\partial \vec{D}}{\partial t} \qquad (7)$$

უწყვეტია როგორც სიდიდით, ისე მიმართულებით. ამიტომ, თუ ელექტრულ დენად ვიგულისხმებთ **სრულ დენს**, აღმოჩნდება, რომ **ბუნებაში ყველა ელექტრული დენები შეკრულია.** ეს მნიშვნელოვანი დასკვნა გააკეთა მაქსველმა.

დიელექტრიკში ინდუქციის ვექტორი ორი ნაწილისაგან შედგება:

$$\vec{D} = \varepsilon_0 \vec{E} + \vec{P}. \qquad (8)$$

მეორე წევრი, $\vec{P}$ პოლარიზაციის ვექტორი, მართლაც ახასიათებს ბმული მუხტების წანაცვლებას დიელექტრიკის პოლარიზაციის პროცესში. დიელექტრიკში წანაცვლების დენის სიმკვრივე (8)-ის შესაბამისად ორი ნაწილისაგან შედგება:

$$\vec{i}_{\text{წან}} = \varepsilon_0 \frac{\partial \vec{E}}{\partial t} + \frac{\partial \vec{P}}{\partial t}$$

პირველ შესაკრებს ეწოდება წანაცვლების დენის სიმკვრივე ვაკუუმში, მეორეს - პოლარიზაციის დენის სიმკვრივე.

როდესაც გამტარში გადის ცვლადი დენი, გამტარის შიგნით წარმოიქმნება ცვლადი ელექტრული ველი, მაშასადამე, წარმოიქმნება წანაცვლების დენიც და დენის სრული სიმკვრივეც განისაზღვრება (7) ფორმულით. მაგრამ, ჩვეულებრივ, თუ ცვლილების სიხშირე (დენის სიხშირე) ძალიან დიდი არ არის, წანაცვლების დენი მცირეა და გამოთვლებისას მას მხედველობაში არ იღებენ.

თუ გამტარობის დენი შეკრული არ არის, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენს მიერ განხილულ მაგალითში, როგორც ეს გამომდინარეობს (3) ტოლობიდან, გამტარობისა და წანაცვლების დენები, უბრალოდ, ერთმანეთის ტოლია. მიუხედავად იმისა, რომ წანაცვლების დენი შეიძლება

გახდეს მნიშვნელოვანი სიდიდის, მთელი რიგი გათვლები ტარდება მისი გათვალისწინების გარეშე. მართლაც, წანაცვლების დენი, კრავს რა კონდენსატორის ფირფიტებს შორის გამტარობის დენს, ამ სივრცეში ქმნის ისეთივე მაგნიტურ ველს, როგორიც შეიქმნებოდა გამტარობის დენს რომ გაევლო გაუწყვეტელ წრედში. ამიტომ წანაცვლების დენის არსებობა გავლენას არ ახდენს მაგნიტური ველის, თვითინდუქციის კოეფიციენტის და სხვათა გათვლაზე.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი "წანაცვლების დენი" არ არის მთლად მოსახერხებელი. დიელექტრიკში ამ ტერმინის არსებობას კიდევ აქვს გარკვეული საფუძველი, ვინაიდან ელექტრული ველის მოქმედებით იქ მართლაც ხდება ბმული მუხტების წანაცვლება. მაგრამ ტერმინი გამოიყენება ვაკუუმისათვისაც, სადაც არავითარი მუხტები არ არის. ტერმინი ისტორიულია და შესაძლოა, დაკავშირებულია იმ დროსთან, როცა ელექტრული ველის ცვლილება ვაკუუმში განიხილებოდა, როგორც ჰიპოტეზური გარემოს - ეთერის ნაწილაკების წანაცვლება. ერთადერთ გამართლებად, $\frac{\partial D}{\partial t}$ სიდიდეს რომ წანაცვლების დენის სიმკვრივე უწოდეს, შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მას აქვს დენის სიმკვრივის განზომილება.

**წანაცვლების დენს არ ახასიათებს გამტარობის დენის არც ერთ თვისება (სითბური, ქიმიური და სხვ.) გარდა ერთისა - იგი ქმნის მაგნიტურ ველს.**

## III. დასკვნა

წანაცვლების დენის ცნების შემოღებამ მაქსველს საშუალება მისცა შეექმნა ელექტრული და მაგნიტური მოვლენების ერთიანი თეორია, რომელშიც გადაწყვეტილია ელექტროდინამიკის ძირითადი ამოცანა: ელექტრული და მაგნიტური ველების დამახასიათებელი სიდიდეების (*E,B,D,H*) პოვნა მათი შემქმნელი მუხტებისა და დენების საშუალებით.

წანაცვლების დენის ცნების შემოღებამდე ითვლებოდა, რომ უწყვეტი (შეკრული) არის მხოლოდ მუდმივი დენის წირები, ცვლადი დენი კი განიცდის წყვეტას კონდენსატორის ფირფიტებს შორის (დიელექტრიკში). წინამდებარე ნაშრომში ნაჩვენებია, რომ დიელექტრიკში გამტარობის დენი იკვრება წანაცვლების დენით. მის საფუძველზე მაქსველმა გააკეთა მნიშვნელოვანი დასკვნა: თუ ელექტრულ დენად ვიგულისხმებთ **სრულ დენს** (გამტარობის+წანაცვლების) აღოჩნდება, რომ **ბუნებაში არსებული ყველა ელექტრული დენები შეკრულია.**

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. დ.ღონღაძე. ზოგადი ფიზიკის კურსი. II ტომი.Gგამომცემლობა "განათლება" 1978წ.
2. ა. გიგინეიშვილი, გ. კუკულაძე. ზოგადი ფიზიკა. II ტომი. Gგამომცემლობა "ტექნიკური უნივერსიტეტი" 2012წ.
3. А. А. Детлаф, Б. М. Яворский. Курс физики. Изд."Высшая школа", 1989г.
4. Т.И. Трофимова. Курс физики. Изд. «Высшая школа», 1985 г.

*G. Kukuladze, M. Tsulukidze*
*Georgian Technical University*

**Towards the Studying of the Displacement Current**

**Summary**

This article shows the importance of the knowledge of the displacement current for the students of Technical University, especially of the Electrical Engineering speciality. By carrying in the displacement current Maxwell spread the closedness of the current lines for the alternating current. According to Maxwell the displacement current always appears when electric field changes.

It is underlined that bringing in the displacement current gave Maxwell the opportunity to create the whole theory of electric and magnetic phenomena - theory of electromagnetic field.

*Key words: displacement current, full current, vector of electric induction, main topics of Maxwell theory.*

# ნილს ბორის დამატების პრინციპის ცოდნა ბიოლოგიური მოვლენების განხილვისას

*ნატო ქავთარაძე,*
*პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სტუ*

*ნონა ესიავა*
*აკადემიური დოქტორი, სტუ*

*რამაზ ესიავა*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

რეზიუმე

ნაშრომი – “ნილს ბორის დამატებითობის პრინციპის ცოდნა ბიოლოგიური მოვნელების განხილვისას”, შეეხება ახალგაზრდებში აზროვნების ისეთი უნარის გამომუშავებას, რითაც შესაძლებელი გახდება ამა თუ იმ მოვლენის ახლებურად დანახვა და ახსნა. დამატებითობის პრინციპის საფუძველზე განხილულია ბორის მოსაზრება ბიოლოგიური მოვლენების ახსნისას, რომლითაც სიცოცხლის არსებობა უნდა განივიხილოთ, როგორც ძირითადი პოსტულატი., რომელიც არ ექვემდებარება შემდგომ ანალიზს.

**საკვანძო სიტყვები:** დამატებითობა, ელემენტარული, პოსტულატი, კვანტი, ატომური.

## I. შესავალი

გასული საუკუნეებისგან განსხვავებით თანამედროვე სწავლებაში ცოდნის ათვი-სების ყველზე ეფექტურ გზად ფიზიკაში პროცესების შემეცნების ბუნებრივი მე-თოდი მიიჩნევა, რომელიც ეფუძნება ცხოვრებასა და გამოცდილებას, ექსპერიმენ-ტულ მოსინჯვასა და ვფიქრობ, რომ ეს უნივერსალური მეთოდია.

ფიზიკის კანონზომიერებების შემეცნება და შესწავლა მოითხოვს აზოვნების უ-ნარის განვითარებას, ამჯერად კი ნაშრომი შეეხება ახალგაზრდებში ასეთი უნა-რის გამომუშავებას და ამა თუ იმ მოვლენის ახლებურად დანახვასა და ახსნას.

## II. ძირითადი ნაწილი

მე-20 საუკუნეში დაწყებულმა მატერიის მოულოდნელმა სიღრმისეულმა სიახლე-ებმა, რომლებიც ნათლად და ლოგიკურად აისახა მიკროსამყაროს შემეცნებით სურათებში, მეცნიერები იმ რეალობის წინაშე დააყენა, რომ საჭიროა სინამდვი-ლის აღწერის ხერხები სხვადასხვა დარგებშიც გადაისინჯოს. ცნობილია, რომ ცოდნის თითქმის ყველა დარგში ცდისეული ფაქტების ობიექტური აღწერისა და მონაცემების ჰარმონიული შეთანხმებისათვის აუცილებელია ყურადღება მიქცეს იმ პირობებს, რომლის დროსაც ეს მონაცემები იქნა მიღებული. ნაშრომში განვიხი-ლავთ ნ. ბორისეულ ხედვას აღნიშნულ საკითხთან და დამატებითობის პრინციპ-თან დაკავშირებით, რაც ამა თუ იმ ობიექტსა თუ მოვლენის კავშირებში განხილ-ვას და ახსნას გულისხმობს. ნაშრომი ემსახურება, რომ აზროვნებისა და მოქმე-დების უნარის უერთიერთდამატებითობის პრიციპით (იდეით) გაიჟღინთოს ყველა საგნის სწავლება. ეს ცნობილი იყო ნილს ბორის მიერაც. მან გარკვეული

ანა-ლიზის საფუძველზე დაასკვნა, რომ თითქმის ყველა დარგის მოვლენათა აღწერი-სათვის დამატებითობის იდეა ინარჩუნებდა ამოსავალი პოზიციის მნიშვნელობას, რომლის შინაარსი მიკროსამყაროსთვის ასეთნაირია: "რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს კონტრასტი, რომელიც მჟღავნდება ატომურ მოვლენებში ცდის სხვადასხვა პირობების დროს, ეს მოვლენები უნდა განვიხილოთ, როგორც ურთიერთდამა-ტებითი იმ აზრით, რომ თითოეული მათგანი კარგადაა განსაზღვრული, ერთად აღებულნი კი არ ამოწურავენ ყველა განსაზღვრებად ცნობას ობიექტის შესახებ."

აკად ვ. ფოკის მოსაზრებით, მასში დამატებითობის პრინციპის განსაზღვრაში ძირითადი ყურადღება ექცევა ცდის პირობებს და დაკვირვების საშუალებებს, იგუ-ლისხმება როგორც ხელსაწყოები, ისე ადამიანის გრძნობის ორგანოები, მათ შო-რის იგი პრინციპულ განსხვავებას არ ხედავს, რაც ასაბუთებს იმას, რომ სათვა-ლე ასწორებს თვალის ნაკლოვანებებს, მიკროსკოპი და ტელესკოპი ძალიან დი-დად აფართოვებენ დაკვირვების შესაძლებლობებს; მაგრამ ეს დაკვირვებანი პრინ-ციპულად არ განსხვავდებიან შეუიარაღებელი თვალის დაკვირვებისგან. ისინი ახ-დენენ ადამიანის გრძნობის ორგანოების გაფართოებას. ფოკის დასკვნით, "ადა-მიანის გრძნობის ორგანოები იგივე ხელსაწყოებია, რომლებიც ჩამონტაჟებულია ადამიანის ორგანიზმში." უნდა გავთვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ცდისეული ხელსაწყოები, განსხვავებით გრძნობის ორგანოებისაგან, სიდიდეებს ზომავენ (ამა თუ იმ სიზუსტით) და გვეხმარებიან, ჩამოვაყალიბოთ რაოდენობრივი თანაფარდო-ბები. რაც შეეხება გრძნობის ორგანოებს, ისინი გვაწოდებენ გარე სამყაროს შემე-ცნებისთვის აუცილებელ შთაბეჭდილებებს. ადამიანი ისწრაფვის სინამდვილეში მიიღოს, რაც შეიძლება სრული წარმოდგენა, ამისთვის კი საჭიროა მან მიიღოს ურთიერთდამატებითი შთაბეჭდილებები. მოდალობითი განსხვავებული შეგრძნე-ბები შეიძლება იყო 3 ან მეტი. ადამიანი რადიომიმღებიდან იღებს მხოლოდ სმე-ნით შეგრძნებებს, ხოლოდ ტელეეკრანიდან როგორც მხედველობით, ასევე სმენით შეგრძნებებს, ამიტომაც დამატებითობის პრინციპის შესაბამისად, ტელევიზორი უფრო სრულ წარმოდგენას იძლევა სინამდვილეზე, ვიდრე რადიომიმღები.

ახლა დავუბრუნდეთ კვლავ ნ. ბორის თეორიას, სადაც იგი ფიზიკის გარდა სხვა დარგებიდან, განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს ბიოლოგიასა და ფსიქო-ლოგიაზე, რომლებსაც საქმე აქვთ მთლიანობითი ხასიათის სისტემებთან და მათში მიმდინარე პროცესებთან, სადაც დამატებითობის იდეა ინარჩუნებს ამოსავალი პოზიციის მნიშვნელობას. მოვიყვანოთ მაგალითი, რომელიც არსებით-სა და მეტად მნიშვნელოვან დამატებითობას ეხება ეს არის "სისტემა-კომპონენტი" ანუ "სისტემა ინდივიდუალობა (ანუ სხვანაირად "მთელი ნაწილი"). ბორის გან-მარტებით, თუ სისტემას დავშლით ნაწილებად, მაშინ მათი ცნება გახდება სულ უფრო მკაფიო, სისტემაზე წარმოდგენა სულ უფრო დაიჩრდილება და პირიქით, სისტემის, როგორც მთელის კვლევისას, ინდივიდუალობათა და მათი კავშირის ცნება სულ უფრო ბუნდოვანი გახდება. სისტემის სრული აღწერა შეიძლება ცნე-ბათა ორი სისტემის საფუძველზე; ერთი ეხება სისტემის მთლიანობით სახის გა-მოვლენას, მეორე კი – კომპონენტებისა და მათი ურთიერთქმედების აღწერას, ე.ი. სისტემის დაშლა-გაქრობას.

მოვლენათა აღწერის თავისებურებათა შესახებ განვიხილოთ ნ. ბორის თვალ-საზრისი, რომელიც გამოთქმულია სხვადასხვა მოვლენათა აღწერის შესახებ, რო-გორიცაა: ფსიქიკური

მოვლენები, მეცნიერება და რელიგია, მეცნიერება და ხე-ლოვნება და ა.შ., მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა მისი თვალსაზრისი ბიოლოგიურ მოვლენებთან დაკავშირებით, რადგან 21-ე საუკუნეს უწოდებენ ბიოფიზიკის საუ-კუნეს, სადაც ყოველი ახალი აღმოჩენა და მეცნიერული მიღწევები მიმართულია ადამიანის სიცოცხლის გახანგძლივებისა და მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესები-საკენ, ამიტომაც ბიოლოგიური მოვლენების შესწავლა განსაკუთრებულ მნიშვნე-ლობას იძენს.

ნ. ბორი აღნიშნავს, რომ ცოცხალი ორგანიზმი ხასიათდება თავისი მთლიანო-ბით და შეგუების უნარით, ამიტომაც ბიოლოგიური კვლევისას დამოწმება ხდება ცოცხალი ორგანიზმის მთლიანობითი თვისებებისა და რეაქციების მიზანშეწონი-ლობებზე. ამის თანახმად კი იყენებენ ყველაზე უფრო წვრილმან ინფორმაციას ორგანიზმის აგებულებასა და მასში მიმდინარე მარეგულირებელ პროცესებზე, რომელთა შესახებ დაგროვილი ინფორმაცია იძლევა დიდ მიღწევებს მედიცინაში.

ცნობილია, რომ ატომური ფიზიკის შედეგებმა მრავალი გამოყენება ჰპოვა ბიოფიზიკასა და ბიოქიმიაში. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ცოცხალი ორგანიზ-მების სხვადასხვა თვისებათა აღწერის ხერხები ითხოვს დაკვირვებათა ურთიერთ-გამომრიცხავ პირობებს. მართლაც, ერთმანეთისაგან მკვეთრად უნდა გავარჩიოთ ბიოლოგიური და ფიზიკური კვლევის პირობები, აღსანიშნავია, რომ კვლევის ობი-ექტის ცოცხლად შენახვა ისეთ შეზღუდვას მოითხოვს, რომლის მსგავსი მეორეში არ გვაქვს. ცხადია, ცოცხალი ორგანიზმი ვერ გადარჩებოდა, თუ მისი ორგანოე-ბის ექსპერიმენტულ კვლვას იქამდე მივიყვანდით, რომ გაგეცნო რა როლს ასრუ-ლებს ცალკეული ატომები სასიცოცხლო პროცესებში.

ნ. ბორი მიუთითებდა, რომ ყოველ ცდაში ცოცხალ ორგანიზმებზე აუცილებე-ლია მას დარჩეს რაღაც განუზღვრულობა სათანადო ფიზიკურ პირობებში, რომ ორგანიზმისათვის დათმობილი მინიმალური თავისუფლება სრულიად საკმარისი იქნება იმისათვის, რომ საშუალება მიეცეს ჩვენგან დაფაროს თავისი უკანასკნელი საიდუმლოებანი. ამ თვალსაზრისით სიცოცხლის არსებობა ბუნებაში შეიძლება განვიხილოთ, როგორც ელემენტარული ფაქტი, ისევე როგორც ატომურ ფიზიკაში ქმედების ელემენტარული ქვანტია მიღებული. ნ. ბორი თვლის, რომ სასიცოცხლო პროცესების ფიზიკური და ქიმიური მიზეზებით ახსნის შეუფასებლობა მსგავსია ატომთა სიმკვრივის დაყვანის შეუძლებლობაზე მექანიკის ცნებებზე. ურთიერთ-საპირისპიროა ორი მოვლენა: ინდივიდუალობის შენახვა და გამრავლება, მეორეს მხრივ კი ფიზიკური ანალიზის დროს ობიექტისათვის დამახასიათებელი გაყოფა-დობა. დამატებითობის ამ მნიშვნელოვანი მომენტის წყალობით, მიზნის ცნებას, რომელიც სრულიად უცხოა მექანიკურ ანალიზებში, გამოიყენება ბიოლოგიაში. აქედან გამომდინარე, იგი აღნიშნავს, რომ საკუთვრივ ბიოლოგიური კანონები დამატებითია იმ კანონებისათვის, რომლებიც საჭიროა არასულიერი სხეულების თვისებათა ასახსნელად. ის გარემოება, თუ რა როლს ასრულებს დაკვირვების საშუალებები ელემენტარული ფიზიკური ცნებების განსაზღვრაში. გვეხმარება ისეთი ცნებების ლოგიკურ გამოყენებაში, როგორიცაა მიზანშეწონილობა. ეს ცნება უცხოა ფიზიკისთვის, მაგრამ ფრიად მოხერხებულია ორგანული მოვლენე-ბის ასახსნელად.

III. დასკვნა

ამრიგად, ნათელია, რომ ნ. ბორის მექანისტური და ვიტალისტური (ფინალისტუ-რი)

თვალსაზრისები ურთიერთდამატებაა, რომლებიც ერთნაირად აუცილებელია ჩვენს ძიებებში სიცოცხლის სულ უფრო სრული აღწერისთვის. ნ. ბორის მიხედ-ვით, სიცოცხლის არსებობა უნდა განვიხილოთ, როგორც ძირითადი პოსტულატი, რომელიც არ ექვემდებარება შემდგომ ანალიზს, ისევე როგორც ელემენტარული ქმედების ქვანტის არსებობა, რომელიც მატერიის სასრულ გაყოფადობასთან ერ-თად, ატომური ფიზიკის ელემენტარული საფუძველია.


გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. კობახიძე – "ნილს ბორის დამატებითობის პრინციპი და მისი ზოგადსაგან-მანათლებლო მნიშვნელობა სწავლებაში", თსუ, 1997 წ.;
2. სელესტენ ფრენე – "პედაგოგიური ინვარიანტები", გამომცემლობა "ინტელექ-ტი", თბილისი, 2010 წ.



*N. Kavtaradze, Nona Esiava, Ramaz Esiava*
*Georgia Technical University*


**The Knowledge of the principle of supplementary of Niels Bohr in the discussion of biological appearance**


Summary

The labour – "The Knowledge of the principle of supplementary of Niels Bohr in the discussion of biological appearance" touches making the ability of thought in youths with which will be able to see and explain some appearance in a new manner. The base of the principle of supplementary there is discussed a consideration of explaining the biological appearance of Niels Bohr with which we should consider the existing of life as the main postulate which doesn't subordinate the next analysis.

# სამართალმცოდნეობა

# LAW

## ჟურნალისტური გამოძიება

*გახოკიძე ჯემალ*
*სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*მონიავა თემურ*
*სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

*მამნიაშვილი მიხეილ*
*სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

რეზიუმე

მოქმედმა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ გამოძიების წარმოების უფლებამოსილებით აღჭურვა მხოლოდ სახელმწიფო მოსამართლეები/მოხელეები და ბრალდებული, თუმცა მათთან ერთად ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდი ხანია დამკვიდრდა ტერმინი ჟურნალისტური გამოძიება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ჟურნალისტური გამოძიება ხშირ შემთხვევაში უკავშირდება კონკრეტულ, მათ შორის საჯარო სფეროში დასაქმებული პირის მართლსაწინააღმდეგო საქმიანობას. მოპოვებული მასალები კი კანონის, ზნეობის თუ მორალის მოთხოვნებთან მიმართებაში არაჯეროვნად წარმოაჩენენ მათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჟურნალისტური გამოძიების დროს გარკვეულწილად ადგილი აქვს პიროვნების პატივისა და ღირსების, საქმიანი რეპუტაციის სფეროში შეჭრას.

ნაშრომში გაანალიზებულია ჟურნალისტური გამოძიების თავისებურებები და ის განსხვავებები, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება ევროპული სამართლისა და პრეცენდენტული სამართლის პრაქტიკაში.

*საკვანძო სიტყვები:* *ჟურნალისტური გამოძიება, საჯარო სფეროში დასაქმებული პირის სამართალსაწინააღმდეგო საქმიანობა, ევროპული სამართალი, პრეცენდენტული სამართალი.*

### I. შესავალი

2009 წლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცსო კოდექსმა გამოძიების წარმოების უფლებამოსილებით აღჭურვა მხოლოდ სახელმწოფო მოსამსახურე/მოხელე და ბრალდებული. თუმცა, მათთან ერთად ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდი ხანია დამკვიდრდა ტერმინი ჟურნალისტური გამოძიება.

მეტიც, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ჰყავთ არა ერთი და ორი თანამშრომელი, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან ამ მიმართებით და საზოგადოებას აწვდიან მათ მიერ მოპოვებულ ინფორმაციებს ცალკეულ პირთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ. ჟურნალისტური გამოძიების მასალები კი გარდა იშვიათი გამონაკლისისა გამყარებულია აუდიო და ვიდეო ჩანაწერებით, რომელთა მიმართაც მოქმედებს ჩანაწერის ნამდვილობის პრეზუმპცია ვიდრე არ დამტკიცდება მათი სიყალბე.

## II. ძირითადი ნაწილი

ჟურნალისტური გამოძიება ხშირ შემთხვევაში უკავშირდება კონკრეტულ, მათ შორის საჯარო სფეროში დასაქმებულ პირთა, კანონსაწინააღმდეგო საქმიანობას. მოპოვებული მასალები კი კანონის, ზნეობის თუ მორალის მოთხოვნებთან მიმართებით არაჯეროვნად წარმოაჩენენ მათ. ანუ, ჟურნალისტური გამოძიების პროცესში გარკვეულწილად ადგილი აქვს კონკრეტულ პირთა პირად არაქონებრივ უფლებებში (მაგ. კანონით დაცული სიკეთეების-პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის სფეროში) შეჭრას, რის გამოც აუცილებელი გახდა ისეთი სამართლებრივი რეგულაციების შემუშავება, რომლებიც შეძლებდა სიტყვის, გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი არაქონებრივი უფლებების (პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის) თანაარსებობის შესაძლებლობას.

ევროპული მასშტაბით ასეთ ყოვლიმომცველ სამართლებრივ აქტად იქცა ,,ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ" რომის 1950 წლის 4 ნოემბრის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის თანახმად ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე. ეს უფლება კი მოიცავს პირის თავისუფლებას ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. ანუ, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა აბსოლუტური პრივილეგიით არ სარგებლობს, რადგან როგორც პოლიტიკურ მოღვაწეთა ისე კონკრეტულ თანამდებობის პირთა (განსაკუთრებით მაშინ თუ ეს პირი დაქირავებული მოხელეა), მიერ შესაძლო დანაშაულთა ჩადენის შესახებ, საზოგადოებას გააჩნია ინფორმაციის მიღების უფლება.

ამ საქმეში კი, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, განსაკუთრებული როლი ენიჭებათ მასობრივი ინფორმაციების საშუალებებს, რის გამოც ჟურნალისტი თუ მოქმედებს კეთილსინდისიერად და ეყრდნობა ოფიციალურ ანგარიშს, მას არ სჭირდება საკუთარი შემოწმების კიდევ ერთხელ ჩატარება, იმისთვის, რომ გაავრცელოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი ნებისმიერი ინფორმაცია.[1]

ანალოგიურად, ევროსასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ არანაირ შეზღუდვას არ ექვემდებარება ჟურნალისტის თავისუფლება თუ მასმედიაში გავრცელებული ინფორმაცია უკვე იყო გამჟღავნებული და მისი საიდუმლოდ შენახვის აუცილებლობა არ არსებობს[2] და, რომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები მკაცრია მხოლოდ იმ ჟურნალისტების მიმართ, რომლებიც გადაუმოწმებელი, სინამდვილესთან შეუსაბამო ფაქტების დემონსტრირებას ახდენენ, ხოლო შეფასებითი ხასიათის მსჯელობათა

---

[1] იხ. Bladet Troms and Stensas v. Norvau -ის საქმეზე ევროსასამართლოს 1999 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება. მოხსენებები-III

[2] იხ. Weber v.Switzerland-ის საქმეზე ევროსასამართლოს 1990 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, სერია A, #177.

ჭეშმარიტება არ ექვემდებარება მტკიცებას.[1] ანუ, ჟურნალისტს აქვს უფლება შეფასებითი ხასიათის მსჯელობით გამოხატოს თავისი აზრი, მაშინაც, თუ მისი ჭეშმარიტების დამტკიცება არ შეუძლია.[2]

თუმცა, ამავდროულად, ადამიანის უფლებათა სასამართლო მოითხოვს ჟურნალიტისგან, რომ მან არ უნდა გადალახოს მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებისათვის დადგენილი ისეთი ზღვარი, როგორიცაა პირის უფლება ისარგებლოს უდანაშაულობის პრეზუმფციით, ანუ ჟურნალისტს არა აქვს უფლება გაავრცელოს ინფორმაცია, რომელიც პირს ამხელს კანონსაწინააღმდეგო, კერძოდ, დანაშაულებრივ ქმედებებში, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით კი დადგენილი არ არის მის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი.[3]

ამდენად, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, უდავოა, რომ: ა) არ ისჯება კეთილსინდისიერი კრიტიკა, შესაბამისად, კრიტიკის გამავრცელებელი ჟურნალისტი დაცულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ მოქმედებდა კეთილსინდისიერად და არა წინასწარი შეცნობით ბოროტი განზრახვით;

ბ)ჟურნალისტის დაცულობის ხარისხი განსხვავდება იმისდა მიხედვით, გამოხატული და გავრცელებული აზრი საჯარო მოხელის თუ რიგითი ადამიანის წინააღმდეგ არის გამოთქმული, რადგან, მოქმედებს პრინციპი, რომ ,,დასაშვები კრიტიკის ზღვარი პოლიტიკოსისა და საჯარო მოხელის მიმართ უფრო ფართოა, ვიდრე რიგითი ადამიანის მიმართ“.

ზემოთქმული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყოველგვარი დაცვის გარეშე ტოვებს სახელმწიფო მოხელეებს, რადგამ ამ სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სახელმწიფო მოხელეები უნდა სარგებლობდნენ საზოგადოების ნდობით და გააჩნდეთ მუშაობისათვის სათანადო პირობები, რის გამოც სახელმწიფოში, სადაც აღიარებულია კანონის უზენაესობა, საინფორმაციო საშუალებებში დასაქმებული ადამიანები უნდა მოქმედებდნენ კეთილსიდისიერად და საზოგადოებას აწვდიდნენ ფაქტობრივ მონაცემებზე დამყარებულ, დაზუსტებულ ინფორმაციას. თვით გამოხატული აზრი და გავრცელებული ინფორმაცია კი, თავისი შინაარსით არ უნდა იყოს ,,უხამსი“ და ,,მორალურად შეურაცხმყოფელი’’. ასე, მაგალითად, ევროსასამართლომ არსებითი განხილვისათვის არ მიიღო ჟურნალისტების განაცხადი, რომლებიც მსჯავრდებულნი იყვნენ მოსამართლისა და სხვა რამდენიმე სახელმწიფო მოხელის მიმართ საჯაროდ არაერთგზის გამოთქმული ცილისწამებისათვის. რითაც ევროსასამართლომ დაადასტურა სახელმწიფო სამსახურში მყოფი მოხელის სიტყვირი თავდასხმებისა და შეურაცხყოფისაგან დაცვის აუცილებლობა, რადგან მოხელის მიმართ გამოთქმული მეტიმეტად შეურაცხმყოფელი ხასიათის კრიტიკისთვის ჟურნალისტის მსჯავრდება, ანუ სახელმწიფოს მხრიდან განმცხადებლების გამოხატვის უფლებებში ჩარევა მიჩნეული იქნა ევროკონვენციის მე-10-ე მუხლის მე-2 ნაწილის პროპორციულად.[4]

---

[1] იხ.Lingens v. Austria-ს წინააღმდე საქმეზე ევროსასამართლოს 1986 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების 46-ე პარაგრაფი. სერია A, #103 (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რჩეული გადაწყვეტილებები. თბილისი, 2001 წელი, გვ. 284)

[2] იხ. Dalban v. Romani-ს წინააღმდეგ საქმეზე ევროსასამართლოს 1999 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება, მოხსენებები 1999-VI, 49-ე პუნქტი.

[3] იხ. Prager and OberscHliks v. Austia -ას საქმეზე 1995 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება. ასევე, Du Roy and V. Franke-ს საქმეზე ევროსასამართლოს 2003 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება,

[4] განაცხადი #32051/96 Jaaskelainen and others v. Finland-საქმეზე 2000 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება.

ანალოგიურად, საქმეზე „ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ," გამოტანილ გადაწყვეტილებაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ჟურნალისტისა და გამომცემლობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება მოსამართლის ცილისწამებისათვის, რაც კრიტიკული კომენტარის გამოქვეყნებას მოჰყვა, მიიჩნია, რომ არ წარმოადგენდა ევროკონვენციის მე-10.1 მუხლის დარღვევას.[1]

ამდენად, ჟურნალისტი თუ მოქმედებს ევროსასამართლოს მიერ დამკვიდრებული სტანდარტების დაცვით, მას ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების პროცესში მოპოვებული მასალებით შეუძლია დააკმაყოფილოს საზოგადოების ცნობისმოყვარეობა. რაც შეეხება სახელმწიფოს, ვინაიდან პრულარიზმის და გამოხატვის თავისუფლებაზე დაფუძნებული ფართო თვალთახედვის გარეშე დემოკრატიული საზოგადოება ვერ იარსებებს, შემწყნარებლობით უნდა მოეკიდოს არა მხოლოდ ისეთ ინფორმაციებს და მოსაზრებებს, რომლებსაც ბევრი იზიარებს ან გულგრილად ეკიდება, არამედ იმათაც, რომლებიც შეურაცხყმყოფელი, თანზარდამცემი და შემაშფოთებელია მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის.

წარმოდგენა ჟურნალისტურ გამოძიებაზე არ იქნება სრული თუ არ ითქვა იმის შესახებაც, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მოუწოდებს ჟურნალისტებს და საინფორმაციო საშუალებებს განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდონ კონფლიქტებისა და დაძაბული მდგომარეობის გაშუქების შემთხვევებს, რათა არ გახდნენ „სიძულვილის გამომხატველი და ძალადობისკენ მომწოდებელი მასალების გამავრცელებლები". ასე მაგ. ევროსასამართლომ „Sukera" საქმეზე 1999 წლის 8 ივლისს მიღებულ გადაწყვეტილებაში, გაზეთის მეპატრონის მსჯავრდება არ ჩათვალა ევროკონვენციის 10.1 მუხლის დარღვევად, რადგან მიიჩნია, რომ სადავო პუბლიკაცია წარმოადგენდა ძალადობისკენ მოწოდებას, მიუხედავად იმისა, რომ გაზეთის მეპატრონე, მისივე განმარტებით, მხარს არ უჭერდა სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებებს. სასამართლომ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება კი იმით ახსნა, რომ სტატიის დაბეჭდვაზე ნებართვის გაცემით გაზეთის მეპატრონემ სტატიის ავტორებს მისცა საშუალება გაეკეთებინათ დანაშაულის ჩადენისკენ მოწოდება. ამდენად, მისი მსჯავრდება განპირობებული იყო ეროვნული უშიშროების და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებით.

რაც შეეხება კითხვაზე პასუხს თუ როგორი სამართლებრივი ბუნება აქვს ჟურნალისტური გამოძიების პროცესში მოპოვებულ მასალებს, აღნიშნულზე წარმოდგენას იძლევა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 101.1-ე მუხლი, რომელიც გამოძიების დაწყების საფუძვლად მასმედიაში გამოქვეყნებულ ინფორმაციასაც მიიჩნევს. ამდენად, ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ჟურნალისტს შეუძლია მოიპოვოს ინფორმაცია, რის საფუძველზეც გამომძიებელი და პროკურორი ვალდებულნი არიან დაიწყონ გამოძიება.

ანალოგიურად, სადავო არ არის, რომ ჟურნალისტის მიერ მოპოვებული ინფორმაცია შეუძლია გამოიყენოს დაცვის მხარემ თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად. თუმცა, ჟურნალისტის მიერ მოპოვებული ინფორმაცია, რომ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმისთვის გამოსაყენებელ მტკიცებულებად იქცეს, მან ამის შესახებ მხარეს (მხარეებს) უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საამისოდ დადგენილი ფორმით (მაგ. გამოკითხვის ოქმში დაფიქსირებით) და

[1] დეტალურად ამ საკითხზე იხ. პ(თ) მონიავა „პირადი არაქონებრივი უფლებები (პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში) გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2004 წელი, გვ. 82-107.

დაიკითხოს სასამართლო პროცესზე, რათა ეს ინფორმაცია იქცეს სრულყოფილ მტკიცებულებად და საფუძვლად დაედოს გამამართლებელ თუ გამამტყუნებელ განაჩენს.

შესაბამისად, ჟურნალისტური გამოძიება, როგორც ასეთი, პირობითი ცნებაა, რადგამ მის არსებობას ამ სახით არ აღიარებს მოქმედი საპროცესო კანომდებლობა და ამის გამო, დამოუკიდებლად, მხარის ჩართულობის გარეშე, მის მიერ მოპოვებულ მასალებს არც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი. თუმცა, ისიც უდავოა, რომ ჟურნალისტების საქმიანობას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს გამოძიებას, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში, ჟურნალისტური გამოძიების პროცესში მოპოვებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა კონკრეტულმა პირმა. მეტიც, შეიცავს ცნობას შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად, რითაც ერთის მხრივ თითქოსდა მტკიცებულებას წარმოადგენს, მაგრამ ეს ინფორმაცია ვერ ჩაითვლება ასეთად, რადგან ჟურნალისტური გამოძიებით დაკავებული პირები, როგორც წესი არ არიან სისხლის სამართლის საქმის მხარეები და არც იმის უფლებამოსილება გააჩნიათ, რომ განახორციელონ ოპერატიულ -სამძებრო საქმიანობა.

III. დასკვნა

ამდენად, ჟურნალისტური გამოძიება, რაოდენ დიდი მნიშვნელობის ინფორმაციასაც არ უნდა შეიცავდეს იგი, თუ არ ჩაჯდა კანონის მოთხოვნათა ჩარჩოებში, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში მტკიცებულებას არ წარმოადგენს. რის გამოც, სასამართლოში მისი წარდგენა თითქოსდა წინასწარაა განწირული იმისთვის, რომ მას არ მიიღებს სასამართლო.

თუმცა, მიგვაჩნია, რომ მხარეებთან თანამშრომლობის გარდა, ანუ ისეთ შემთხვევაშიც, როცა ჟურნალისტური გამოძიების ავტორს არ ამოძრავებს რომელიმე მხარის მხარდაჭერის სურვილი, მაგრამ დაინტერესებულია ჭეშმარიტების დადგენით, შეუძლია ისარგებლოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლით შემოღებული სასამართლოს მეგობრის სტატუსით და საკუთარი წერილობითი მოსაზრება წარუდგინოს სასამართლოს საქმის (იგულისხმება საქმე, რომელიც წარმართულია სასამართლოში და, რომელზეც ასევე ჩატარებულია ჟურნალისტური გამოძიება) არსებით განხილვამდე 5 დღით ადრე მაინც.

კანონი, მართალია, არ ავალდებულებს სასამართლოს, რომ გაიზიაროს წერილობით მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტები თუმცა, იმის გამო, რომ სასამართლო ყველა შემთხვევაში ვალდებულია, განიხილოს და თუ საჭიროდ ჩათვლის ან/და მხარეები ითხოვენ ამას, მოსაზრების ავტორის წინასწარი თანხმობით, საქმის არსებით განხილვაზე გამოიძახოს წერილობითი მოსაზრების ავტორი რათა მიიღოს მისგან განმარტება, ჟურნალისტური გამოძიების მასალები უდავოდ დაეხმარება სასამართლოს ობიექტურად შეაფასოს და გადაწყვიტოს განსახილველი საკითხი.

*Temur Moniava, Doctor of Law, Professor*
*Mikheil Mamniashvili, Doctor of Law, Professor*
*Jemal Gakhokidze, Doctor of Law, Professor*

## Journalistic investigation

### Summary

The acting criminal procedure code of Georgia has granted the investigatory powers only to state judges / officials and the sentenced, though next to them in everyday life long ago was settled the term – journalistic investigation.

Coming out of the above mentioned, it`s obvious, that journalistic investigation often is connected to particular misconduct, including the misconduct of person employed in public field. The acquired materials not duly show them towards the requirements of ethics and morality. In other words, during the journalist investigation there is performed the intervention in personal honor and respect, also in business reputation field.

In the work there is analyzed the originalities of journalistic investigation and those differences, which usually are used in the practice of European law and case law.

# მიკრონაწილაკები, როგორც კრიმინალური ტექნიკური ექსპერტიზის კვლევის ობიექტი

*ჯანელიძე გოდერძი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

*ჯანელიძე არჩილ*
*აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*წიკლაური მარი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი*

*ქარსელაძე სალომე*
*საქართველოს ტენქიკური უნივერსიტეტის ბაკალავრი*

რეზიუმე

გამოკვლევა ეფუძნება იმ ფაქტორს, რომ ყოველი ცოცხალი არსება, ნივთი თუ საგანი სამყაროში ინდივიდუალურია და ამავე დროს განსხვავებულიც სხვა საგნებისაგან. კვლევისას, დაფიქსირებული მატერიალური ნივთიერებების მიკრობიოლოგიური და მიკრონაწილაკები კი წარმოადგენენ იმ ძირითად წყაროს, რომლებიც ატარებენ ინფორმაციას დანაშაულებრივი მოვლენის შესახებ და გვეხმარება დავადგინოთ როგორც შემთხვევის ადგილზე ყოფნის, ასევე დანაშაულის დაფარვის მანიპულირების ჩადენის ფაქტებიც.

საკვანძო სიტყვები: იდენტიფიკაცია, კრიმინალისტიკური ექსპერტიზა, კვლევა

## I. შესავალი

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ნებისმიერი საკვლევი ობიექტი ინფორმაციის უდიდესი მატარებელია. კრიმინალისტიკაში არსებობს ასეთი ცნება: არსებობს დანაშაული - არსებობს ნივთმტკიცებაც. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ექსპერტულ კვლევისას, სხვა ფაქტორებთან ერთად, დაფიქსირებული **მიკრონაწილაკები,** ნივთიერებების **მიკრობიოლოგიური** კვლები და **ბაქტერიები** წარმოადგენენ იმ ძირითად წყაროს, რომლებიც ატარებს ინფორმაციას დანაშაულებრივი მოვლენის შესახებ. ნივთმტკიცებები მოცემულ შემთხვევაში გვეხმარება დავადგინოთ როგორც შემთხვევის ადგილზე ყოფნის, ასევე დანაშაულის დაფარვის მანიპულირების ჩადენის ფაქტიც.

## II. ძირითადი ნაწილი

დანაშაულთა ჩადენის ხერხების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის გახსნის საქმეში. დანაშაულის გახსნის მეთოდიკის თვალსაზრისით, დანაშაულის ჩადენის ხერხების ცნება უფრო ფართოა და იგი მოიცავს აგრეთვე დამნაშავის მიერ დანაშაულის მომზადების, მისი ჩადენისა და დაფარვისათვის მიღებულ ღონისძიებათა მთელ კომპლექსს, დანაშაულის ჩადენისა და დანაშაულის კვალის დაფარვის მთლიან მექანიზმს. დანაშაულთა ჩადენის ხერხების არსი, მისი კრიმინალისტიკური გაგება არის დანაშაულთა კრიმინალისტიკური დახასიათების ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედი. დანაშაულის ჩადენის მექანიზმის კომპლექსურ ღონისძიებაში იგულისხმება არა მარტო დამნაშავის მიერ თავის დანაშაულებრივი მიზნის განხორციელებისათვის საჭირო ამა თუ იმ ფიზიკური მოქმედების შესრულება ან

შეუსრულებლობა - დანაშაულის ჩადენისათვის საჭირო იარაღების შეძენა, მომარჯვება და გამოყენება – არამედ მისი პროფესიული ცოდნა და ის ტექნიკური საშუალებებიც, რომლებსაც იგი იყენებს დანაშაულის კვალის დაფარვისათვის. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად დამნაშავე წინასწარ ქმნის არა მარტო დანაშაულის ჩადენის მოდელს, არამედ ქმნის და ამუშავებს მისი დაფარვის ხერხებსაც

დანაშაულებრივი მოვლენის კვლევისას შემთხვევის ადგილზე ხშირად არ არსებობს ისეთი "ტრადიციული" კვალი, როგორიცაა თითის ანაბეჭდი, ფეხის კვალი, გატეხვისა და ინსტრუმენტით ზემოქმედების კვალი და ა.შ. ამ შემთხვევაში მიკრობიოლოგიურ და მიკროობიექტების თანამედროვე მეთოდებით კვლევას უდიდესი ნნიშვნელობა ენიჭება.

**მიკრონაწილაკების როლი** კრიმინალისტიკაში სულ უფრო და უფრო იზრდება სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებთან ერთად. დღეისათვის უკვე შექმნილია მრავალი ინსტრუმენტალური და მეთოდური საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია უმცირესი ზომისა და რაოდენობის მასალების დიდი სიზუსტით შესწავლა. თუმცა მიუხედავად ამისა, მიკრონაწიკალების ზომებიდან გამომდინარე მათი სრულყოფილი შესწავლა მაინც დიდ პროფესიონალიზმსა და ძალისხმევას მოითხოვს.





აღმოჩენილ უნდა იქნას არა მხოლოდ კვალი სიტყვის ვიწრო გაგებით, არამედ კვალი სხვა გარემოებებით - ნარჩენები: ნახერხი, ბურბუშელა, საღებავის ნაწილები და სხვა ხილული თუ უხილავი მიკრონაწილაკებით, რადგან მათი დახმარებით არის შესაძლებელი გავაანალიზოთ მნიშვნელოვანი გარემოებანი. კვალის აღმოჩენის შემდეგ აუცილებელია გადაწყდეს საკითხი მათი **მიზეზობრივი კავშირის** შესახებ მომხდარ შემთხვევასთან, ამისათვის კი აუცილებელია განისაზღვროს **აღმოჩენილი კვლების წარმოშობის მექანიზმი.** გაანალიზდეს და უნდა **დადგინდეს,** არის თუ არა **კვლებში უცხო მინარევები** შეტანილი დამნაშავის ლოგიკური და ექსპერიმენტური მოდელირების საფუძველზე უნდა განისაზღვროს - როგორი კვლები შეიძლება დარჩენილიყო შემთხვევის ადგილზე დამნაშავისა და დაზარელებულის ყოფნის დროს. კვალის აღმოჩენის პროცესში გამოიყენება **სპეციალური მეთოდები** და საშუალებები: **ა. არაღრმა** მოცულობითი კვლები ფიქსირდება ჩრდილოვანი განათებისას. სინათლის კონა მიმართულია კუთხით კვალმიმღები ობიექტის სიბრტყის მიმართ, რაც უფრო მცირეა კვალის სიღრმე, მით უფრო ნაკლები უნდა იყოს კუთხე, რომლითაც სინათლე ეცემა ობიექტს. **ბ.** გამჭვირვალე ობიექტზე კვლები დადაფიქსირდებიან შემხვედრი განათებისას. **გ.** კვლების ძიებისას აუცილებელია გამოყენებულ იქნას აგრეთვე სპექტრის უხილავი ზონები - ინფრაწითელი და ულტრაიისფერი სხივები.

თუ განათებით და ოპტიკური მეთოდებით კვლების დაფიქსირება ვერ მოხერხდა, მაშინ **კვლების აღმოსაჩენად უნდა გამოვიყენოთ ფიზიკური და ქიმიური მეთოდები. ფიზიკური**

**მეთოდები** დაფუძნებულია კვალის წებოვანი ნივთიერებით ფხვნილის **შეწებების** თვისებებზე. **ქიმიური მეთოდები კი ეფუძნება კვალის ნივთიერების რეაქციას რეაქტივებთან.**

ოპტიკური ხელსაწყოების გამოყენება - ლუპები, მიკროსკოპები ემყარება მიკრო ნაწილაკებისა და მცირე ზომის უხილავი კვლების **დანახვას** - მრავალჯერადი გადიდების მეთოდებს.

ფხვნილები: მარკა, ფერი, რაოდენობა,



FM P02 = 71g

ექსპერტიზის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს მიკროობიექტების დაყოფა შედგენილობის (გვარობის) მიხედვით, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული შემდგომი კვლევის წარმართვის მიმართულება და მათი ნივთმკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა. კრიმინალისტიკასა და სასამართლო ექსპერტიზაში მიკრობიოლოგიის გამოყენების შესაძლებლობა განაპირობა კვლევათა სისტემაში ქიმიის, ბიოლოგიის, მიკრობიოლოგიის ნანოტექნოლოგიების მიღწევების ინტეგრირებამ. ადამიანი განიხილება როგორც ერთი მთლიანი ურთულესი საკვლევი ობიექტი ინტეგრირებული გარემო სივრცესთან. მეცნიერების განაცხადმა, რომ სასამართლო ექსპერტიზას მალე მიეცემა შესაძლებლობა ნანოტექნოლოგით მიღებული პრეციზიული ხელსაწყოების მეშვეობით მოვახდინოთ საკვლევი ობიექტების იდენტიფიკაცია გენეტიკის, დერმატოლოგიის, ბაქტეტოლოგიის ახალი მეთოდოლოგიის გამოყენების დონეზე: ადამიანის ხელზე და სხვადასხვა კვალაღმომჩენ ზედაპირზე დატოვებული ბაქტერიების რაოდენობრივი კვლების მეშვეობით ( კლავიატურა, კომპიუტერის „თაგვი" ფიზიკურად შეხების საგნები და ა.შ.), ასევე საყურადღებოა დაქტილოსკოპიის მიღწევები, რომლებიც ინტეგრირებულია დერმოტოლოგიასთან, რომლის მეშვებით დგინდება კავშირი ადამიანის დ.ნ.მ, პაპილარულ ხაზებსა და ადამიანის მოქმედების თავისებურებს შორის (ქცევები სხვადასხვა სიტუაციის შემთხვევებშ.)

III. დასკვნა

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მათემატიკური მეთოდების გამოყენებას, კერძოდ მის ენას, მივყავართ იქამდე, რომ ცნებები, რომლებიც გამოიყენება კრიმინალისტიკური კვლევების მსვლელობის და კვლევის შედეგების აღსაწერად იძენენ უფრო განსაზღვრულ ხასიათს - მისი დადასტურების ხარისხი იზრდება, ხოლო მსჯელობის სისტემური კავშირი უმჯობესდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ელიზბარ ელიზბარაშვილი ქიმია და კრიმინალისტიკა. სახელმძღვანელო 2010წ
2. E. Kunelashvili, A. Janelidze, G. Janelidze VERBAL COMMUNICATION AND CRIMINALISTIC EXEMENATION. Transactions Automated Control Sistems GTU TB 2011

*Goderdzi Janelidze*
*Archil Janelidze*
*Mari Tsiklauri*
*Salome Karseladze*

**The Microwaves as The Objekt of Ccriminalist Technical Expertise**

**Summary**

Practice Shows That Microbiological and Mikroorganisms of Material substances in the study of various types of crimes are the main source of information about the criminal phenomenon.The detected microorganizes in this case help as to establish the fact of being in the offense. Thare is often no “traditional” footprint on the scene, such as fingerprints, leg footprints, trace and instrumental impact.

# ТРУД, ПОИСКИ, ПРИЗНАНИЕ УЧЕНОГО – ПЕДАГОГА



Исполнилось 85 лет Бедалову Чингизу Абульфас оглу – академику Академии образовательных наук Грузии, доктору педагогических наук, профессору, Заслуженному учителю Азербайджана, известному специалисту в области методики преподавания русского языка.

Бедалов Ч.А. в 1954 году окончил АПИРЯЛ им. М.Ф.Ахундова, работал после окончания вуза учителем русского языка в школе, преподавателем Бакинского мореходного училища, а с марта 1961 года до 2012-го года работал в Бакинском славянском университете (ранее – АПИРЯЛ им. М.Ф.Ахундова).

В 1961 году в Москве он защитил диссертацию на соискание ученой степени кандидата педагогических наук на тему «Развитие речи учащихся восьмилетней азербайджанской школы в связи с изучением типов простого предложения русского языка». В 1967 году там же в возрасте 35 лет Бедалов Ч.А. защитил диссертацию на соискание ученой степени доктора педагогических наук на тему «Основные вопросы преподавания синтаксиса и пунктуации русского языка в восьмилетней азербайджанской школе» и стал первым в Азербайджане доктором педагогических наук по специальности «Методика преподавания русского языка». В связи с этим в республике Бедалов Ч.А. по праву считается основоположником методической науки.

В 1969 году ВАК СССР, учитывая его заслуги в подготовке научно-педагогических кадров, многочисленные публикации в ведущих изданиях республики и ряда зарубежных стран, присвоил ему ученое звание профессора.

С 1968 года на протяжении 35 лет видный ученый заведовал кафедрой методики преподавания русского языка и литературы АПИРЯЛ им. М.Ф.Ахундова, в течение нескольких лет работал проректором на научной работе, в последнее время руководил лабораторией психолингвистики Азербайджанского университета языков.

В 1981 году ему было присвоено почетное звание «Заслуженный работник высшей школы Азербайджанской Республики» (ныне – «Заслуженный учитель Азербайджана»).

Профессор Бедалов Ч.А. является автором свыше 200 печатных трудов, в числе которых шесть монографий, программы, учебники и методические руководства по русскому языку для средней азербайджанской школы, программы и учебники по методике преподавания русского языка для студентов педагогических вузов. Особое внимание в последние годы ученый уделяет подготовке учебников и учебных пособий для 1-6 классов азербайджанской школы.

Большой вклад внес ученый также в пропаганду достижений азербайджанской методической науки за рубежом. Его многочисленные работы были опубликованы в смледующих

странах дальнего и ближнего зарубежья: в Германии, Польше, Словакии, Болгарии, России, Грузии, Кыргызстане, Казахстане, Узбекистане и др.

Профессор Бедалов Ч.А. имеет большие заслуги в развитии научно-педагогического потенциала Азербайджана: под его научным руководством защищено более 30 кандидатских диссертаций по специальности «Методика преподавания русского языка».

Он также многократно выступал в качестве оппонента на защите диссертаций на соискание ученых степеней кандидата и доктора педагогических наук в Москве, Баку, Тбилиси, Минске, Алматы, Ташкенте и дргих городах. Ученый входил в состав специализированных советов по защите кандидатских и докторских диссертаций, которые функционировали при различных ведущих вузах Азербайджана. В последнее время он являлся членом диссертационного совета при Азербайджанском университете языков.

Известный ученый систематически читает лекции на курсах повышения квалификации педагогических кадров в институтах усовершенствования учителей Азербайджана, на которых он знакомит учителей с последними достижениями методической науки.

Профессор Бедалов Ч.А. организовывал международные и республиканские симпозиумы, конференции, семинары, посвященные актуальным проблемам преподавания русского языка в Баку и сельских районах республики.

Бедалов Ч.А. является членом Международной ассоциации преподавателей русского языка и литературы (МАПРЯЛ), на протяжении многих лет принимает активное участие во всех мероприятиях, проводимых данной организацией.

Бедалов Ч.А. выступал с содержательными докладами на международных конгрессах и симпозиумах в Болгарии, Германии, Чехословакии, Польше, России, Азербайджане. Материалы докладов азербайджанского ученого опубликованы в многочисленных изданиях МАПРЯЛ.

Бедалов Ч.А. выезжал за рубеж для чтения лекций в Берлинском университете им. Гумбольдта, в Геттингенском университете, а также на курсах русского языка в Чехии.

Весьма плодотворно сотрудничество ученого-методиста с журналом «Русский язык и литература в Азербайджане», в котором опубликовано свыше 70 его научных статей, посвященных актуальным проблемам преподавания русского языка в учебных заведениях различного типа. Профессор Бедалов Ч.А. длительный период активно сотрудничал с этим изданием, являлся научным редактором журнала, а с 1996 по 2002 гг. был его главным редактором.

Он также входит в состав редакционной коллегии международных журналов «Наука» и «Просвещение» Грузии.

Спектр научных интересов ученого весьма широк. Им разрабатывались такие актуальные проблемы методической науки, как развитие билингвизма в Азербайджане, пути, эффективные методы и приемы формирования у учащихся-азербайджанцев языковых знаний, речевых умений и навыков, формирование профессиональной компетенции студентов-филологов,

взаимосвязанное развитие всех видов и форм речевой деятельности, комплексный подход к использованию технических средств обучения на различных этапах работы по развитию связной речи учащихся-азербайджанцев.

В 1981 году вышел из печати его фундаментальный труд «Методика преподавания русского языка в азербайджанской школе». До настоящего времени данная монография используется в качестве основного учебного пособия в процессе методической подготовки будущих учителей-русистов в Бакинском славянском университете. Это пособие является ценным подспорьем и для учителей русского языка. Внимания заслуживают также такие монографии ученого, как «Развитие речи учащихся-азербайджанцев в связи с изучением синтаксиса и пунктуации простого предложения русского языка», «Развитие речи учащихся-азербайджанцев в процессе изучения сложных предложений русского языка» и др.

В настоящее время ученым исследуются такие актуальные проблемы методической науки, как пути формирования поликультурной компетенции в условиях глобализации, концепция языковой подготовки студентов в вузах Азербайджана, пути ведения межкультурного диалога, новые учебные технологии, современные формы обучения языкам в условиях глобализирующегося мира, использование информационных технологий в учебном процессе.

На протяжении многих лет Бедалов Ч.А. являлся председателем секции русского языка Научно-методического совета Министерства образования Азербайджанской Республики, принимал активное участие в обсуждении и экспериментальной апробации последних достижений современной методической науки.

В июле 2000 года за большой вклад в развитие педагогической науки, укрепление научных связей, многолетнее плодотворное сотрудничество с учеными Грузии, подготовку научно-педагогических кадров для Грузинской Республики профессор Бедалов Ч.А. на общем собрании Академии образовательных наук Грузии был избран ее действительным членом. Таким образом многогранная деятельность видного ученого, ученика выдающегося грузинского ученого доктора филологических наук, профессора М.В.Канкава, направленная на развитие науки, межкультурного общения и пропаганду русского языка, получила высокую оценку.

В начале 2007 года в России вышел в свет «Лингводидактический энциклопедический словарь» (Москва, издательство Государственного института русского языка им. А.С.Пушкина 2007, 750 страниц). Адресовано данное уникальное издание широкой читательской аудитории, включающей преподавателей вузов, учителей общеобразовательных школ, аспирантов, студентов, а также специалистов различных профилей, исследующих языковые проблемы в широком социально-культурном историческом контексте.

Здесь представлен богатый справочный материал, систематизирующий и определяющий более 2000 терминов и понятий лингводидактики и смежных гуманитарных дисциплин, даются обширные сведения из области теории и практики преподавания родных и неродных языков, а

также смежных гуманитарно-социальных дисциплин.

В энциклопедии содержатся также краткие биографические очерки о жизни и деятельности ученых мира, внесших в разное время в своих странах большой вклад в развитие языкового образования.

В словаре представлены биографические сведения о ведущих специалистах Америки, Европы, Азии, в числе которых доктор педагогических наук, профессор Бедалов Чингиз Абульфас оглу. Фамилии выдающихся ученых помещены в алфавитном порядке, и фамилия азербайджанского ученого заняла свое почетное место между двумя классиками: М.Бахтиным и В.Белинским.

Хочется пожелать известному ученому, талантливому педагогу творческого долголетия, дальнейших научных свершений на благо отечественной науки и образования.

**Академия образовательных наук Грузии**
**Грузинский технический университет**
**Факултет инжинерной экономики, медиатехнологий и социальных наук ГТУ**
**Департамент грузинской филологии и медиатехнологий ГТУ**
**Редколлегия журнала „Ганатлеба“**

## მეცნიერის, პედაგოგის შრომის აღიარება

85 წლის შესრულდა ჩინგიზ ბედალოვი – საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აზერბაიჯანის დამსახურებული მასწავლებელი, რუსული ენის სწავლების მეთოდიკის სფეროს ცნობილი სპეციალისტი.

ჩ. ბედალოვმა 1954 წელს დაამთავრა მ. ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანის რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგიური ინსტიტუტი და დაიწყო მუშაობა სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად, ბაქოს საზღვაო სასწავლებლის პედაგოგად, 1961 წლის მარტიდან 2012 წლამდე მუშაობდა ბაქოს სლავიანურ უნივერსიტეტში (ადრე მ. ფ. ახუნდოვის სახელობის რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგიური ინსტიტუტი).

1961 წელს მოსკოვში დაიცვა დისერტაცია პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თემაზე "აზერბაიჯანის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეთა მეტყველების განვითარება რუსული ენის მარტივი წინადადებისა ტიპების შესწავლასთან დაკავშირებით". 1967 წელს იქვე, 35 წლის ასაკში, დაიცვა დისერტაცია პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თემაზე "რუსული ენის სინტაქსისა და პუნქტუაციის სწავლების ძირითადი საკითხები რვაწლიან აზერბაიჯანულ სკოლაში" და გახდა აზერბაიჯანში პირველი მეცნიერებათა დოქტორი სპეციალობით " რუსული ენის სწავლების მეთოდიკა". ამასთან დაკავშირებით ჩ. ბედალოვი სამართლიანად ითვლება აზერბაიჯანში მეთოდიკური მეცნიერებისა მესაძირკვლედ.

1969 წელს სსრ კავშირის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ ჩ. ბედალოვს სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებაში შეტანილი წვლილისათვის, აზერბაიჯანსა და უცხოეთის ქვეყნების წამყვან გამოცემებში გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი პუბლიკაციებისათვის მიანიჭა პროფესორის წოდება.

1968 წლიდან 35 წლის განმავლობაში ცნობილი მეცნიერი განაგებდა აზერბაიჯანის მ. ფ. ახუნდოვის სახელობის რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის კათედრის გამგედ, რამდენიმე წლის განმავლობაში იყო ამ ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში, ბოლო დროს ხელმძღვანელობდა აზერბაიჯანის ენების უნივერსიტეტის ფსიქოლინგვისტიკის ლაბორატორიას.

1981 წელს მას მიენიჭა "აზერბაიჯანის რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდება (ამჟამად "აზერბაიჯანის დამსახურებული მასწავლებლის")

პროფესორი ჩ. ბედალოვი არის 200-ზე მეტი ნაბეჭდი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორისაა ექვსი მონოგრაფია, პროგრამა, სახელმძღვანელოები, მეთოდური მითითებები რუსულ ენაში აზერბაიჯანის საშუალო სკოლებისათვის, პროგრამები და სახელმძღვანელოები რუსული ენის სწავლების მეთოდიკაში უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების სტუდენტებისათვის. უკანასკნელ ხანს მეცნიერი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აზერბაიჯანული სკოლის 1-6 კლასების სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადებას.

დიდი წვლილი შეიტანა ჩ. ბედალოვმა აზერბაიჯანული მეთოდიკური მეცნიერების

მიღწევათა პროპაგანდაში უცხოეთში. მისი მრავალი ნაშრომი გამოქვეყნდა გერმანიაში, პოლონეთში, სლოვაკეთში, რუსეთში, საქართველოში, ყირგიზეთში, ყაზახეთში, უზბეკეთში და ა. შ.

პროფესორ ჩ. ბედალოვს დიდი დამსახურება აქვს აზერბაიჯანის სამეცნიერო-პედაგოგიური პოტენციალის განვითარებაში: მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით დაცულია 30-ზე მეტი საკანდიდატო დისერტაცია სპეციალობით "რუსული ენის სწავლების მეთოდიკა". იგი არაერთხელ მონაწილეობდა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვებში, როგორც ოპონენტი მოსკოვში, ბაქოში, თბილისში, მინსკში, ალმა-ატაში, ტაშკენტში და სხვა ქალაქებში. იგი იყო საკანდიდატო და სადოქტორო სპეციალიზებული საბჭოების წევრი აზერბაიჯანის სხვადასხვა წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში. ამჟამად იგი არის აზერბაიჯანის ენების უნივერსიტეტებთან არსებული სადისერტაციო საბჭოს წევრი.

პროფ. ჩ. ბედალოვი ლექციებს კითხულობს აზერბაიჯანის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტებში. მისი ხელმძღვანელობითა და ინიციატივით აზერბაიჯანში ჩატარდა არა ერთი საერთაშორისო და რესპუბლიკური სიმპოზიუმი, კონფერენცია, სემინარი რუსული ენის სწავლების აქტუალურ პრობლემებზე ბაქოსა და რესპუბლიკის სოფლის რეგიონებში.

პროფ. ჩ. ბედალოვი არის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, წლების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობს ამ ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში. ამას გარდა, იგი სამეცნიერო მოხსენებებით გამოდიოდა საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებსა და სიმპოზიუმებზე ბულგარეთში, გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, რუსეთში, აზერბაიჯანში. მისი მოხსენებების მასალები გამოქვეყნებულია ამ სამეცნიერო ფორუმების სამეცნიერო კრებულებში.

პროფ. ჩ. ბედალოვი არაერთხელ იმყოფებოდა უცხოეთში ლექციების წასაკითხად ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტში, გიოტინგენის უნივერსიტეტში, ასევე რუსული ენის კურსებზე ჩეხეთში.

უაღრესად ნაყოფიერად თანამშრომლობს ჩ. ბედალოვი ჟურნალთან "რუსული ენა და ლიტერატურა აზერბაიჯანში", რომელშიც გამოქვეყნებულია მისი 70-ზე მეტი სტატია, მიძღვნილი სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებებში რუსული ენის სწავლების აქტუალური პრობლემებისადმი. ამას გარდა, იგი 1996-2002 წლებში იყო ამ ჟურნალის მთავარი რედაქტორი, სხვადასხვა წლებში კი მისი სამეცნიერო რედაქტორი. ამას გარდა, იგი არის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების "მეცნიერება" და "განათლება"-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი.

უაღრესად ფართოა ჩ. ბედალოვის მეცნიერული ინტერესების სპექტრი. მან დაამუშავა მეთოდიკური მეცნიერების ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორიცაა ბილინგვიზმის განვითარება აზერბაიჯანში, მოსწავლე-აზერბაიჯანელებში ენობრივი ცოდნის, სამეტყველო ჩვევებისა და უნარების ფორმირების გზები, ეფექტური მეთოდები და ხერხები, სტუდენტი ფილოლოგების პროფესიული კომპეტენციების ფორმირება, სამეტყველო მოღვაწეობის ყველა სახეობის და ფორმის ურთიერთდაკავშირებული განვითარება, აზერბაიჯანული მოსწავლეების გაბმული მეტყველების განვითარების სხვადასხვა ეტაპის სამუშაოებისათვის სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენებისადმი კომპლექსური მიდგომა.

1981 წელს გამოქვეყნდა მისი ფუნდამენტური ნაშრომი "რუსული ენის სწავლების

მეთოდიკა აზერბაიჯანულ სკოლაში". ეს მონოგრაფია დღემდე გამოიყენება ძირითად სახელმძღვანელოდ ბაქოს სლავიანურ უნივერსიტეტში მომავალი რუსისტი მასწავლებლების მეთოდური მომზადების პროცესში. ეს წიგნი ძვირფასი საფუძველია ასევე რუსული ენის მასწავლებლებისათვის. საყურადღებოა აგრეთვე მისი ისეთი მონოგრაფიები, როგორებიცაა „აზერბაიჯანელი მოსწავლეების მეტყველების განვითარება რუსული ენის მარტივი წინადადების სინტაქსისა და პუნქტუაციის შესწავლასთან დაკავშირებით", "აზერბაიჯანელი მოსწავლეების მეტყველების განვითარება რუსული ენის რუსული წინადადების შესწავლის პროცესში" და სხვა.

ამჟამად ჩ. ბედალოვი იკვლევს მეთოდიკური მეცნიერების ისეთ აქტუალურ პრობლემებს, როგორიცაა გლობალიზაციის პირობებში პოლიკულტურული კომპეტენციის ფორმირების გზები, აზერბაიჯანის უმაღლეს სკოლებში სტუდენტების ენობრივი მომზადების კონცეფცია, კულტურათშორისი დიალოგის განხორციელების გზები, ახალი სასწავლო ტექნოლოგიები, ენების სწავლების თანამედროვე ფორმები გლობალიზაციური სამყაროს პირობებში, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში.

წლების განმავლობაში ჩ. ბედალოვი იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს რუსული ენის სექციის თავმჯდომარე, აქტიურად მონაწილეობდა თანამედროვე მეთოდიკური მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების ექსპერიმენტულ პრობაციებში.

200 წლის ივლისში პედაგოგიურ მეცნიერებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის, სამეცნიერო კავშირების განმტკიცებისათვის, ქართველ მეცნიერებთან მრავალწლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის, საქართველოს რესპუბლიკისათვის სამეცნიერო- პედაგოგიური კადრების მომზადებისათვის საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ პროფესორი ჩ. ბედალოვი ნამდვილ წევრად აირჩია. ამგვარად ჰპოვა მაღალი შეფასება ცნობილი მეცნიერის, ცნობილი ქართველი მეცნიერის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მ. კანკავას მოწაფის მრავალმხრივმა მოღვაწეობამ, რომელიც მიმართული იყო მეცნიერების განვითარებაზე, და კულტურათშორის ურთიერთობებსა და რუსული ენის პროპაგანდაზე.

2007 წლის დასაწყისში რუსეთში გამოვიდა „ლინგვოდიდაქტიკური ენციკლოპედიური ლექსიკონი" (მოსკოვი, ა. ს. პუშკინის სახელობის რუსული ენის სახელმწიფო ინსტიტუტის გამომცემლობა). მოცემული უნიკალური გამოცემა გამიზნულია ფართო მკითხველი აუდიტორიისთვის. იგი მოიცავს უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებს, ასპირანტებს, სტუდენტებს, აგრეთვე სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებს. რომლებიც იკვლევენ ენობრივ პრობლემებზე ფართო სოციალურ-კულტურულ ისტორიულ კონტექსტში.

აქ წარმოდგენილია მდიდარი საცნობარო მასალა, რომელშიც სისტემატიზებულია და განსაზღვრული ლინგვოდიდაქტიკისა და მომიჯნავე ჰუმანიტარული დისციპლინების 2000-ზე მეტი ტერმინი და ცნება, მოცემულია ცნობები მშობლიური და არამშობლიური ენების სწავლების თეორიიდან და პრაქტიკიდან ფართო ცნობები მომიჯნავე ჰუმანიტარულ-სოციალურ დისციპლინებიდან.

ენციკლოპედია აგრეთვე მოიცავს მოკლე ბიოგრაფიულ ნარკვევებს მსოფლიოს მეცნიერთა

ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. რომლებმაც საკუთარ  ქვეყნებში სხვადასხვა დროს დიდი წვლილი შეიტანეს ენობრივი განათლების განვითარებაში.

ლექსიკონში წარმოდგენილია ბიოგრაფიული ცნობები ამერიკის, ევროპის, აზიის მოწინავე სპეციალისტების შესახებ, მათ შორის პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ჩინგიზ აბულფას ოღლუ ბედალოვის შესახებ. გამოჩენილი მეცნიერების გვარები განლაგებულია ანბანის მიხედვით. აზერბაიჯანელი მეცნიერის გვარმა საპატიო ადგილი დაიკავა ორ კლასიკოსს, მ. ბახტინსა და ბ. ბელინსკის, შორის.

ვუსურვებთ ცნობილ მეცნიერს, ნიჭიერ პედაგოგს შემოქმედებით დღეგრძელობას, შემდგომ მეცნიერულ მიღწევებს პედაგოგიური მეცნიერებისა და განათლების საკეთილდღეოდ.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სტუ-ს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტი
ჟურნალ „განათლების“ რედკოლეგია



## პროფესორ ბორის იმნაძის ხსოვნას

გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი - აკადემიკოსი, ამ აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, ჟურნალ "განათლების" რედაქტორი ბორის იმნაძე.

პროფესორ ბორის იმნაძის მეცნიერული, პედაგოგიური მოღვაწეობა კარგად არის ცნობილი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მიუხედავად იმისა, რომ თავისი პროფესიული მოღვაწის გრძელ გზაზე, სხვადასხვა დროს, გარემოთა გამო, მას სხვადასხვა ქვეყნებში მოუხდა საქმიანობა, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრებითა და შრომითი საქმოანობით განუყრელად არის დაკავშირებული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან. აქ ეზიარა იგი უმაღლესი განათლების საფუძვლებს, შედგა მისი პედაგოგიური, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ასე რომ. ბ. იმმნაძე დულითა და ხორცით, თხემით ტერფამდე "გეპეელია".

პროფესორმა ბ. იმნაძემ საინტერესო ცხოვრების გზა განვლო: დაიბადა 1932 წლის 15 ნოემბერს, ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. მამა - ლეონიდე იმნაძე, ეკონომისტი, დიდ სამამულო ომში დაიღუპა. დედა - ნინო ლორთქიფანიძე თვალსაჩინო საბჭოთა პარტიული და სამეურნეო მუშაკი იყო. 1950 წელს დაამთავრა თბილისის მე-10 საშუალო სკოლა, შევიდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე, ფიდროტექნიკის სპეციალობით. ერთი წლის შემდეგ სწავლა განაგძო მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში, შემდეგ სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. პედინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ერთხანს მასწავლებლობდა რუსეთსა და საქართველოში, ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურეს თბილისის 54-ე სკოლაში. 1958 წელს ჩაირიცხა განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის

სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომელიც წარმატებით დაასრულა 1960 წელს, ხოლო 1961 წელს დაიცვა დისერტაცია "რუსული მიმღეობის სწავლება საშუალო სკოლაში".

სადისერტაციო ნაშრომში რუსული ენის მიმღეობა გამოკვლეული იქნა ქართულ მიმღეობასთან შედარებით-შეპირისპირებითი კვლევის ასპექტში, სადაც აქცენტირებული იყო მისი გასაგებობა ქართულენოვანი გარემოსათვის. ეს ნაშრომი მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივ, რომ უკვე აქ გამოიკვეთა ბ. იმნაძის ძიებათა უმთავრესი მიმართულება - რუსული ენის ბუნებაში ღრმად წვდომა ქართულ ენობრივ სივრცეში მისი გაცნობიერების გზების დადგენისათვის. ეს ხედვა გახდა კულტურული ცნობიერებით ქართველი ბ. იმნაძის რუსისტიკაში მუშაობის საფუძველი.

პროფესორმა ბ. იმნაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა XX საუკუნის 70-იან წლებში სსრ კავშირში გაშლილი მოძრაობის - რუსული ენის ახლებური სწავლების სახელმწიფოებრივი პროგრამის გამხორციელებაში, რომელიც მოიცავდა პოლონეთს, გერმანიას, დემოკრატიულ რესპუბლიკას, ჩეხოსლოვაკიას, უნგრეთს, რუმინეთს, ბილგარეთსა და იუგოსლავიას. ეს პროგრამა რუსული ენის მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ფორმატში ხორციელდებოდა. ბ. იმნაძე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 1969-1970 წლებში გერმანიის ქ. ნიუბრანდერბურგში რუსული ენის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს ხელმძღვანელობდა.

1970 წელს ბ. იმნაძე აირჩიეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რუსული ენის კათედრის გამგედ და ამ დროიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე უცვლელად ხელმძღვანელობდა რუსული ენისა და ლიტერატურეს სწავლებას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ბ. იმნაძის ხელმძღვანელობით კათედრის 12 მასწავლებელმა დაიცვა საკანდიდატო, ხოლო ერთმა სადოქტორო დისერტაციები. კათედრაზე აქტიურად გაიშალა სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-მეთოდური მუშაობაც. მოკლე ხანში შეიქმნა რუსული ენის სახელმძღვანელო, რომლის პირველი ნაწილი - ფონეტიკა და მორფოლოგია ბ. იმნაძემ დაწერა, ხოლო II ნაწილი თანამშრომლებთან ერთად შეასრულა. მისი უშუალო თანამონაწილეობითა თუ რედაქციით შექმნა აგრეთვე არაერთი დამხმარე სახელმძღვანელოც.

პროფესორ ბ. იმნაძის განათლებისა და მეცნიერების მართვის უნარის გამოხატულებას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ 1996 წლამდე რუსული ენის კათედრა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უძღვებოდა რუსული ენის სწავლებას ყველა ფაკულტეტის პირველ და მეორე კურსებზე, ხოლო 1996 წლიდან სათავეში ჩაუდგა "ტექნიკური დარგის ჟურნალისტიკისა" და "მთარგმნელ-რეფერენტის" სპეციალობათა რუსული სექტორის მუშაობას.

პროფესორ ბ. იმნაძის მეცნიერული და პედაგოგიური ავტორიტეტის აღიარების გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ იგი არჩეული იყო რუსული ენისა და ლიტერატურეს მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაციის (МАПРЯЛ) პრეზიდიუმის წევრად. აქტიურად მონაწილეობდა ამ ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებული ვარშავის, ბუდაპეშტის, ბერლინის, ვარნის, მოსკოვის საერთაშორისო კონფერენციებისა და კონგრესების მუშაობაში. აქტიურად თანამშრომლობდა უცხოეთის სასწავლო ცენტრებთან და უმაღლეს სკოლებთან. ამასთან იყო Aაზერბაიჯანის ორი მეცნიერული ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს

განათლების მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალის "საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბეს" რედაქტორის მოადგილე და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის - "განათლების" მთავარი რედაქტორი.

პროფესორ ბ. იმნაძე წარმატებით ხელმძღვანელობდა მაგისტრებისა და აკადემიური დოქტორების მომზადებას. მისი ხელმძღვანელობით დაცულია საკანდიდატო, სადოქტორო და სამაგისტრო დისერტაციები.

პროფესორ ბ. იმნაძის კალამს ეკუთვნის 150-მდე ნაშრომი რუსული ენის გრამატიკის, სწავლებისა მეთოდიკის, ჟურნალისტიკისმცოდნეობის აქტუალურ პრობლემებზე, რომელთაგან 16 სახელმძღვანელოა, ხოლო 3 - მონოგრაფია.

მეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილია ბ. იმნაძის მიერ დამუშავებული და დამკვიდრებული რუსული ენის სწავლების ინოვაციური მეთოდი - მაკორექტირებული სწავლების მეთოდი, რომელიც არსებითად ძველი, არაეფექტური მეთოდის - გრამატიკალიზაციის უარყოფას ნიშნავდა. გრამატიკალიზაციის უარყოფა კი იმ დაბრკოლების გადალახვას უწყობს ხელს, რაც ენის დაუფლების პროცესში ხელს უშლიდა გაბმული მეტყველების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ამგვარი სიახლე დროის გამოძახილიც იყო, რადგან XX საუკუნის 70-იან წლებში ყოველმხრივ იგრძნობოდა ფორმალისტური გრამატიკიდან შინაარსეულ გრამატიკაზე გადასვლის აუცილებლობა.

მაკორექტირებელი სწავლების ლინგვისტიკური, პედაგოგიური, მეთოდოლოგიური საფუძვლები ბ. იმნაძის უშუალო შესრულებითა და თანაავტორორობით გამოცემულ არაერთ სახელმძღვანელოსა თუ დამხმარე სახელმძღვანელოშია წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია მის მიერ დაწერილი "რუსული ენა, ნაწილი I, ფონეტიკა. მორფოლოგია" (1971), მისი რედაქციითა და თანაავტორობით გამოცემული ამ სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი - "რუსული ენა, ნაწილი მეორე" (1974).

პროფესორი ბ. იმნაძე უკანასკნელ წლებში ასევე ნაყოფიერად იკვლევდა რუსული ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის, ისტორიის საკითხებს და საყურადღებო სტატიებს აქვეყნებდა სამეცნიერო პერიოდიკაში.

პროფესორ ბორის იმნაძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული განათლებისა და მეცნიერებისათვის.

სტუ საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიები
დეპარტამენტი

ჟურნალ "განათლების" რედკოლეგია

## Памяти Бориса Леонидовича Имнадзе

Ушел из жизни профессор Грузинского технического университета, действительный член Академии образовательный наук Грузии, член президиума вышеназванной академии, редактор журнала «Ганатлеба», Борис Леонидович Имнадзе.

Педагогическая и научная деятельность профессора Б. Имнадзе известна как в Грузии, так и за её пределами. Несмотря на то, что в разные годы, он работал во многих странах, вся его жизнь и трудовая деятельность были неразрывно связаны с Грузинским техническим университетом. Здесь он освоил азы высшего образования, здесь состоялась его педагогическая, научная и общественная деятельность.

Профессор Б. Л. Имнадзе прошел интересный жизненный путь: родился 15 ноября 1932 года в городе Тбилиси, в семье служащих. Отец – Леонид Имнадзе, экономист, погиб в Великой Отечественной войне. Мать – Нино Лордкипанидзе, была видный советским партийным и общественным деятелем.

В 1950 году Б. Л. Имнадзе окончил 10 среднюю школу г. Тбилиси и поступил на строительный факультет Грузинского политехнического университета по специальности гидротехника. Спустя год он продолжил учебу в Московском институте международных отношений (МГИМО), затем продолжил учебу в Московском педагогическом университете. После окончания пединститута работал учителем русского языка и литературы в России и Грузии. В 1958 году был зачислен в аспирантуру научно-исследовательского института им. Я. Гогебашвили министерства образования Грузии, которую окончил в 1960 году, а в 1961 году защитил диссертацию на тему «Преподавание русского причастия в средней школе».

В диссертационной работе причастие русского языка было исследовано в сравнительно-сопоставительном аспекте с причастием грузинского языка, была акцентирована её понятивность для грузинской среды.

Профессор Б. Л. Имнадзе внес значительный вклад в осуществлении госпрограммы новейшего преподавания русского языка, которая была развернута в СССР в 70-е годы XX века и которая охватывала, кроме СССР, Польшу, ГДР, Чехословакию, Венгрию, Румынию, Болгарию и Югославию. Б.Л. Имнадзе в рамках данной программы в ГДР, в Ноенбранбурге руководил курсами повышения квалификации преподавателей русского языка.

В 1970 году Имнадзе был избран заведующим кафедрой в Грузинском политехническом институте, которой руководил долгие годы, вплоть до своей кончины. Под руководством Б. Л. Имнадзе было защищено 12 кандидатских диссертаций. Он является автором около 150 научных работ, среди которых 3 монографии и 16 учебников и учебных пособий.

Существенным является вклад Имнадзе в методику преподавания русского языка. Ему принадлежит выработка и внедрение в педагогическую практику лингвистических и методологических основ принципа корректирующего преподавания русского языка, который означал отход от неэффективного метода грамматикализации и переход на методологию так называемого содержательного языкознания.

В последние годы Б.Л. Имнадзе плодотворно исследовал вопросы теории и практики, а также истории русской журналистики, руководил созданной им образовательной программой по русской журналистике бакалавриата Грузинского технического университета.

Кончина профессора Б. Л. Имнадзе, большая утрата для грузинской педагогической науки. Память о педагоге, ученном и гражданине своей страны, навсегда останется в сердцах его почитателей, друзей, родственников и просто людей, знавших Бориса Леонидовича.

**Факультет инженерной экономики, медиатехнологий и социальных наук ГТУ**
**Департамент грузинской филологии и медиатехнологий**
**Редколлегия журнала «Ганатлеба»**